


135

უხნობი ისტორიები
ცნობილ გეგნიერზე

ივანე ბერიტაშვილი -
კიდევ ერთი ცდა



**უსნობი ისტორიები
სნობილ მესნიერზე**



**ივანე ბერიძეაშვილი -
კიდევ ერთი სტა**

„უნივერსიტეტის დაარსებისას, როგორ მოვიფიქრებდი, რომ მისი განვითარების მოწმე და მონაწილე ვიქნებოდი 50 წლის განმავლობაში. საამაყო ისიც, რომ თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების მიღწევებით თბილისის უნივერსიტეტი მრავალ უნივერსიტეტს შორის პირველ რიგშია. ვუსურვებ ქართველ ხალხს, რომ მისი უნივერსიტეტი უფრო მეტი ნაყოფიერებით აწარმოებდეს თავის პედაგოგიურ და მეცნიერულ საქმიანობას“.

ივანე ბერიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია კრებულს უძღვნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, საქართველოში ფიზიოლოგიისა და ნეირომეცნიერების ეროვნული სკოლების ფუძემდებლის ივანე ბერიტაშვილის დაბადებიდან 135 წლისთავს.

პუბლიცისტური ნარკვევები, რომელშიც ამ დიდი პიროვნების მრავალმხრივი მოღვაწეობის ასპექტებია გაშუქებული და გაანალიზებული და რომელშიც დროისა და მოვლენების ივანე ბერიტაშვილთან ურთიერთმიმართებაა წარმოჩენილი, ვფიქრობთ, დაინტერესებს ჩვენი საზოგადოების ყველა ფენას, განსაკუთრებით კი დიდი ადამიანების ბიოგრაფიების მკვლევრებს, ასევე, სტუდენტებსა და საჯარო სკოლების მაღალი კლასების მოსწავლეებს, რომელთაც უნდა იცოდნენ მეცნიერების კლასიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მრავალი ფაქტი თუ მოვლენა.

ჩვენი ამოცანა – მომავალი თაობებისთვის ერის ღირსეულ შვილთა სახისა და საქმის შემონახვა, მხოლოდ ამ კრებულით არ შემოიფარგლება. თსუ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია საზოგადოებას პერიოდულად შესთავაზებს ნარკვევთა სერიულ გამოცემებს, რომლებიც უნივერსიტეტის დამაარსებლებს, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებისა და დარგების მესაძირკვლეებს, ღვაწლმოსილ მეცნიერებსა და პროფესორებს მიეძღვნება.

კრებულის ავტორები:

მერაბ ცაგარელი,
ნინო კაკულია

რედაქტორი:

ნინო კაკულია

სარედაქციო ჯგუფი:

თამარ ჩიხლაძე,
მანანა ჯურხაძე

კომპ. უზრუნველყოფა:

ზაზა გულაშვილი

სარჩევი

1	შესავალი.....	7
2	უნივერსიტეტი ყოველთვის ღირსეულად მიაგებს პატივს ივანე ბერიტაშვილის ხსოვნას (თსუ-ის რექტორის გიორგი შარვაშიძის სიტყვა).....	12
3	ბიომბრაფიის ძირითადი შტრიხები.....	15
	მეორე ივანე.....	15
	მეთერთმეტე ოჯახში.....	16
	დანყებიტი განათლება – თელაველობიდან ქალაქელობამდე.....	17
	სემინარიელი ბერიტაშვილის რევოლუციური მიდრეკილებები და პოლიტიკით გატაცება.....	20
	უმადლესი განათლება და გატაცება ფიზიოლოგიით.....	22
	ივანე ჯავახიშვილისგან მიწვევა და ფიზიოლოგიური სკოლის დაარსება ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში.....	25
	ბერიტაშვილის მიერ დაარსებული ფიზიოლოგიის ინსტიტუტის შორს გავარდნილი სახელი.....	28
	აქტივობები და ჯილდოები.....	32
	უნივერსიტეტის პანთეონის „მკვიდრი“.....	34
4	ივანე ბერიტაშვილის ცხოვრების ძირითადი თარიღები (მოვლენები, ჯილდოები, ნოდებები).....	36
5	პირველი ნაბიჯები მცენიერებაში და ხელმძღვანელთან შეუსაბამო კრიტიკული დასკვნები.....	41
6	როგორ აუპრძალეს „ანტი-ვაკოვინსტად“ შერაცხულ ბერიტაშვილს სამეცნიერო მოღვაწეობა.....	48
7	„გაბრის საუბრები“ და ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნება.....	51
8	„შვიდკაცას“ შეთქმულება ბერიტაშვილის წინააღმდეგ.....	55
9	იმსახურებდა თუ არა ივანე ბერიტაშვილი ნოქლის პრემიას?.....	57
10	„ცოცხლად დამარხულის“ გულისტკივილი.....	68
11	საერთაშორისო აღიარება.....	72
12	ივანე ბერიტაშვილის ასპირანტის მოგონებები მასწავლებელზე.....	77
13	ოჯახური გარემო.....	83
	ივანე ბერიტაშვილის შვილიშვილის – დავით ბერიტაშვილის მოგონებები ბაბუაზე.....	84

როგორ შექმნეს უმუშევრებად დარჩენილმა ბერიტაშვილმა და გუდიაშვილმა ერთობლივი წიგნი	84
ორი ტყუპი სახლი სოხუმში	86
როგორი ბაბუა იყო ივანე ბერიტაშვილი?	87
უნივერსიტეტთან ურთიერთობა დღემდე გრძელდება	88
მხოლოდ ბაბუის ავტორიტეტით არასდროს მიცხოვრია	89
14 მოკლე ამბები ბერიტაშვილზე	91
რატომ არ უყვარდა სტუმრად სიარული	91
ექსპერიმენტით გართული	92
ალაზნის ლოქო სიურპრიზად	92
ხშირად ნანახი სიზმრადა	93
რა რეაქცია ჰქონდა, როცა „წვერებ-ცანცარას“ ეძახდნენ	94
ჩვენი სიმღერები მალე გადაშენდებაო – ნუხდა	94
ვარაუდები	95
აგარაკზე სოხუმში	96
ფიზიოლოგია თუ მეუღლე?!	96
მომდგარი ცრემლი	97
ასეთი კაცი და ლექსი?	98
თამადა ბერიტაშვილი	99
15 ნაცნობი და უცნობი ისტორიები	100
სოსო ჯუღაშვილის მიერ დაგებული მახე	100
დაგვიანებული შეხვედრა ბერიასთან	101
პრინციპული ივანე და თავხედი მილიციელი	101
„ცეკას დირექტორები“ და ივანე ბერიტაშვილი	102
რატომ გაუქმდა მუზეუმში თბილისში?	104
ვინ ერჩოდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტს?	106
16 ფიზიოლოგი, რომელმაც საქართველოსთვის ეპროვული კარიერა დათმო	108

1

შესავალი

უნივერსიტეტის დამაარსებელთა შორის ივანე ბერიტაშვილიცაა მოხსენებული. ცნობილი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის ბიოგრაფიული მონაცემების არაერთგზის გადახედვამ და მის თანამედროვე ბიოგრაფად ცნობილ მერაბ ცაგარელთან გასაუბრებამ მხოლოდ ერთ დასკვნამდე მიგვიყვანა: პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების მოთავე ივანე ჯავახიშვილისთვის მთავარი უმაღლესი სასწავლებლის მხოლოდ შექმნა როდი გახლდათ, არამედ მისთვის პრინციპული მნიშვნელობის საკითხი იყო უნივერსიტეტში ევროპულ განათლებასან ერთად სამეცნიერო სკოლების დაფუძნება. სწორედ ამ მისიის შესასრულებლად ამოიყენა გვერდში ივანე ჯავახიშვილმა პეტერბურგში სახელმწიფო ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი და საქართველოში მოიწვია ფიზიოლოგიური სკოლის დასაარსებლად. ისტორიისთვის ამ სკოლის შექმნა, ფაქტობრივად, ნიშნავდა უნივერსიტეტის დამფუძნებელთა იდეებისთვის ბრძოლაში ჩაბმას. ამდენად არის ივანე ბერიტაშვილიც უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, თორემ ისე ცნობილი არ არის მისი უშუალო აქტიურობა უმაღლესი სასწავლებლის გახსნის პერიპეტებში, რადგან იგი იმ პერიოდში ოდესაში, ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა.

საერთოდ ცნობილია, რომ ბერიტაშვილს, თავისი ექსპერიმენტების და წიგნების გარდა, ამქვეყნად არაფერი აინტერესებდა. მართალია, ახალგაზრდობაში პოლიტიკას გაუტაცნია და მარქსისტული მოძღვრების მიმდევარიც კი ყოფილა ერთხანს, მაგრამ მალევე მეცნიერების დიდ მორევში გადაშვებულს მხოლოდ ექსპერიმენტული კვლევებისა და მათი შედეგების სტატიებად და მონოგრაფიებად გამოქვეყნება ასაზრდოებდა.

საზოგადოდ, როგორც დიდ მეცნიერებს თან სდევთ ცხოვრებაში, საბჭოთა წყობილების დროს ბედის უკუღმართობა და პოლიტიკური დევნა მასაც არ ასცდენია... უფროსი

ძმა დაუხვრიტეს 1937 წელს, ხოლო 1948-1953 წლებში, განსხვავებული სამეცნიერო კონცეფციის გამო „ანტიპავლოვისტად“ შერაცხული, ძლივს გადაურჩა გადასახლებას. შემდეგ კი „ანტისაბჭოთა მეცნიერად“ დალდასმულს იმასაც კი აბრალებდნენ, რომ ის თითქოსდა სოლიდარობას უცხადებდა აშშ-ის რეაქციონერ მეცნიერებს, რომელთაც ვითომდა სურდათ ატომური ბომბების ჩამოგდება საბჭოთა ქალაქებზე. მასზე შეთითხნილი ისტორიის გამო ივანე ბერიტაშვილს ფიზიოლოგიის ინსტიტუტი დაატოვებინეს და თანამშრომლებს მასთან სიარულსაც კი უკრძალავდნენ ერთხანს, სანამ ე.წ. „დათბობის“ პერიოდი არ დადგა...

ისიც უნდა ითქვას, რომ ივანე ბერიტაშვილი იმ გამონაკლის მეცნიერთა შორისაა, რომლის ღვაწლიც სიცოცხლეშივე დაფასდა. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის დროს არსებულმა „რკინის ფარდამ“ დიდ მეცნიერს საზღვარგარეთ ურთიერთობების ასპარეზი მნიშვნელოვნად შეუზღუდა, მსოფლიო ფიზიოლოგიაში მისი სახელი საერთაშორისო დონის მეცნიერთა შორის ფიგურირებს... არსებობს მიმონერები, მილოცვები, ჩანაწერები, რომლებიც ქართულ საზოგადოებას კარგად აჩვენებს – რა შენაძენია საქართველოსა და მსოფლიოსთვის ივანე ბერიტაშვილი თუ მისი ფიზიოლოგიური სკოლა...

თითქოსდა მას არ აინტერესებდა პოეზია, თუმცა სიბერეში ჩუმად ლექსებიც უწერია... უკმეხობასაც მიაწერდნენ, მაგრამ როცა სპექტაკლს უცქერდა, მალულად ცხვირსახოცით ინმენდდა ცრემლებს, იმდენად გულჩვილი ყოფილა... ასეთი უამრავი საპირისპირო შტრიხის შემცველია მისი ბიოგრაფია და ცხოვრებისეული ეპიზოდები, რომელსაც წარმოგიდგინებთ ნიგნში – „ივანე ბერიტაშვილი – კიდევ ერთი ცდა“.

ენო კაკულია
გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
რედაქტორი, ყურნალისტი



ნერვული სისტემის ფუნდამენტურ კვლევას დასაბამი მიეცა მე-19 საუკუნეში, მაგრამ თავის ტვინისა და ნერვული სისტემის შესწავლაში ახალი ერა დაიწყო მე-20 საუკუნის შუა ხანებში, როდესაც სხვადასხვა ბიო-სამედიცინო დისციპლინები ნერვული სისტემის კვლევას შეუდგნენ საერთო მიდგომით, საერთო კონცეფციებითა და მიზნით – გაერკვიათ ნორმალური და პათოლოგიური ტვინის სტრუქტურა და ფუნქცია. ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ამ პროგრესში, გახლდათ ივანე ბერიტაშვილი – ფიზიოლოგიისა და ნეირომეცნიერების ეროვნული სკოლების ფუძემდებელი საქართველოში. 1958-1960 წლებში ჰერბერტ ჯასპერთან, ანრი გასტოსა და ალფრედ ფესართან ერთად იგი გახლდათ თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (International Brain Research Organization – IBRO) დამფუძნებელი.

სამეცნიერო მოღვაწეობის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ივანე ბერიტაშვილი ითვლებოდა წამყვან ნეიროფიზიოლოგად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირში.

ივანე ბერიტაშვილის თითქმის 70 წლიანი ორიგინალური ექსპერიმენტული და თეორიული კვლევა, რომელიც დაიწყო ნერვ-კუნთოვანი პრეპარატისა და ზურგის ტვინის მარტივი რეფლექსების გარკვევით და დასრულდა რთული ხატისმეიერი მეხსიერებისა და ცხოველთა ფსიქონერვული ქცევის შესწავლით, წარმოადგენს მონუმენტურ წვლილს ფიზიოლოგიასა და ნეირომეცნიერებაში. ფენომენები, რომლებიც მან აღმოაჩინა და ჰიპოთეზები, რომლებიც მან გამოთქვა, წარმოადგენენ მნიშვნელოვან წყაროს თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის მრავალი პრობლემის შემდგომი დეტალური შესწავლისთვის.

თავის ტვინის უმაღლესი ფუნქციების შესწავლისას იგი ცდილობდა გაედო ხიდი ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიას შორის და ძალიან ბევრი გააკეთა მათ დასაახლოე-

ბლად. ზურგის ტვინის რეფლექსების ცენტრალური კოორდინაციის შესწავლის შემდეგ (Беритов, 1916), ბერიტაშვილი შეუდგა პირობითი რეფლექსების კვლევას. მისი ახალი პრობლემით გატაცება განპირობებული იყო ივანე პავლოვთან კონცეპტუალური უთანხმოებით პირობითი რეფლექსების ფორმირების ფიზიოლოგიურ საფუძვლებთან დაკავშირებით. 1920-იანი წლების ბოლოს ბერიტაშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პავლოვ-ბებტერევის პირობითი რეფლექსების გამომუშავების მეთოდი, როდესაც უაღრესად შეზღუდულია ცხოველის ქცევითი აქტიობა, არ წარმოადგენს შესაბამის მოდელს პავლოვის თეორიის ე.წ. „უმაღლესი ნერვული მოქმედების“ გასანვითარებლად. ამის სანაცვლოდ ბერიტაშვილმა შემოიტანა ახალი მიდგომა – ცხოველთა ე.წ. „თავისუფალი მოძრაობის“ ცნება, როდესაც ძალი თავისუფლად არის გაშვებული ექსპერიმენტულ ოთახში. მისი თეორია ცხოველთა ფსიქონერვული აქტიობის შესახებ, რომელიც პირველად მოცემულ იქნა წიგნში (Беритов, 1932), ხოლო გაფართოებულ იქნა შემდგომ მონოგრაფიებში (Беритов, 1947; Бериташвили, 1965, 1971), მყარ შესაბამისობაში იყო ე.წ. „კოგნიტური რუკის“ კონცეფციასთან, რომელიც თავდაპირველად განავითარა ე. ტოლმანმა (1932), ხოლო შემდგომ ჯ. ო'კიფიმ (1978). მიუხედავად მკაცრი კრიტიკისა, რომელიც ბერიტაშვილმა „დაიმსახურა“ 1950-იანი წლების დასაწყისში თავისი არაორთოდოქსული თეორიების გამო, მან უდიდესი წვლილი შეიტანა ცხოველთა ქცევითი ცნებებში თავისი არაორდინალური დოქტრინებით ფსიქონერვული მოქმედებისა და ხატისმიერი მეხსიერების შესახებ.

აი, რას წერდა ივანე ბერიტაშვილისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში ცნობილი ამერიკელი მეცნიერი რობერტ დოტი: „დიდმა მსოფლიო არეულობამ და ანტაგონიზმმა, რომელიც ახლდა თითქმის მთელ მის სამეცნიერო ცხოვრებას, პლუს ენობრივმა ბარიერმა, რომლის გადალახვასაც იგი დაჟინებით ცდილობდა, საბოლოო ჯამში გამოიწვია ბერიტაშვილის ექსტრაორდინალურად მნიშვნელოვანი და უნიკალური იდეების გავრცელების შეზღუდვა და მათი ჩრდილში

ყოფნა. მისი მოსაზრებები სრულად რომ დაფასებულიყო, მათ შეეძლოთ დიდი გავლენა მოეხდინათ ცხოველთა ქცევისა და მეხსიერების შესწავლაზე. მათი მიმზიდველობა იზრდება იმ ფაქტის ცოდნით, რომ მათი ავტორი ავითარებდა ამ იდეებს მთელი ცხოვრების მანძილზე მკაცრად კონტროლირებადი და მაღალი ნიჭიერებით გააზრებული ექსპერიმენტებით“ (Doty, 1975).

მერაბ ცაგარელი,
 ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის
 ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი (2006-2008 წწ),
 ფიზიოლოგი, პროფესორი

2

უნივერსიტატი ყოველთვის ღირსეულად მიაბებს პატივს ივანე ბერიტაშვილის ხსოვნას

ივანე ბერიტაშვილი იმ გამონაკლის მეცნიერთა წრეს მიეკუთვნება, რომელთა მოღვაწეობაც სიცოცხლეშივე დაფასდა. ბევრ ქართველ მეცნიერს მოუპოვებია წარმატება და დაუმკვიდრებია საკუთარი ადგილი მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში, თუმცა იშვიათებს რგებიათ სამეცნიერო სკოლის დამფუძნებლის საპატიო სახელი. ამ ერთეულთა შორის არის ივანე ბერიტაშვილი.

საქართველოში ფიზიოლოგიის სკოლას ივანე ბერიტაშვილმა ჩაუყარა საძირკველი. თუ ამჟამად ბევრი ქართველი ფიზიოლოგის ნაშრომი მსოფლიო მეცნიერების ფონდშია შესული, ეს, პირველ რიგში, ივანე ბერიტაშვილის დამსახურებაა.

თბილისის ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ივანე ბერიტაშვილის თაოსნობით შეიქმნა ფიზიოლოგიის კათედრა, რომელიც მალევე იქცა ფიზიოლოგიის სწავლების მნიშვნელოვან კერად. ამ კათედრაზე, ივანე ბერიტაშვილის თაოსნობითვე, შეიქმნა ფიზიოლოგიის კვლევითი ლაბორატორია, რომელიც მოგვიანებით ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად გადაკეთდა და თავისი მიღწევებითა და სამეცნიერო პოტენციალით მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

ივანე ბერიტაშვილი სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად აქტიურ ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა. ფასდაუდებელია მისი როლი საქართველოში ბიოლოგიურ მეცნიერებათა, კერძოდ, ბიოქიმიის, ბიოფიზიკისა და რადიობიოლოგიის განვითარების საქმეში. იგი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მისივე ინიციატივით შექმნილ ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საზოგადოებას საქართველოში. მსოფლიო მეცნიერების ისტორიაში დღემდე აქტუალურად რჩება მის მიერ 1948 წელს ქალაქ გაგრაში დაფუძნებული ფიზიოლოგიური სიმპოზი-

უმები – ე.წ. „გაგრის საუბრები“, რომელმაც დიდი როლი ითამაშა შემდგომში თავის ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის საქმეში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ღირსეულად მიაგებს ივანე ბერიტაშვილის ხსოვნას პატივს და მუდამ დააფასებს იმ სამეცნიერო მემკვიდრეობას, რომელსაც პირველ ქართულ უნივერსიტეტში ბერიტაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა ჩაუყარეს საფუძველი.

**ბიორგი შარვაშიძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი**



ივანე ბერიტაშვილის ძეგლი თსუ-ის პანთეონში

„ის, რაც მან შექმნა, რაც მან აღმოაჩინა და რასაც მი-
აღწია, არასოდეს არ მოკვდება და ყოველთვის წინ
უბიძგებს მეცნიერების განვითარებას“...

ნიკოლოზ მუსხელიაშვილი

„თქვენ გაქვთ ის, რაც არავის აქვს მსოფლიოში - ეს
თქვენი ხელმძღვანელის იდეებია“

ჰერბერტ ჯასპერი,
კანადა

„ივანე ბერიტაშვილის შრომები ფართოდ არის ცნობილი მთელი მსოფლიოს ელექტროფიზიოლოგებისათვის. იგი ტვინს უყენებდა ამოცანებს, რომლებიც გადაჭრას მოითხოვდა“

ლორდი ედგარ დ. ედრიანი,
ინგლისის სამეფო სამეცნიერო
საზოგადოების პრეზიდენტი

„პროფესორ ი. ბერიტაშვილის სახელი მთელი მსოფლიოს ფიზიოლოგებისათვის არის ცნობილი. ის არის ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ნეიროფიზიოლოგი“.

უოლტერ ტ. ლიბერსონი,
პროფესორი

3

ბიოგრაფიის ძირითადი შტრიხები

მეორე ივანე

ივანე ბერიტაშვილი იყო გამოჩენილი მეცნიერი-ფიზიოლოგი, დიდი ექსპერიმენტატორი და თეორეტიკოსი. მან მსოფლიო მეცნიერების ასპარეზზე სახელი გაუთქვა საქართველოს და თავის ქვეყანას დაუტოვა ორიგინალური სამეცნიერო სკოლა – თავის დროზე ერთ-ერთი უძლიერესი როგორც ერუდიციით, ისე მეცნიერული შემოქმედების დიპაზონით. ბერიტაშვილამდე ჩვენში მეცნიერული ფიზიოლოგია არც არსებობდა. თუმცა ბერიტაშვილამდეც იყო პეტერბურგში საყოველთაოდ ცნობილი ფიზიოლოგის ივანე სეჩენოვის მოსწავლე – მსოფლიოში სახელგანთქმული ფიზიოლოგი ივანე თარხნიშვილი, მაგრამ თავის ქვეყანაში მოღვაწეობა ამ მეცნიერს აუხდენელ ოცნებად დარჩა და ისე გარდაიცვალა, რომ ბევრმა არც იცოდა მისი ქართული

ნარმომავლობა. როგორც გადმოცემითაა ცნობილი, იგი თურმე ამაოდ ცდილობდა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში თბილისში პატარა ფიზიოლოგიური ლაბორატორია მოეწყო – მეფის რუსეთის კოლონიაში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. სურვილი სურვილად დარჩენილა. მხოლოდ ქართველ პატრიოტთა ნაწილი ადევნებდა თვალს საქართველოდან ივანე თარხნიშვილის მოღვაწეობას და მისი სახელის გაჭრას მსოფლიო სარბიელზე. თარხნიშვილი არ ივინ-



ივანე თარხნიშვილი (1846-1908)

ყებდა თავის ქვეყანას. 1871 წელს თბილისშიც ჩამოსულა, სადაც საჯარო ლექციების კურსი წაუკითხავს ფიზიოლოგიაში. დროდადრო იგი სამეცნიერო წერილებს გზავნიდა კავკასიის ექიმთა საზოგადოების ნაშრომთა კრებულში. თან ამ საზოგადოებას მუდმივად რჩევა-დარიგებებით ეხმაურებოდა ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც მოსახლეობის გაჯანსაღებას ხელს შეუწყობდა. იგი ყოველი სასიკეთო საქმის მოსარჩლე და თავის ქვეყნის პატრიოტი იყო. ივანე თარხნიშვილი იმ საგანგებო კომისიის შემადგენლობაშიც კი შედიოდა, რომელიც მთავრობას ქართული უნივერსიტეტის გახსნას შესთხოვდა. 1908 წელს რუსეთის მიწამ მიიზარა რუს მეცნიერად, ტარხანოვად წოდებული ივანე თარხნიშვილის ცხედარი. იმავე წელს სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა მეორე ივანე – ივანე ბერიტაშვილი.

მეთერთმეტე ოჯახში

ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილი დაიბადა (1884 წლის 29 დეკემბერს (ძვ. სტ.) 1985 წლის 10 იანვარს კახეთში, სიღნაღის მაზრის სოფელ ვეჯინში (ახლანდელი გურჯაანის მუნიციპალიტეტი), რომელიც იმხანად ერთ-ერთ პატარა რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა.



ბერიტაშვილები ქართლელები გახლდნენ, თბილისის მახლობელ სოფელ ავჭალიდან.

მამა – სოლომონ ბერიტაშვილი სოფლის მღვდელი იყო. ცხრა შვილის პატრონ ღარიბ მღვდელს სარჩო წლიდან წლამდე არ ჰყოფნიდა. იგი თავის პატარა ბალ-ვენახებში სხვა გლეხებზევით თურმე დაუღალავად შრომობდა. გამრჯე და გონიერი

სოლომონი, რომელიც დარბაისლობით გამოირჩეოდა, მოსახლეობას ძალზედ შეჰყვარებია და გლეხთა პატივისცემა დაუმსახურებია. იგი ყოფილა გლეხთა მრჩეველიც, დამხმარეც და ჭკუის დამრიგებელიც.

დედა – სალომე სამჭკუაშვილი ოჯახის კარგი დიასახლისი გახლდათ. მას 12 შვილიდან 3 ადრეულ ბავშვობაში გარდაეცვალა. მოსიყვარულე და გულისხმიერი ქალი ყოფილა. თუ სოფელში ვინმეს რაიმე გაუჭირდებოდა, უმალ სალომეს მიაშურებდა: ვინ წამალს სთხოვდა ავადმყოფისთვის, ვინ ოჯახის გასაჭირს მოუყვებოდა და მის გონივრულ რჩევას მოისმენდა.

ივანე ოჯახში მეთერთმეტე შვილი ყოფილა. როგორც მას ახასიათებენ, „გამრჯე და გონიერი“ ბიჭი დიდი მუყაითობით გამოირჩეოდა, რითაც სიცოცხლის ბოლომდე ანცვიფრებდა გარშემო მყოფთ. ფიზიკურად კი სუსტი აღნაგობისა ყოფილა – „ჭიდაობაში მონაწილეობას არ ვიღებდი, არც დიდი ძალა მქონდა, არც სიმაღლე“, – ამბობდა მოგვიანებით ივანე საკუთარ შესაძლებლობებზე.

დანყებითი განათლება – თელაველობიდან ქალაქელობამდე...

წერა-კითხვა პატარა ვანოს თავისი სოფლის – ვეჯინის სკოლაში უსწავლია სამი წლის მანძილზე.

1892 წელს მშობლებმა იგი თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს დანყებითი განათლების მისაღებად, სადაც დაჰყო 1899 წლამდე. ვანო ბერიტაშვილს სწავლის სიყვარული სწორედ თელავის სასულიერო სასწავლებელში გაღვიძებია, რადგან იმხანად სასწავლებელში ბევრი შესანიშნავი პედაგოგი და საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნება მოღვაწეობდა. გეოგრაფიას ასწავლიდა მწერალი ვასილ ბარნოვი, სიმღერას – კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, ქართულსა და ბუნებისმცოდნეობას – ილია ზარაფიშვილი, ხოლო რუსულს მისი ძმა ქრისტეფორე. მათი გავლენით პა-

ტარა ვანოს წიგნის კითხვა ისე შეყვარებია, რომ რაც კი ქართული წიგნი ყოფილა სასწავლებლის ბიბლიოთეკაში, ყველა გადაუკითხავს.

თელავში სწავლის პერიოდი იმითაც არის საგულისხმო, რომ თურმე ბევრი მასწავლებელი ცდილობდა ხელი გაემართა სამოსელმემომგლეჯილი, მაგრამ იშვიათად ბეჯითი ვეჯინელი ბიჭისთვის.

ივანე ბერიტაშვილი, რომელიც დღიურებს აწარმოებდა, თელავში სწავლის პერიოდსაც ასე უმხელდა დღიურის ფურცლებს: „შინიდან ძალიან ცოტა ფულს მიგზავნიდნენ. ძალიან ბევრსა ვწვლობდი რვეულის ან წიგნის ფულის შოვნისათვის. ტანსაცემელს წელიწადში ერთხელ ძლივს ვყიდულობდი. თითქმის სულ დახეულ-დაკერებული დავდიოდი. ფეხსაცმელებისათვის ფულს თუ თავის დროზე არ მომანვდიდნენ, ახალი მესტები ერთ თვეში მიცვდებოდა და მერე ქუსლებ და თითებ გამოყოფილი დავდიოდი. ერთხელ ზამთარში ფეხსაცმლის უქონლობის გამო სამი დღე სასწავლებელში ვერ წავედი. თუ ფული ექნებოდა სახლის პატრონს, მიყიდდა ხოლმე და მამაჩემს დაავალებდა გადახდას. პირველ კლასში მარშაკმა მაჩუქა ფული, წადი მესტები იყიდეო. საცოდავად ვიყავ აბრანძული. ხომ ხედავდნენ ჩემს სიღარიბეს, სახელმწიფო ხარჯზე მაინც არ მიღებდნენ – მამა გყავს და მეტი რა გინდაო“, – წერს ივანე თავის დღიურში.

სამი კლასი დაამთავრა ივანემ თელავის სასულიერო სასწავლებელში და მისი ძმების შეგონებით, რომლებიც იმჟამად უკვე თბილისში სწავლობდნენ, მამა სოლომონი დათანხმდა, რომ ივანეც თბილისში გადასულიყო. ასე რომ, 1901 წელს ივანე ბერიტაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა. აი, როგორ აღწერს ბერიტაშვილი თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლის დანყების პერიოდს: „როგორც ყველამ იცის, თელავიდან ქალაქის სასწავლებელში გადასული მოწაფე ვერაფერს გააწყობს, როგორც უნდა ეცადოს. მაგალითი მე ვარ. მიმიღეს ერთი ბალღი პატარა, სრულებით მოკლებული თვითგამგეობას, რუსულის ლაპარაკის არ მცოდნე, მაგრამ მშრომელი, განუწყვეტლივ

მეცადინე და ამით მათი პატივი დავიმსახურე. სწავლა აქ სულ ერთიანებიდან დავიწყე. მასწავლებლები სულ ცალი თვალით მიყურებდნენ, ცალკებით მელაპარაკებოდნენ, დამცინოდნენ, მიჯავრდებოდნენ – რა მოგარბენინებდა აქაო. გრეკოვმა კარგად დამტუქსა კიდეც და უნიგნურობის მიზეზით ერთი „ედინიცა“ დამისვა. ეს ასე მოხდა: გრეკოვმა, შემოვიდა თუ არა, აათვალ-ჩაათვალიერა კლასი, მე გაკვეთილი არ ვიცოდი და როცა მიზეზი მკითხა, მე ვუპასუხე – „კნიგა ნეტუ“. აბა იმისთანა სიცილი აუტყდათ მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც, მეტი არ შეიძლება, ჩემი რუსული რომ გაიგონეს. მე კი თავი მომქონდა – არაფერში ჩამოგივარდებით-მეთქი. ეს „ედინიცები“ კი მთლად მარცხვენდნენ... მთელი ოთხი თვის განმავლობაში რანდენიმე ჩემმა ცდამ უქმად ჩაიარა და ერთიანზე მეტი ვერაფრით დავიმსახურე. „სმოტრიტელსაც“ ვერაფრად მოსწონდა ჩემი მეცადინეობა და მითხრა კიდეც: – კარგად ისწავლე, თორე აქ შენისთანები ბევრი გვყოლია და პანღურს ამოგკრავთო. მე თელაველს მეძახდნენ, ქალაქელებში არ მრევდნენ – ამათ ეწყინებათ, შენისთანა უცოდინარი ამათთანა ბრძენებთან ერთად ვთქვართო. მაგრამ, როცა სწავლა თანდათან კარგად მიდიოდა, პატარა შემოტრი-ალდნენ და ბოლოს მეცადინეობის მაგალითად მთვლიდნენ. მხოლოდ წერის საქმე მიდიოდა ცუდად, თორემ საგნებში ბევრს გავუსწარი. ზედამხედველმა ბოლოს აღიარა, რომ მე უკვე თელაველებს აღარ წავაგავდი და ქალაქელად მომნათლეს. მასწავლებლები, მეტადრე ზედამხედველი სულ იმას მირჩევდნენ – სადმე რუსთან გადადი, შენი ნაკლოვანება მარტო რუსული ლაპარაკის არცოდნაოო. თებერვალში გადავედი ერთ ქვრივ რუს დედაკაცთან. იმასთან იდგნენ ჩვენი კლასელები გაგუა და სვანიძე (რაჟდენ გაგუა შემდეგში ცნობილი იურისტი იყო, ალექსანდრე სვანიძე კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განათლების პირველი სახალხო კომისარი გახლდათ საქართველოში). ორივენი კაი გულისანი იყვნენ, წიგნებს ბევრს კითხულობდნენ და მათი წამხედურობით მეც დავიწყე წიგნების კითხვა“, – წერს თავის დღიურში ივანე ბერიტაშვილი.

სემინარიელი ბერიტაშვილის რევოლუციური მიდრეკილებები და პოლიტიკით გატაცება

სოლომონს სურდა, რომ ვაჟი მის კვალს გაჰყოლოდა და მღვდელმსახური გამოსულიყო. თავიდან ვანო მისთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით მეცადინეობდა, მაგრამ შემდგომ სემინარიამ ძირეული ცვლილება მოახდინა ახალგაზრდის აზროვნების განვითარებასა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. იმ დროისთვის თბილისის სასულიერო სემინარია რევოლუციურად განწყობილი მარქსისტი ახალგაზრდების საბუდარად გადაქცეულიყო. ასეთი, ერთი შეხედვით, პარადოქსული ამბავი, ძირითადად, იმ მძიმე რეჟიმის შედეგი იყო, რომელიც შავრაზმული პოლიტიკის გამო იყო იქ გამეფებული. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი არც ივანეს დარჩენია შეუმჩნეველი. იგი ანალიზს უკეთებს სემინარიაში შექმნილ მდგომარეობას: „თუ მონაფემ პირუტყვული მონობა არ გამოუცხადა, მას მაშინვე რაიმე მიზეზს გამოუჩინებდნენ და სასწავლებლიდან გააძევებდნენ. შემდგომ კლასებში დარჩენილნი კი განუვითარებელნი არიან საშინლად და მისთანებისა მთავრობას არაფრის ერიდება. ისინი მთავრობას ურჩობას ვერ გაუწევენ. ფარისეველნი არიან, ე.ი. მათდამი პატივისცემას იჩენენ დიდი უტყყვი მორჩილებით, ხშირი თავმდაბალი ქუდის მოხდით, უფრო კიდევ თავის საწმენოების გამოჩენით: ხშირი პირჯვრის წერით, მუხლმოყრით და საყდარში ლოცვების კითხვით. მოკლედ, ასეთნი დაუბრკოლებრივ გადადიან შემდეგ კლასში. მათი გადასვლისა და სასწავლების დამთავრების ხარისხი დამოკიდებულია არა სწავლაზე, არამედ იმაზე, თუ თავის მმართველის ან რექტორის წინაშე მლიქვნელობაში ვინ რამდენ ხარისხს მიაღწია“, – ამას აღშფოთებით წერს სემინარიელი ივანე ბერიტაშვილი. ამ ჩანაწერით ცნობილი ხდება ისიც, თუ რა შავრაზმულ პოლიტიკას ეწეოდნენ მეფის მოხელეები მცირერიცხოვანი ერების შვილთა, კერძოდ, ქართველთა მიმართ. „იშვიათად მოხდება – წერს ბერიტაშვილი, – რომ რუსი მონაფე აიძულონ და გამოგდებადის მიიყვანონ საქმე. რუსს ყველაფერი ეპატიე-

ბა, როგორც ბატონიშვილს პაპიროსის ნევა, სიმთვრალეც, ქალებთან სიარულიც, მასწავლებლების გალანძღვაც, ორიანებიც და ერთიანებიც“, – აღნიშნავს ივანე ბერიტაშვილი. მისი გადმოცემით, მოსწავლეთა პროგრესულ ნაწილში სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებდა ინტერნაციონალური სულიკვეთება და რევოლუციური განწყობილება.

როგორც ჩანს, სულის ცხონებაზე ზრუნვამ და საეკლესიო იდეებისადმი ერთგულების დანერგვამ სემინარიელებში საწინააღმდეგო ნაყოფი გამოიღო. მათ შორის სულ უფრო და უფრო ვრცელდებოდა მატერიალისტური ფილოსოფია და მარქსისტული ლიტერატურა ხელიდან ხელში გადადიოდა. ამ ვითარებაში საინტერესოა ივანეს აზროვნების ევოლუცია – მღვდლის ოჯახში გაზრდილი მორწმუნე ახალგაზრდა იმ აქტივისტად ჩამოყალიბდა, რომელიც თავსაც არ იზოგავდა რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის. და მალე, როცა საფუძვლიანად გაეცნო მარქსის მოძღვრებას, მარქსისტების ჯგუფს მიემხრო, რომელიც მისივე მოწმობით, სულ უფრო და უფრო მეტ მომხრეებს იძენდა საღად მოაზროვნე მოსწავლეთა შორის. პირველი ემოციური ბიძგი გლეხი კაცის ისტორიის წაკითხვას გამოუწვევია. „დღეს, როცა წაკითხულის შთაბეჭდილების ქვეშ ვიყავი, – წერს იგი თავის დღიურში, – უცებ თვალი მოვკარი კედელზე იმპერატორის პორტრეტს მისი ოჯახიანად. წაკითხულიდან დამამხსოვრდა გლეხის ნათქვამი: – „ეჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ სხვადასხვა ერს ერთმანეთში შეთანხმება შეეძლოს, რა კარგი იქნება, რომ თავიდან მოვიშოროთ ქვეყნის მტერი მეფენი, რომელნიც კაცობრიობას ძალად ხალხებად ჰყოფენ და მით დიდებას იხვეჭენ. სამოთხე საიქიოს კი არა, სააქაოს იქნებოდა“. მაშინვე მომაგონდა ჩვენი იმპერატორის მკაცრი დამოკიდებულება ამ სრულიად თავისუფლებისმოყვარე სტუდენტებისადმი და მუშათა კლასისადმი, რომელიც იმპერატორის ბრძანებით პოლიციას მარწუხებში ჰყავს. ჩემში გაიღვიძა მისადმი სიძულვილმა, რადგან მისი გრძნობების გამო აქამდე არ არის სამოთხე ამ ქვეყნად. წინათ კი მას მუდამ ვამართლებდი, რადგან ყველა კეთილ არსებას ახასიათებს თავდაცვა. წაკითხულის ასეთი

შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა ჩამოვიღე კედლიდან ეს პორტრეტი, ავიღე შანდალი და ვურტყი პორტრეტს იმ ადგილას, სადაც იმპერატორის თავი იყო გამოსახული, მერე კი ნაკუნ-ნაკუნ დავხიე“, – წერს ივანე ბერიტაშვილი, რომელიც, როგორც ჩანს, უკვე მომნიფებული იყო პოლიტიკური აქტიურობისთვის.

ივანემ 1903 წელს მიატოვა სემინარია და სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაება აქტიურად. ივანე ბერიტაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში ასე იგონებს იმ პერიოდს: „სემინარიამ მომცა ის, რაც არ შეეძლო მოეცა არც ერთ სკოლას – ეს იყო რელიგიისადმი სიძულვილი, ხანგრძლივი გონებრივი მეცადინეობის უნარი, მუშათა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასთან მიერთება. დეტალი: მე იმდენად ვიყავი ათეისტი, რომ შემდგომ ვიცხოვრე რა 10 წელი პეტერბურგში, არც ერთხელ არ წავსულვარ ისაკის ტაძრის ან ყაზანის ტაძრის სანახავად“. პროპაგანდისტური მუშაობისთვის ახალგაზრდა ვანო ორჯერ სცემეს „შავრაზმელებმა“ 1905-1906 წლების რეაქციის პერიოდში.

უმაღლესი განათლება და გატაცება ფიზიოლოგიით

არსებული ვითარების გამო, ივანე ბერიტაშვილმა გადაწყვიტა რუსეთში წასულიყო სასწავლებლად და განათლება მიეღო სოციალურ-ეკონომიურ საკითხებში. იგი სათანადოდ მოემზადა და 1906 წელს ახალგაზრდა ივანემ წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის მე-2 გიმნაზიაში სიმნიფის ატესტატის მისაღებად. იგი თავდაპირველად გაემგზავრა მოსკოვში, ხოლო აქედან სანკტ-პეტერბურგში. მისდა სამწუხაროდ, სოციალურ-ეკონომიური მიმართულების ფაკულტეტი იმ დროისთვის არც მოსკოვისა და არც სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში არ აღმოჩნდა. ამის გამო ივანემ გადაწყვიტა დროებით პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე შესულიყო, იმ იმედით, რომ მოგვიანებით

გაიხსნებოდა მისთვის სასურველი მიმართულება. ამასთან იგი კარგად იცნობდა ჩარლზ დარვინისა და სხვა ბუნებისმეტყველ მეცნიერთა შრომებს. თუმცა მესამე კურსზე სწავლისას სტუდენტი ივანე ისე გაიტაცა ფიზიოლოგიამ, რომ სულ გადაავიწყდა თავისი პირვანდელი გატაცება.

ბერიტაშვილმა, მესამე კურსის სტუდენტმა, ექსპერიმენტული კვლევა დაიწყო ცნობილი რუსი ფიზიოლოგის ნიკოლაი ვედენსკის (1852-1922) ხელმძღვანელობით,

რომელიც აგრეთვე გახლდათ მღვდლის შვილი და სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში. მსოფლიო ფიზიოლოგიური საზოგადოება მას იცნობს, როგორც ე.წ. „ოპტიმუმი“-სა და „პესიმუმი“-ს ფენომენების აღმომჩენს. უკანასკნელ მოვლენაზე დაყრდნობით, 1903 წელს მან დაადგინა, რომ პერიფერიული ნერვის ელექტრული გალიზიანების სიხშირის გაზრდა, თავდაპირველად ავითარებს რა ნერვ-კუნთის პრეპარატის პასუხის გაძლიერებას, შემდგომში იწვევს შეკუმშული კუნთის სრულ მოდუნებას („ვედენსკის შეკავება“). მის ლაბორატორიაში ბერიტაშვილი სწავლობდა ბაყაყის ჩონჩხის კუნთების რეციპროკული ინერვაციის პრობლემას და დაადგინა, რომ ზურგის ტვინის დორსალური რქის ლოკალური სტრიქინით მოწამვლა არ არღვევს „მოცილების“ რეფლექსის კოორდინაციას. მისი პირველი შრომა თავდაპირველად გამოქვეყნდა „სანკტ-პეტერბურგის ბუნებისმეტყველთა საზოგადოების შრომებში“ (1910 წ.), ხოლო შემდეგ სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის შრომებში (1911 წ.). წინა წელს ბერიტაშვილმა დაამთავრა



ივანე ბერიტაშვილი
სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის
სტუდენტი (1910 წ.)

უნივერსიტეტი და ვედენსკიმ მიიწვია იგი უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში სამუშაოდ, თავდაპირველად ორწლიანხვერით, ხოლო შემდგომ კიდევ ორი წლით.

1911 წელს ბერიტაშვილი ვედენსკის რეკომენდაციით გაემგზავრა ქ. ყაზანში პროფესორ ა. სამოილოვთან (1867-1930) ნერვებიდან და კუნთებიდან ელექტრული დენის სიმიანი გალვანომეტრით რეგისტრაციის მეთოდის ასათვისებლად. თავის მხრივ, სამოილოვმა აღნიშნული მეთოდი შეისწავლა 1904 წელს ქ. ლეიდეში ჰოლანდიელ ვილემ ეინტჰოვენთან (1860-1927) მუშაობის დროს. მოგვიანებით, 1921 წელს ეინტჰოვენმა დაიმსახურა ნობელის პრემია ელექტროკარდიოგრაფიის აღმოჩენისთვის.



ნიკოლოზ ვედენსკი

1914 წელს, გაზაფხულზე, ვედენსკის მხარდაჭერით, ივანე ბერიტაშვილი გაემგზავრა ჰოლანდიის ქ. უტრეხტში რუდოლფ მაგნუსთან (1873-1927) სამუშაოდ, რათა აეთვისებინა ძუძუმწოვრებში ნეიროქირურგიული ოპერაციები (დეცერებრაცია, დორსალური ფესვების გადაჭრა და სხვა.), შეესწავლა სხეულის მდგომარეობის, კისრისა და ლაბირინთის რეფლექსები (შემდგომში მაგნუს – დე კლაინის რეფლექსები). სამი თვის შემდეგ, პირველი

მსოფლიო ომის დაწყების გამო, ბერიტაშვილი იძულებული შეიქნა შეენწყვიტა კვლევითი მუშაობა და დაბრუნებულიყო სანკტ-პეტერბურგში.

როგორც ცნობილი ამერიკელი მეცნიერი მერი ბრეზიე იგონებს, 1962 წლის აგვისტოში, ჰოლანდიის ქ. ლეიდეში ფიზიოლოგიურ მეცნიერებათა საერთაშორისო კონგრესის დროს, იგი და მასთან ერთად ოტო მაგნუსი, ვილიამ სტორმ

ვან ლეუვენნი და პროფესორი ბერიტაშვილი მეუღლესთან ერთად ესტუმრნენ რუდოლფ მაგნუსის საფლავს. „როდესაც ვიდექით ხეებს შორის და ვისმენდით ბერიტაშვილის სიტყვას, მიძღვნილს რუდოლფ მაგნუსისადმი, რომელსაც ის კითხულობდა გერმანულ ენაზე, წარმოგვიდგა მოგონებები ბედნიერი სამეცნიერო თანამშრომლობისა, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ ჩაისახა და რასაც ახლდა ძლიერი ნოსტალგია და სინანული სათანადო განუვითარებლობის გამო“; და კიდევ: „მაგნუსის მრავალმხრივი წიგნი, სახელწოდებით – „Körperstellung“ ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი ინგლისურად, რომ აგვისტოს იმ საღამოს ჰოლანდიურ სასაფლაოზე პროფესორმა ბერიტაშვილმა დაასაჩუქრა მაგნუსის ვაჟი ამ ცნობილი წიგნის სრული რუსული თარგმანით“.

1915 წელს ივანე ბერიტაშვილმა დატოვა სანკტ-პეტერბურგი და გადავიდა ქ. ოდესაში, ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების ფიზიოლოგიის კათედრაზე პროფესორ ვ. ზავიალოვის უფროს ასისტენტად. აღნიშნული კათედრა დაარსებული იყო რუსული ფიზიოლოგიის მამამთავრის ივ. სეჩენოვის (1829-1905) მიერ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა ექვსი წლის (1870-1876) განმავლობაში. ერთი წლის შემდეგ ბერიტაშვილი არჩეულ იქნა პრივატ-დოცენტად და დაევალა ნერვ-კუნთოვანი სისტემის ფიზიოლოგიის კურსის კითხვა. ამავე პერიოდში მან დაიწყო ძაღლებში თავდაცვითი რეფლექსების შესწავლა ვ. ბეხტერევის (1857-1928) მეთოდით.

ივანე ჯავახიშვილისგან მიწვევა და ფიზიოლოგიური სკოლის დაარსება ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში

1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ საქართველომ მცირე ხნით, 1918-1921 წლებში, მიიღო დამოუკიდებლობა. სწორედ ამ დროს, 1918 წელს სანკტ-პეტერბურგიდან დაბ-



ივანე ბერიტაშვილი, უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგე (1919 წ.)



ივანე ჯავახიშვილი, ტფილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი

რუნებულმა ივანე ჯავახიშვილმა თანამოაზრეებთან ერთად დააარსა ტფილისის უნივერსიტეტი და ბერიტაშვილი მიიწვია ფიზიოლოგიის კათედრისა და ფიზიოლოგიის სასწავლო კურსის შესაქმნელად.

ჯერ კიდევ არ იცოდა რა, რომ ცხოვრების უდიდეს ნაწილს გაატარებდა სამშობლოში, ივანე ბერიტაშვილი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სამუშაოდ გადავიდა ქ. ოდესაში, ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში, სადაც დაჰყო ოთხი წელი 1915 წლის შემოდგომიდან 1919 წლის შემოდგომამდე. მიუხედავად სამეცნიერო ხარისხის არქონისა, სულ მალე ის არჩეულ იქნა პრივატ-დოცენტად. აქ ბერიტაშვილი კითხულობდა ლექციებს და მუშაობდა ლაბორატორიაში.

რუსეთში სამოქალაქო ომით გამოწვეული მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, მან ჩაატარა საინტერესო ექსპერიმენტები ძალღებსა და მტრედებში პირობითი რეფლექსების გამომუშავების საკითხებზე. მან აგრეთვე შეისწავლა ძალღების თავის ტვინის ქერქზე სტრიქინინის მოქმედების ეფექტები. მაშინდელი მდგომარეობისა და საქართველოში

დაბრუნების გამო მისი ეს შრომები მოგვიანებით გამოქვეყნდა.

ივანე ბერიტაშვილის ოდესაში ცხოვრების დროს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო შეხვედრა ოლგა ანტონის ასულ ნივინსკაიასთან. იგი გახლდათ ბერიტაშვილის სტუდენტი და, გაცნობიდან ორი წლის შემდგომ, ეს ახალგაზრდა სიმპათიური ქალიშვილი ბერიტაშვილის მეუღლე გახდა. 1919 წლის სექტემბერში ახალდაქორწინებული წყვილი ოდესიდან გემით დაბრუნდა საქართველოში.

1919 წლის შემოდგომიდან ივანე ბერიტაშვილი თბილისის უნივერსიტეტში შეუდგა ფიზიოლოგიის სასწავლო კურსის კითხვას ექსპერიმენტული დემონსტრაციებით და აგრეთვე კვლევით მუშაობას მის მიერ დაარსებულ ფიზიოლოგიის კათედრაზე, რომელიც უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილების საფუძველზე შეიქმნა. ასე ჩაუყარა ბერიტაშვილმა მყარი საფუძველი ფიზიოლოგიისა და ნეირომეცნიერების ქართულ ეროვნულ სკოლებს, სამეცნიერო ტრადიციებსა და ექსპერიმენტულ პრაქტიკას, რომელთაც დღეს აგრძელებს ქართველ მკვლევართა მეექვსე თაობა.

უკვე 1920-1921 წლებში მან გამოსცა ფიზიოლოგიის პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელო ორ ტომად (პრაქტიკულ წიგნთან ერთად), ხოლო 1922 წელს რუსულ ენაზეც. იმავე დროს მან ჩამოაყალიბა ფიზიოლოგიის კვლევითი ლაბორატორია და დაიწყო ინტენსიური მუშაობა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამით ბერიტაშვილმა ხორცი შეასხა რუსეთში მოღვაწე ცნობილი ფიზიოლოგის ივანე თარხნიშვილის (1846-1908) ოცნებას – საქართველოში არსებულიყო ფიზიოლოგიური ლაბორატორია.

უაღრესად რთულ პირობებში უხდებოდა ივანე ბერიტაშვილს სრულიად ახალი სამეცნიერო მიმართულების განვითარება სამშობლოში. როდესაც იგი ოდესიდან თბილისში გადმოვიდა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მას საკმაოდ დიდი ფართობი გამოუყო კათედრის მოსაწყობად, მაგრამ ცარიელი კედლების მეტი არაფერი იყო. საქართველოში ფიზიოლოგიური ხელსაწყოები არსად არ მოიძებნებოდა,

უცხოური აპარატურის შესაძენი ფული კი უნივერსიტეტს არ გააჩნდა.

პატრიოტული სულისკვეთებით გულანთებულმა ახალგაზრდა მეცნიერმა დიდი ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა და სულ მალე იპოვა გამოსავალი. მან თბილისის სხვადასხვა სახელოსნოს დაუკვეთა ზოგიერთი ხელსაწყო, ხოლო შემდგომ ლაბორატორიასთან გახსნა მექანიკური სახელოსნო. ამ მიზნით ბერიტაშვილმა სამუშაოდ მიიწვია თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატი კარლ შტრაუსი, რომელმაც უმოკლეს ვადაში დაამზადა სხვადასხვა ხელსაწყო არა მარტო სტუდენტებთან პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად, არამედ კვლევითი მუშაობისთვისაც. ამის შემდეგ, ბერიტაშვილმა ისიც მოახერხა, რომ საქართველოს შავი ქვის (მარგანცის) მრეწველობის სააქციო საზოგადოების ფინანსური დახმარებით გერმანიიდან გამოიწერა იმ დროისათვის მეტად იშვიათი აპარატურა, მათ შორის, სიმიანი გალვანომეტრი ელექტროფიზიოლოგიური ექსპერიმენტებისთვის. ამასობაში მოგვარდა სხვა ორგანიზაციული საკითხებიც: აშენდა ვივარიუმი ცხოველების შესანახად და გამოიყო მომგვლელი პერსონალის შტატი; სტუდენტი ახალგაზრდები დაინტერესდნენ ფიზიოლოგიით და მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდა მასწავლებელს. შემდგომში სწორედ ეს ფიზიოლოგიური ლაბორატორია გახდა საფუძველი კვლევითი ინსტიტუტის დასაარსებლად.

ბერიტაშვილის მიერ დაარსებული ფიზიოლოგიის ინსტიტუტის შორს გავარდნილი სახელი

1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის ბაზაზე ბერიტაშვილმა დააარსა ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც, ფაქტობრივად, დაარსებისთანავე (ბერიტაშვილის დაბადებიდან 50 და სამეცნიერო მოღვაწეობიდან 25 წლისთავის გამო) მიენიჭა მისი სახელი. სამეცნიერო-კვლევითი

თი ინსტიტუტის დაარსების იდეა ბერიტაშვილს მოუვიდა 1920-იან წლებში, რათა მთავრობის მხრიდან უფრო მეტი დაფინანსება მიეღო ექსპერიმენტული მუშაობისათვის. თავიდან იდეოლოგიური საბაზით და თავდაცვის მიზნით იგი ფიქრობდა შრომის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დაარსებას, რომელთა მსგავსი მრავლად იყო იმდროინდელი საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში. საბოლოოდ, 1934 წელს, ბერიტაშვილმა უნივერსიტეტში დააარსა ექსპერიმენტული ბიოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც ერთი წლის შემდეგ გადაერქვა სახელი და ეწოდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი.



ივანე ბერიტაშვილი, თბილისის
უნივერსიტეტის ახალგაზრდა
პროფესორი (1924 წ.)

მანამდე, 1930 წელს, უნივერსიტეტს ცალკე გამოეყო სამედიცინო ინსტიტუტი, ამჟამად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომლის ფიზიოლოგიის კათედრის ორგანიზებაში ბერიტაშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა. პირველი კათედრის გამგე გახლდათ გ. ვანაძე (1893-1971), ხოლო შემდგომ ალ. ბაკურაძე (1905-1987) – ბერიტაშვილის ერთ-ერთი მოწაფე და უახლოესი მეგობარი. კათედრის კვლევითი მუშაობა მიმართული იყო ვისცერალური სისტემების შესწავლისადმი, კერძოდ, საჭმლის მონელებისა და კუჭ-ნაწლავის სისტემის ფუნქციის რეგულაციის, სუნთქვის, ენერგიის ცვლისა და კვებისადმი.

სამედიცინო ინსტიტუტისგან განსხვავებით, უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრასა და ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ფუნდამენტური გამოკვლევები ძირითადად მიმართული იყო ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) შესწავლისკენ. თუმცა, იმავე დროს, პერიფერიული ნერვული

სისტემის არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემებიც შეისწავლებოდა. 1938-1939 წლებში სიმიანი გალვანომეტრი შეცვალა კათოდურმა ოსცილოსკოპმა. ბერიტაშვილი პირველი იყო საბჭოთა კავშირში, რომელმაც გამოიყენა ოსცილოსკოპი და აგრეთვე ფართოდ დანერგა ინსტიტუტში იმ დროისათვის ახლად შემოსული ჰორსლი-კლარკის სტერეოტაქსული აპარატი ექსპერიმენტული ცხოველის თავის ტვინში ელექტროდების ჩასანერგად.

* * *

1940-იანი წლების დასაწყისში ივანე ბერიტაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა ყოფილ საბჭოთა კავშირში წარმატებით გამოიყენა ფიზიოლოგიური ექსპერიმენტებისთვის ელექტროენცეფალოგრაფიული ტექნიკა. მან და მისმა მოწაფეებმა ეს მეთოდი შემოიღეს არა მარტო თავის ტვინის ნორმალური მოქმედების შესასწავლად, არამედ თავის ტვინის სხვადასხვა დაავადებათა გამოსავლენად. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ეპილეფსიის შესწავლა. ბერიტაშვილმა და მისმა თანამშრომლებმა ვრცელი გამოკვლევები მიუძღვნეს ელექტროენცეფალოგრაფიულ ცვლილებებს სხვადასხვა სახის ეპილეფსიის დროს. საინტერესოა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს თბილისის ევაკო-ჰოსპიტლებში ბერი-



ივანე ბერიტაშვილი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დამაარსებელი (1934 წ.)

ტაშვილი და მისი კოლეგები ელექტროენცეფალოგრაფიულად იკვლევდნენ დაჭრილ და ეპილეფსიით დაავადებულ მეომრებს და ამით ეხმარებოდნენ ექიმებს დიაგნოზის დაზუსტებაში. ამის შემდგომ ელექტროენცეფალოგრაფია ფართოდ და წარმატებით იქნა დანერგილი საქართველოს საავადმყოფოების ნევროლოგიურ განყოფილებებსა და კლინიკური და ექს-

პერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტში პროფ. პ. სარაჯიშვილის (1894-1984) მიერ.

ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული ელექტროენცეფალოგრაფიული გამოკვლევებიდან აღსანიშნავია ბერტაშვილის ერთ-ერთი ნიჭიერი მოწაფის, ნაადრევად გარდაცვლილი მეცნიერის ლ. ცქიფურიძის (1903-1950) შრომები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ ცხოველის ძილის ფაზების შესწავლა. ფაქტიურად მან პირველმა აღწერა კატის ძილის ელექტროენცეფალოგრაფიულ სურათში განსაკუთრებული ფაზა, რომელსაც უწოდა „მოუსვენარი“ ძილი. მოგვიანებით, 1955 წელს, მოზარდებისა და ზრდასრული ადამიანების ძილის შესწავლის საფუძველზე, ამერიკელმა მკვლევარებმა ე. აზერინსკიმ და ნ. კლეიტმანმა (ამერიკულ ფიზიოლოგიურ ჟურნალში გამოქვეყნებულ ორ სტატიაში) იგივე ფენომენს ძილის „პარადოქსული“ ფაზა უწოდეს და აღმოჩენის პრიორიტეტიც მათ დაიმსახურეს. ქართველი მეცნიერის აღმოჩენას კი, რომელიც ფიზიოლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებულში (Цкиपुरიძე Л.Р. (1948): Электрическая деятельность коры больших полушарий нормальной кошки во время естественного сна. Тр. Инст. Физиол. им. И.С. Бериташвили, изд-во АН ГССР, Тбилиси, т. 8, с. 209-225) დაიბეჭდა, სათანადო მნიშვნელობა არ მიენიჭა, რის გამოც საერთაშორისო რეზონანსიც არ ჰქონია.

1941 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით, მის შემადგენლობაში ფიზიოლოგიის ინსტიტუტის გადასვლისას, ინსტიტუტი გადაიქცა ფიზიოლოგიისა და ნეირომეცნიერების ერთ-ერთ მთავარ ცენტრად საბჭოთა კავშირში, დაიკავა რა მესამე ადგილი ლენინგრადისა და მოსკოვის შემდეგ. ამავე დროს ბერტაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებულების გამოცემას, რომლის პირველი ტომი უკვე 1936 წელს დაიბეჭდა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფიზიოლოგიის ინსტიტუტი სამხედრო ჰოსპიტალებში ადამიანის ორგანიზმზე დარტყმითი ტალღის ზემოქმედებას შეისწავლიდა და ტვი-

ნის დაზიანებების ელექტროენცეფალოგრაფიულ დიაგნოსტიკას ახდენდა. ამ საქმიანობისათვის ივანე ბერიტაშვილი დაჯილდოვდა მედლებით „მამაცური შრომისათვის დიდი სამამულო ომის პერიოდში 1941-1945 წწ.“ და „კავკასიის დაცვისათვის“.

* * *

1950 წელს მოსკოვში შედგა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ივანე პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრებისადმი, სადაც აკადემიკოსები ლ.ორბელი, ი.ბერიტაშვილი, ლ.შტერნი და სხვა ცნობილი მეცნიერები პავლოვის მოძღვრების მტრებად გამოცხადდნენ. ივანე ბერიტაშვილი ამ სესიას საავტომობილო ავარიის დროს მიღებული ტრავმის გამო ვერ ესწრებოდა. მან სესიას წერილობით მიმართა – ბრწყინვალედ გადმოცემული საკუთარი კონცეფცია გაუგზავნა და მოითხოვა მისი საჯაროდ წაკითხვა.

1951 წელს პავლოვის საბჭოს სხდომაზე მოენყო ბერიტაშვილის კონცეფციის საჯარო განხილვა, რომელზეც ითქვა, რომ ივანე ბერიტაშვილი „იდეალიზმის ქაობში ჩაეფლო“, რომ მისი საქმიანობა ზიანს აყენებს საბჭოთა მეცნიერებას და ა.შ. ამის შემდეგ ივანე ბერიტაშვილი ინსტიტუტის დირექტორობიდან გადააყენეს, ბევრი მისი თანამშრომელი და მოსწავლე მასთან სახლში მისვლასაც ვერ ბედავდა.

1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, „პავლოვის მოძღვრების მტრების“ საწინააღმდეგო კამპანია შეწყდა. ივანე ბერიტაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ახალი ეტაპი დაიწყო.

აქტივობები და ჯილდოები

1938 წელს ივანე ბერიტაშვილი დაჯილდოვდა ივანე პავლოვის სახელობის პრემიით მნიშვნელოვანი წვლილისათ-

ვის, რომელიც მან შეიტანა პერიფერიული და ცენტრალური ნერვული სისტემის შესწავლაში. ხოლო 1962 წელს ივანე ბერიტაშვილი დაჯილდოვდა ივ. სერენოვის სახელობის პრემიით ნიგნისთვის „Нервные механизмы поведения высших позвоночных животных“, რომელიც ჰ. ჯასპერის თანადგომით ითარგმნა რუსულიდან ინგლისურ ენაზე ამერიკელი პროფესორის უოლტერ ტ. ლიბერსონის მიერ და გამოიცა ქ. ბოსტონში (აშშ).

1939 წელს ივანე ბერიტაშვილმა დააარსა საქართველოს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საზოგადოება. იმავე წელს იგი არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 1944 წლიდან იგი იყო საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი წევრი და აკადემიკოსი.

ივანე ბერიტაშვილი იყო სულისჩამდგმელი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა ყრილობების მოწვევისა, რომლებიც მორიგეობით იმართებოდა ამ რესპუბლიკებში. პირველი ყრილობა გაიმართა ერევანში 1948 წელს. საქართველოში თბილისის გარდა ის იმართებოდა ბორჯომსა და წყალტუბოში. სამწუხაროდ, ბერიტაშვილის გარდაცვალების შემდეგ ეს ყრილობები აღარ გამართულა. ის შეცვალა ამიერკავკასიის ახალგაზრდა ფიზიოლოგთა კონფერენციებმა.

* * *

ხანგრძლივი და აქტიური სიცოცხლის მანძილზე ბერიტაშვილი იყო თითქმის 400 სამეცნიერო შრომის, მათ შორის, მრავალი მიმოხილვითი სტატიის ავტორი. მან გამოსცა 12 მონოგრაფია, ფუნდამენტური სამტომიანი მონოგრაფიასახელმძღვანელო, ორტომიანი სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, რომელთა გადამუშავებული და შევსებული გამოცემები რამდენჯერმე დაიბეჭდა („კუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია“; „ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის პრაქტიკუმი“; „ნერვული და ფსიქონერვული მოქმედების ძირითადი ფორმები“).

უფრო კონკრეტულად: 1937 წელს ბერიტაშვილმა გამოაქვეყნა ფუნდამენტური სახელმძღვანელო მოსკოვში (რუსულ ენაზე) სახელწოდებით „Общая физиология мышечной и нервной системы“, რომლისთვისაც იგი დაჯილდოვდა სტალინური პრემიით 1941 წელს. შემდგომ ამ ნიგნის შესწორებული და გაფართოებული გამოცემები დაიბეჭდა 1947 და 1959 წლებში. ეს ნიგნი სამაგიდო სახელმძღვანელოს წარმოადგენდა „საბჭოთა“ ფიზიოლოგების მრავალი თაობისთვის. კიდევ ორი ფუნდამენტური მონოგრაფია – „Общая физиология центральной нервной системы“ (მეორე გამოცემა 1948 წ., მესამე შესწორებული და გაფართოებული 1966 წ.) და „Структура и функция коры головного мозга“ (1969 წ.) გამოიცა მოსკოვში.

მან თავისი პირველი ნიგნი გამოსცა 1916 წელს, 32 წლის ასაკში, ხოლო უკანასკნელი მონოგრაფია – შესწორებული და გაფართოებული 1974 წელს, მისი გარდაცვალების წელს, თითქმის 90 წლის ასაკში. სულ მალე მისი გარდაცვალებიდან ბერიტაშვილის რჩეული შრომების დიდტანიანი კრებული გამოიცა მოსკოვში რუსულ ენაზე (Бериташвили, 1975), ხოლო მეორე, უფრო დიდი კრებული, მიძღვნილი მისი დაბადებიდან 100 წლისთავისადმი, გამოიცა რუსულ ენაზე თბილისში (Бериташвили, 1984).

უნივერსიტეტის პანთეონის „მკვიდრი“

ივანე ბერიტაშვილი სიბერის ჟამს ხშირად ავადმყოფობდა, თუმცა პარალელურად სულ მუშაობდა თურმე და თანამშრომლებს დავალებებს აძლევდა. 1969 წლის ივნისში ბერიტაშვილი სასწაულებრივად გადაურჩა ინფარქტისგან სიკვდილს. შემდეგ იგი ორ თვეზე მეტ ხანს იყო სარეცელს მიჯაჭვული ხერხემლის ტრავმის გამო. გაუნძრევლად იწვა, მაგრამ მუშაობას მაინც ახერხებდა. განუწყვეტილ ეცნობოდა ახალ ლიტერატურას ჯერ საავადმყოფოში, მერე კი თავის სახლში. ავადმყოფი საწოლთან მართავდა თანამშრომლების თათბირებსა და სხდომებს სხვადასხვა საჭირობოტო

საკითხებზე. ყოველდღე იბარებდა ხან ერთს და ხან მეორეს, დაწვრილებით ეკითხებოდა ცდების მიმდინარეობას და სულ ახალ დავალებებს აძლევდა მათ. როგორც კი მომჯობინდა და სიარულის ნება დართეს, მაშინვე დაიწყო ინსტიტუტში სიარული, ესწრებოდა ცდების მიმდინარეობას, იგებდა ყველას და ყველაფრის ამბავს. მალე ფილტვების ანთებით გახდა ავად. როგორც კი მომჯობინდა, ხელახლა დაიწყო ინსტიტუტში სიარული და აქტიურად ჩაერთო კვლევით მუშაობაში. ამის შემდეგ ორჯერ გახდა ისევ ავად – ჰქონდა ზოგადი ინტოქსიკაციის ნიშნები. ბოლოს ძლიერმა ორგანიზმმა და სათანადო მკურნალობამ თავისი გაიტანა და ავადმყოფმაც მოიხედა. როცა მისუსტებული გონს მოეგო, პირველად თანამშრომლების მეცნიერული მუშაობა იკითხა. ასე გრძელდებოდა თურმე სულ, მაგრამ 1974 წლის 29 დეკემბერს ივანე ბერიტაშვილი, პავლოვის მსგავსად, მწვავე პნევმონიით გარდაიცვალა (მისი დაბადებიდან 90 წლისთავის იუბილემდე რამდენიმე დღით ადრე).

იგი დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში, უნივერსიტეტის დამაარსებლთა პანთეონში, ივანე ჯავახიშვილის მახლობლად.



4

ივანე ბერიტაშვილის ცხოვრების ქირითადი თარიღები (მოვლენები, ჯილდოები, ნოდებები)

- 29.12.1884 წ. (ძვ.სტ.) კახეთში, სოფელ ვეჯინში დაიბადა
10.01.1885 წ. (ახ. სტ.) ივანე ბერიტაშვილი
- 1889 წ. ივანე ბერიტაშვილი სასწავლებლად ვეჯინის სკოლაში შევიდა.
- 1892 წ. ივანე ბერიტაშვილი თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს დანყებითი განათლების მისაღებად.
- 1901 წ. ივანე ბერიტაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა.
- 1903 წ. ივანე ბერიტაშვილმა მიატოვა თბილისის სასულიერო სემინარია და სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაება.
- 1906 წ. ივანე ბერიტაშვილმა წარმატებით ჩააბარა გამოცდები თბილისის მე-2 გიმნაზიაში სიმნიფის ატესტატის მისაღებად.
- 1906 წ. ივანე ბერიტაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.
- 1909 წ. ივანე ბერიტაშვილმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და მისმა ხელმძღვანელმა ვედენსკიმ იგი უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში სამუშაოდ (საპროფესოროდ მოსამზადებლად) მიიწვია.
- 1911 წ. ივანე ბერიტაშვილი ვედენსკის რეკომენდაციით გაემგზავრა ქ. ყაზანში პროფესორ ა. სამოილოვთან ნერვე-

- 1914 წ. ბიდან და კუნთებიდან ელექტრული დენის სამიანი გალვანომეტრით რეგისტრაციის მეთოდის ასათვისებლად. ივანე ბერიტაშვილი გაემგზავრა ჰოლანდიის ქ. უტრეხტში რუდოლფ მაგნუსთან სამუშაოდ, რათა ათვისებინა ძუძუმწოვრებში ნეიროქირურგიული ოპერაციები, შეესწავლა სხეულის მდგომარეობის, კისრისა და ლაბირინთის რეფლექსები.
- 1915 წ. ივანე ბერიტაშვილი გადავიდა ქ. ოდესაში ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების ფიზიოლოგიის კათედრაზე პროფესორ ვ. ზავიალოვის უფროს-ასისტენტად.
- 1916 წ. ივანე ბერიტაშვილი არჩეულ იქნა პრივატ-დოცენტად და დაევალა ნერვ-კუნთოვანი სისტემის ფიზიოლოგიის კურსის კითხვა.
- 1918 წ. ივანე ბერიტაშვილი ოდესაში დაქორწინდა ოლგა ნივინსკაიაზე.
- 1919 წ. ივანე ბერიტაშვილი ივანე ჯავახიშვილის მონღევით დაბრუნდა საქართველში.



მარცხნიდან: შ. ნუცუბიძე, ალ. ჯანელიძე, გ. ახვლედიანი, ნ. მუსხელიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, ივ. ბერიტაშვილი და ა. შანიძე (1968 წ.)

- ველოში და მუშაობას შეუდგა ახლად გახსნილი თბილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე, რომელიც მან დააფუძნა. ფიზიოლოგიის სასწავლო კურსის კითხვასთან ერთად დაიწყო ექსპერიმენტული კვლევა.
- 1935 წ.** ივანე ბერიტაშვილმა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის კვლევითი ლაბორატორიის ბაზაზე დააარსა ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც დაარსებისთანავე მისი სახელი მიენიჭა.
- 1938 წ.** ივანე ბერიტაშვილი დაჯილდოვდა ივანე პავლოვის სახელობის პრემიით მნიშვნელოვანი წვლილისთვის, რომელიც მან შეიტანა პერიფერიული და ცენტრალური ნერვული სისტემის შესწავლაში.
- 1939 წ.** ივანე ბერიტაშვილმა დააარსა საქართველოს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საზოგადოება.
- 1939 წ.** ივანე ბერიტაშვილი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.
- 1941 წ.** ივანე ბერიტაშვილი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი-აკადემიკოსი.
- 1941 წ.** ივანე ბერიტაშვილს ნაშრომისთვის „კუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია“ სტალინის პრემია მიენიჭა (სტალინის პრემიას ეწოდა სახელმწიფო პრემია სტალინის გარდაცვალების შემდეგ).

- 1944 წლიდან** ივანე ბერიტაშვილი იყო საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი და აკადემიკოსი.
- 1941-1945 წწ.** ივანე ბერიტაშვილი დაჯილდოვდა მედლებით: „მამაცური შრომისათვის დიდი სამამულო ომის პერიოდში 1941-1945“ და „კავკასიის დაცვისათვის“. იგი ადამიანის ორგანიზმზე დარტყმითი ტალღის ზემოქმედებას შეისწავლიდა და ტვინის დაზიანებების ელექტროენცეფალოგრაფიულ დიაგნოსტიკას ახდენდა.
- 1948 წ.** ივანე ბერიტაშვილის ინიციატივით დაარსდა ფიზიოლოგიური კონფერენციები ქალაქ გაგრაში, რომელსაც შემდგომ „გაგრის საუბრები“ ეწოდა.
- 1950 წ.** მოსკოვში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე ივანე ბერიტაშვილი „პავლოვის მოძღვრების მტრად“ გამოაცხადეს.
- 1951 წ.** პავლოვის საბჭოს სხდომაზე ივანე ბერიტაშვილის ანტისაბჭოთა მეცნიერად გამოცხადების შემდეგ ივანე ბერიტაშვილი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორობიდან გადააყენეს.
- 1953 წ.** „პავლოვის მოძღვრების მტრების“ სანინაალმდეგო კამპანიის შეწყვეტის შემდეგ ივანე ბერიტაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ახალი ეტაპი დაიწყო.



ივანე ბერიტაშვილი (1945 წ.)

1962 წ.

ივანე ბერიტაშვილი დაჯილდოვდა ივანე სერენოვის სახელობის პრემიით.

1959-1970 წწ.

ივანე ბერიტაშვილი იყო ივანე პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა საკავშირო საზოგადოების წევრი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, ამერიკის ელექტროენცეფალოგრაფიული საზოგადოების წევრი, უმაღლესი ნერვული მოქმედების საერთაშორისო კოლეგიის წევრი, ამერიკის ბიოლოგიური ფსიქიატრიის საზოგადოების საპატიო წევრი და სხვა მრავალი საზოგადოების წევრი.

29.12.1974 წ.

ივანე ბერიტაშვილი მწვავე პნევმონიით გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში.

5

**პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში
და ხელმძღვანელთან შეუსაბამო
კრიტიკული დასკვნები**

ივანე ბერიტაშვილის სამეცნიერო გენეალოგია დაკავშირებულია სანკტ-პეტერბურგის ფიზიოლოგიურ სკოლასთან. სტუდენტი ივანე ბერიტაშვილი მივიდა ვედენსკის ლაბორატორიაში 1909 წლის აპრილში, ფიზიოლოგიაში ლაბორატორიული პრაქტიკის გავლის შემდეგ. ამ პერიოდში ვედენსკი შეისწავლიდა სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების გავლენას ბაყაყის ზურგის ტვინის რეფლექსების ცენტრებზე. მან ბერიტაშვილს ამოცანად მისცა ამ რეფლექსებზე ქიმიური ნივთიერების, სტრიქნინის ლოკალური აპლიკაციის გავლენის შესწავლა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბერიტაშვილმა, უაღრესად მონდომებულმა სტუდენტმა, ვადაზე ადრე ჩააბარა გამოცდები მესამე და მეოთხე კურსის საგნებში, რათა სწავლების ბოლო წელს დრო არ დაეკარგა ლექცია-სემინარებზე დასწრებით და მთელი დრო დაეთმო ლაბორატორიაში ინტენსიური მუშაობისთვის. წელიწადნახევრის შემდეგ მან წარადგინა კვლევის შედეგები, როგორც სადიპლომო ნაშრომი, რომელიც შემდგომ გამოქვეყნდა სტატიის სახით. როგორც ბერიტაშვილი იხსენებდა 1969 წელს მის მოგონებებში, ამ ნაშრომისათვის იგი დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით. ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს, თუ როგორი ენთუზიასტი და ბეჯითი ახალგაზრდა იყო ივანე.

მართლაც, მის პირველ პუბლიკაციებში ბერიტაშვილი წარმოდგა, როგორც თამამი, დამოუკიდებელი მეცნიერი. მნიშვნელოვანია ხაზგასმით ითქვას, რომ ჩონჩხის მუსკულატურის რეციპროკული ინერვაციის შესწავლით იგი გასცდა სერჩენოვის შრომას ზოგადი შეკავების შესახებ (Григорян, 1986).

იმ წელს, როდესაც ბერიტაშვილი ჩაირიცხა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში (1906), ვედენსკის რე-



ივანე სეჩენოვი (1829-1905)

დაქტორობით გამოიცა უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის შრომათა პირველი კრებული. ამ ტომში ვედენსკის სტატიამ „რეფლექსური აპარატის აგზნება და შეკავება სტრიქნინით მონამვლისას“ დასაბამი მისცა ახალ მიდგომას ლაბორატორიის კვლევით მუშაობაში. სახელდობრ, სტრიქნინიზაციის პირობებში ცერებრო-სპინალურ საკოორდინაციო ცენტრებში აგზნებისა და შეკავების

პროცესებს შორის ურთიერთქმედების შესწავლას. ვედენსკი და მისი სკოლა ამ პროცესებს ხსნიდა მისი ე.წ. „პარაბიოზის“ თეორიით, რომ სენსორული ნერვის აგზნებადობა დამოკიდებულია მხოლოდ გამღიზიანებელი ელექტრული დენის სიმძლავრესა და სიხშირეზე. ბერიტაშვილის დასკვნა განსხვავდებოდა ვედენსკის კონცეფციისაგან (Пригорян, 1986). თავის პირველ სტატიაში „Реципрокная иннервация скелетной мускулатуры при локальном стрихнинном отравлении спинного мозга“, რომელიც ორ ნაწილად გამოვიდა 1911 წელს, ბერიტაშვილმა აჩვენა, რომ ზურგის ტვინის მხოლოდ ერთი სეგმენტის მონამვლა მკაცრად ზრდის მის რეფლექსურ მოქმედებას. ამდენად, აგზნებისა და შეკავების პროცესების ურთიერთქმედების ბუნება დამოკიდებულია მხოლოდ ზურგის ტვინის მაკოორდინირებელი „აპარატის“ აქტიობაზე. ის ვარაუდობდა, რომ განურჩევლად ძალისა და სიხშირის ეფექტისა, სტრიქნინით მონამვლის პირობებში, მოხრის რეფლექსის რეცეპტორული ველის სტიმულაცია მხოლოდ აძლიერებს მოხრის რეფლექს (Беритов, 1916).

ამის შემდგომ, ვედენსკისა და სხვათა მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ბერიტაშვილმა აჩვენა, რომ რეციპროკული

შეკავება კი არ აღმოცენდება აგზნების სუსტი ფორმიდან, არამედ მის ნაცვლად (როგორც ცნობილი ინგლისელი მეცნიერი ჩარლზ შერინგტონი (1857-1952) ვარაუდობდა) და უნდა წარმოადგენდეს აგზნების ზუსტად სანინალმდეგოს. როდესაც ორი სენსორული ნერვის სტიმულაცია, რომელთაგან ერთი ინვევს მაინერვირებელი კუნთის აგზნებას, ხოლო მეორე – შეკავებას, მათი კომბინაციის შემთხვევაში, ერთეული მოქმედების პოტენციალები ან მათი ჯგუფი რეგულარულად ამოვარდება ან სუსტდება აგზნებული კუნთის ელექტრომიოგრამაზე შემაკავებელი სტიმულაციის რიტმის შესაბამისად. ბერიტაშვილი იმდენად იყო აღფრთოვანებული ამ შედეგებით, რომ სასწრაფოდ სურდა ეცნობებინა ამის შესახებ შერინგტონისათვის ტელეგრაფით, მაგრამ გადააფიქრებინა მისმა უშუალო ხელმძღვანელმა, პროფესორმა ა. უხტომსკიმ (1875-1942) (Бериташвили, 1991). პროფესორ რ. დოტის სიტყვებით, ბაყაყის მოცილების რეფლექსის მსგავსება კატის გაშლის რეფლექსთან, რომელსაც იმხანად შერინგტონი შეისწავლიდა, უეჭველად თვალწინ წარმოუდგა ბერიტაშვილს, იმდენად ძლიერი იყო მასზე შერინგტონის შრომის გავლენა (Doty, 1975).

სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიის შრომათა კრებულის პირველი ტომი იმავე 1906 წელს გამოვიდა, რომელ წელსაც შერინგტონის ცნობილი წიგნი „ნერვული სისტემის ინტეგრაციული მოქმედება“, რისთვისაც ის მოგვიანებით ნობელის პრემიით დაჯილდოვდა (1932 წ.). ამ დროიდან ჩონჩხის მუსკულატურის ინერვაციის პრობლემა ერთდროულად შეისწავლებოდა ორ ლაბორატორიაში – ვედენსკის მიერ რუსეთში და შერინგტონის მიერ ინგლისში. ბერიტაშვილმა სპეციალურად ისწავლა ინგლისური, რათა წაეკითხა შერინგტონის წიგნი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ვედენსკის ლაბორატორიის შემდგომ მუშაობაზე და თავად ბერიტაშვილზე. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ბერიტაშვილმა მიიღო ორი უაღრესად დადებითი გამომხაურება შერინგტონისგან მის მიერ Pfluger's Archive-ში გამოქვეყნებულ სტატიებზე (Пригорян, 1986).



ი. ბერიტაშვილი და ე. ედრიანი (1935 წ.)

ე. ედრიანი, რომელმაც გაინაწილა 1932 წელს ნობელის პრემია შერინგტონთან ერთად, მოგვიანებით იგონებდა ბერიტაშვილის 90 წლისთავისადმი მიძღვნილ შრომათა კრებულში გამოქვეყნებულ თავის წერილში: „პროფესორ ბერიტოვის შრომის გაცნობა მე მაბრუნებს საწყის პერიოდთან – 1913 წელთან, როდესაც ის იყო 28 წლის, ხოლო მე – 24 წლისა. ბერიტოვი მუშაობდა, როგორც მახსოვს, პროფესორ ვედენსკის ლაბორატორიაში სანკტ-პეტერბურგში, ხოლო მე ვიყავი კეიტ ლუკასის მონაფე პროფესორ ლენგლის განყოფილებაში, კემბრიჯში. ბერიტოვი და მე, ორივენი ვსწავლობდით იმპულსის გავრცელებას ნერვულ ბოჭკოებში. ნერვის ან კუნთის „მოქმედების დენის“ ჩასაწერად კეიტ ლუკასი იყენებდა „კაპილარულ ელექტრომეტრს“, რომელიც ძირითადად მის მიერ იყო კონსტრუირებული. ჩვენზე ორივეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ი.ს. ბერიტოვის სტატიათა სათაურით „Zur

Kenntnis der Erregungsrhythmik des Nerven- und Muskelsystems“, *Zeitschrift für Biologie*, 62 Band, 1913. ბერიტოვი იყენებდა ეინტჰოვენის სიმიან გალვანომეტრს, რომელიც საკმაოდ მგძნობიარე იყო, რათა ეჩვენებინა ნერვულ ღეროში მოქმედების პოტენციალის წარმოქმნა, რაც ადასტურებდა, რომ ყველა ნერვული ბოჭკო ერთად იყო ჩართული მოქმედებაში“ (Adrian, 1975, გვ. 22).

როგორც აღვნიშნეთ, თავის პირველ სტატიაში ბერიტაშვილი გამოვიდა მისი პროფესორის პარაბიოზის თეორიის მოწინააღმდეგედ და აღწერა აგზნებისა და შეკავების პროცესები, როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფენომენები. ეს დასკვნა უფრო მკაცრად და გარკვევით იქნა წარმოდგენილი მის პირველ მონოგრაფიაში „Учение об основных элементах центральной координации скелетной мускулатуры“ (Беритов, 1916), რომელიც წარუდგინა სანკტ-პეტერბურგის (პეტროგრადის) საუნივერსიტეტო საბჭოს, როგორც სადოქტორო დისერტაცია. ამ წიგნის ზერეულე გადახედვაც კი არწმუნებს მნახველს, რომ იგი სრულიად შეესაბამება და აკმაყოფილებს სადოქტორო ხარისხის მოთხოვნებს.

1917 წლის აპრილში ივანე პავლოვმა უაღრესად დადებითი და საქები შეფასება მისცა ბერიტაშვილის წიგნს. კერძოდ, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბერიტაშვილის აღმოჩენას რეციპროკული შეკავების რიტმული ბუნების შესახებ დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ასევე, მან თქვა, რომ „საზოგადოდ, ახალგაზრდა ფიზიოლოგის შრომებში ნათლად გამოსჭვივის ავტორის კრიტიკული აზროვნება, ინიციატივის ძლიერი უნარი, ექსპერიმენტული ოსტატობა და შემოქმედებითი ენთუზიაზმი“ (ციტ. Григорян, 1986, გვ. 14).

თუმცა, ამას წინ უსწრებდა უაღრესად არასასიამოვნო ფაქტი იმისა, რომ პეტროგრადის საუნივერსიტეტო საბჭომ ნება არ დართო ბერიტაშვილს დაეცვა სადოქტორო დისერტაცია ვედენსკის კრიტიკული დასკვნის გამო. ფორმალური მიზეზი კი ის იყო (როგორც ვედენსკი წერდა თავის დასკვნაში), რომ ბერიტაშვილის წიგნში თავმოყრილია სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები, რომლებიც არ არიან კონ-

ცეპტუალურ ერთიანობაში. მეორე ფორმალური მიზეზი იყო ის, რომ სამაგისტრო ფიზიოლოგიის გამოცდაში მას ჰქონდა დაბალი („დამაკმაყოფილებელი“) ნიშანი. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე აქაც ნ. ვედენსკი იყო (Григорян, 1986).

როგორც ბერიტაშვილი იგონებს თავის მემუარებში (1969), იგი იმ დროს იმდენად იყო გატაცებული ლაბორატორიაში ექსპერიმენტული მუშაობით, რომ სრულიად უპასუხისმგებლოდ მოეკიდა სამაგისტრო გამოცდებს და მხოლოდ „დამაკმაყოფილებელი“ ნიშნები დაიმსახურა. მოგვიანებით, სპეციალური მომზადების შემდეგ, მან წარმატებით გადააბარა ეს გამოცდები, მაგრამ დისერტაციის დაცვა ველარ მოახერხა რუსეთში დიდი არეულობის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ საცხოვრებლად და სამუშაოდ გადავიდა ოდესაში, ხოლო შემდეგ კი დაბრუნდა საქართველოში (Бериташвили, 1991).

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ერთის მხრივ, მონოგრაფიის დაწერა და გამოქვეყნება, რომელიც შეიცავდა ვედენსკის პარაბიოზის ძირითადი დოქტრინის მწვავე კომენტარებს და ხელმძღვანელის სამეცნიერო კრედოს დაუფარავ კრიტიკას, მიუთითებს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში არსებულ დამოუკიდებელი კვლევისა და სამეცნიერო აზროვნების თავისუფლებაზე. მაგრამ მეორეს მხრივ, სავარაუდოდ, სწორედ ამ წიგნის გამო ბერიტაშვილი იძულებული იქნა დაეტოვებინა უნივერსიტეტი და პეტროგრადი 1915 წლის ბოლოსთვის. ამ შემთხვევაში ფორმალური მიზეზი შეიქმნა ის, რომ 4,5 წლიანი მუშაობის შემდეგ მას ვერ გამოუყვეს ვერც ასისტენტის ადგილი კათედრაზე და ვერც მკვლევარის ადგილი ლაბორატორიაში (Григорян, 1986).

სამოილოვისადმი გაგზავნილ წერილში ბერიტაშვილი აღწერს, თუ რა მძიმე პირობებში უწევდა მას ცხოვრება და წიგნზე მუშაობა; რომ უსახსროდ დარჩენილი, მხოლოდ წყალზე და პურზე იყო და ამ უკანასკნელითაც მომჭირნედ იკვებებოდა. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ბერიტაშვილმა თავის წიგნში გამოკვეთა ღრმა, მისთვის იდუმალი სამეცნიერო იდეები, რომელთაც იგი ატარებდა მრავალი წლის მანძილზე

და ჩვენს წინაშე წარმოდგა, როგორც პირდაპირი, უკომპრო-
მისო და არაკონფორმისტული პიროვნება, თავისი მოსაზრე-
ბების დამცველი, განურჩევლად ავტორიტეტებისა. ვედენსკი
იყო სერენოზის მოწაფე და გაემიჯნა თავის მასწავლებელს;
ასევე არ დაეთანხმა ბერიტაშვილი თავის პროფესორს – ვე-
დენსკის მის მიერ მიღებული ექსპერიმენტული შედეგების
ასსნაში (Григорян, 1986).


მიუხედავად გარკვეული რთული ურთიერთობებისა
ოსტატსა და შეგირდს შორის, ბერიტაშვილი ყოველთვის
მადლიერი იყო ვედენსკისა, რომელმაც მნიშვნელოვანი
როლი შეასრულა მის მეცნიერად ჩამოყალიბებაში. ბერი-
ტაშვილი ემადლიერებოდა მას, ასევე, კვლევით მუშაობაში
იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც იჩენდა ცნობილი პროფე-
სორი ახალგაზრდა მეცნიერისადმი. მოგვიანებით, თავის
მემუარებში ბერიტაშვილი წერდა: „ცხოვრებაში მე მქონდა
რამდენიმე კრიტიკული მომენტი, როდესაც ვმუშაობდი ვე-
დენსკის ლაბორატორიაში, მაგრამ ყველა ისინი უაღრესად ნა-
მადგნენ შემდგომ სამეცნიერო მოღვაწეობაში“ (Бериташвили,
1991, გვ. 88).

მის სამეცნიერო ხარისხთან დაკავშირებით, როგორც
დაშვებული შეცდომის გამოსწორება, სანკტ-პეტერბურ-
გის (ლენინგრადის) უნივერსიტეტმა 1935 წელს ბერიტაშ-
ვილს მიანიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (Honoris
Causa) დაბადებიდან 50 და სამეცნიერო მოღვაწეობიდან 25
წლისთავის გამო.

6

როგორ აუპრიალეს „ანტი-პავლოვისტად“ შერაცხულ ბერიტაშვილს სამეცნიერო მოღვაწეობა

ბერიტაშვილმა თავისი თეორია ფსიქონერვული, ხატით წარმართული ქცევის შესახებ პირველად ჩამოაყალიბა მონოგრაფიაში „Основных формах нервной и психонервной деятельности“ (Беритов, 1947), რომელმაც უარყოფითი გამოძახილი ჰპოვა პავლოვის სკოლის მხრიდან. ბერიტაშვილის დასკვნა, რომ ფსიქონერვული მოქმედება პრინციპულად განსხვავდება პირობითი რეფლექსებისაგან, შეიქნა განსაკუთრებული მიზეზი საბოლოო კონფრონ-



ი. პავლოვი

ტაციისთვის რუსი ფიზიოლოგების მხრიდან. ბერიტაშვილის თანახმად, პირობით-რეფლექსური ქცევის ნერვულ საფუძვლებთან შედარებით, ფსიქონერვული ქცევის ნერვული სუბსტრატი განსხვავდება მორფოლოგიური თავისებურებებით. სენსორული და ვარსკვლავისებური ფორმის ინტერნეირონები არ უნდა უზრუნველყოფდნენ დახურული ნერვული წრეების ჩამოყალიბებას კლასიკური პირობითი რეფლექსების წარმოქმნისას. იმდენად, რამდენადაც ქერქული ნეირონების ფუნქციური სისტემა, რომელიც წარმოქმნის ხატს, ყალიბდება პირველი აღქმის დროს, ხოლო პირობითი რეფლექსის ფორმირება საჭიროებს განმეორებით განმტკიცებებს, ბერ-

იტაშვილმა დაასკვნა, რომ პირობითი რეფლექსის სწრაფი განვითარების სიძნელე დაკავშირებულია საპროექციო პირამიდული ნეირონებისგან საკუთრებულ თავისებურებებთან (Beritashvili, 1965).

აღნიშნული განსხვავება ბერიტაშვილის მოსაზრებასა და პავლოვის სკოლის წარმომადგენლებს შორის გახდა საფუძველი ბერიტაშვილის „ანტი-პავლოვისტად“ გამოცხადებისა. ეს მოხდა 1950 წ. მოსკოვში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სამედიცინო აკადემიის ერთობლივ სესიაზე, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ივ. პავლოვის ფიზიოლოგიურ კონცეფციებსა და სამეცნიერო მემკვიდრეობას. ბერიტაშვილი, პროფესორებთან ლ. ორბელთან, პ. ანოხინთან, ა. სპერანსკისთან, ლ. შტერნთან, ნ. როჟანსკისთან და სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად გამოცხადდა „პავლოვის მოძღვრების მტრად“ (Langue, 1997). მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთმა გამომსვლელმა ბერიტაშვილს უწოდა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური და პოლიტიკური მტერი, რომელიც უცხადებს სოლიდარობას აშშ-ის რეაქციონერ მეცნიერებს, რომელთაც სურთ ატომური ბომბების ჩამოგდება საბჭოთა კავშირის ქალაქებზე (Костандов, 1991). ყოველივე ეს იყო შედეგი მეცნიერების პოლიტიზირებისა და მეცნიერებაზე სახელმწიფო კონტროლის სისტემის დამყარებისა, უნიჭო, „წითელი“ კომუნისტი მეცნიერებისა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ლიდერებთან კავშირში. ამის შედეგად ბერიტაშვილი გადააყენეს ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან და აუკრძალეს სამეცნიერო მოღვაწეობა. ის ჩამოშორდა ლაბორატორიაში კვლევით მუშაობას, ხოლო მის თანამშრომლებსა და მოწაფეებს ეშინოდათ მასთან სახლში მისვლისა. მაგრამ ბერიტაშვილს არ შეეძლო უქმად ყოფნა. მან დაიწყო საქართველოში ბიოლოგიური აზროვნების განვითარების შესწავლა უძველეს ქართულ ხელნაწერებში. ეს სრულიად დამახასიათებელი იყო მისი პიროვნებისთვის. იგი ინტენსიურად მუშაობდა არქივებსა და ბიბლიოთეკებში. ბერიტაშვილის ცხოვრების ეს პერიოდი დაგვირგვინდა წიგნით „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში უძველესი დროი-

დან მე-XIV საუკუნემდე“, რომელიც თბილისში ქართულად გამოიცა 1957 წელს, ხოლო რუსულად – 1961 წელს.

საბედნიეროდ, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ე.წ. „დათბობის“ პერიოდისთვის, 1955 წელს ფიზიოლოგთა, ბიოქიმიკოსთა და ფარმაკოლოგთა საკავშირო ყრილობამ, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაგმო და უარყოფილად შეაფასა 1950-1953 წლების პერიოდის ყველა რეზოლუცია და გადაწყვეტილება. უკლებლივ ყველა, ერთ დროს მტრად შერაცხული რეპრესირებული მეცნიერი ხელახლა დაუბრუნდა თავის სამუშაოს. ივანე ბერიტაშვილი არჩეულ იქნა ცხოველთა ქცევის განყოფილების გამგედ და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ და კვლავ განაგრძო ცხოველთა ქცევის კვლევა.

ცხოველთა ხატისმიერი ქცევის ბერიტაშვილისეული მოძღვრების გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს მისი წიგნი „Первые механизмы поведения высших позвоночных животных“, რომელიც პირველად დაიბეჭდა მოსკოვში 1961 წელს, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ითარგმნა ინგლისურად და გამოქვეყნდა ბოსტონში (Beritashvili, 1965).

7

„გაგრის საუბრები“ და ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნება

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ივანე ბერიტაშვილმა გადაწყვიტა მოეწყო კონფერენციები სიმპოზიუმების სტილში, როდესაც მონაწილენი არ იქნებოდნენ შეზღუდული დროში. ცნობილია, რომ ჩვეულებრივი კონფერენციების დროს, როგორც მოხსენებებისთვის, ისე დისკუსიებისთვის დრო ლიმიტირებულია. ბერიტაშვილი გეგმავდა შეზღუდულ მონაწილეთა რიცხვი (15-20) და არა მოხსენებისა და კამათის დრო (Дзидзишвили, 1978).

ნეირომეცნიერების ცნობილი ისტორიკოსის ამერიკელი ლუიზა მარშალის (1996) თანახმად, ატლანტიკის ოკეანის ორივე მხარეზე ისტორიულ მოვლენათა მსვლელობამ დასაბამი მისცა ოთხ სრულიად ახალ, გზისგამკვალავ კონფერენციათა სერიებს სხვადასხვა ქვეყნებში, რომელთა შორის იყო ბერიტაშვილის სიმპოზიუმი, მოგვიანებით ცნობილი „Гагрские беседы“-ს სახელწოდებით. ისინი იქცნენ თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (International Brain Research Organization – IBRO) საფუძვლად.

ამ ოთხი პროგრამიდან ერთ-ერთის ინიციატორი იყო ბერიტაშვილი. 1948 წლიდან 1972 წლამდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით მან ჩაატარა ექვსი სიმპოზიუმი ნეიროფიზიოლოგიისა და ქცევითმეცნიერების პრობლემებზე ძირითადად „საბჭოთა“ მეცნიერთა მონაწილეობით. სიმპოზიუმები იმართებოდა გაგრაში, შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ ულამაზეს კურორტზე. ბერიტაშვილის უნიკალური მხარდაჭერით ახალგაზრდა მეცნიერებს საშუალება ეძლეოდათ წარმოედგინათ საკუთარი შრომები და შეხვედროდნენ უფროს კოლეგებს. „გაგრის საუბრების“ მესამე სიმპოზიუმი გაიმართა 1958 წელს იანვარში და მიეძღვნა პირობითი რეფლექსების ფორმირებაში დროებითი ნერვული კავშირების



გაგრის პირველი საუბრების მონაწილენი (1948 წ.)

წარმოქმნის საკითხებს. ერთ-ერთი ახალგაზრდა ამერიკელი მეცნიერი გახლდათ ფრენკ მორელი, რომელიც მოწვეული იყო მის მიერ ელექტროენცეფალოგრამაში სარკისებურად ფოკუსირებული წერტილების აღმოჩენისთვის (Marshall, 1996).

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბერიტაშვილის სიმპოზიუმში ჩატარდა რამდენიმე თვით ადრე მოსკოვში გამართულ ცნობილ კოლოქვიუმამდე, რომელიც მიეძღვნა უმაღლესი ნერვული მოქმედების ელექტროენცეფალოგრაფიის საკითხებს. საინტერესოა, რომ გაგრის საუბრების 21 მონაწილეთაგან 15 ესწრებოდა მოსკოვის კოლოქვიუმს, ასე რომ გაგრა წარმოადგენდა მოსამზადებელ კონფერენციას მოსკოვისთვის (Magoun, 1991).

ზემოთაღნიშნული კონფერენციათა სერიებიდან დანარჩენი სამი იმართებოდა ნიუ-იორკში, ლონდონსა და მარსელში, რაც მიუთითებდა ამ დროისათვის თავის ტვინისა და ცხოველთა ქცევის შესწავლის გაძლიერებულ ინტერესზე. ამ მოვლენებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ნერვული სისტემის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციისა (IBRO) და მოგვიანებით აშშ-ში ნეირომეცნიერების საზოგადოების (Society of Neuroscience) ჩამოყალიბებაში (Marshall, 1996).

IBRO-ს შექმნის მთავარი სულის ჩამდგმელის კანადელი ჰერბერტ ჯასპერის (1991) თანახმად, ორგანიზაცია დაიბადა

უშუალოდ მოსკოვში, 1958 წლის ოქტომბერში გამართული კოლოქვიუმის დასრულებისას მონაწილეთა მიერ მიღებული რეზოლუციით. ეს გახლდათ თანამშრომლობის პირველი შემთხვევა დასავლელ და „საბჭოთა“ ფიზიოლოგებს შორის სტალინის ერის დასრულებისა და რკინის ფარდის გაქრობის გამო. ფიზიოლოგიურ მეცნიერებათა მე-15 საერთაშორისო კონგრესის შემდეგ, რომელიც გაიმართა 1935 წ. მოსკოვსა და ლენინგრადში და რომლის პრეზიდენტიც გახლდათ ივანე პავლოვი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტები ივანე ბერიტაშვილი და ლეონ ორბელი, 1958 წლის კოლოქვიუმი მეორე უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირში. მას ესწრებოდა 49 დელეგატი მსოფლიოს 17 ქვეყნიდან, დაახლოებით თანაბრად დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან. საპატიო პრეზიდენტები იყვნენ ივანე ბერიტაშვილი და ჰერბერტ ჯასპერი, ხოლო მოქმედი პრეზიდენტები – ჰენრი გასტო და ვლადიმერ რუსინოვი. რეზოლუცია, რომელსაც ხელს აწერდნენ ივ. ბერიტაშვილი, ჰ. ჯასპერი, ჰ. გასტო და ვ. რუსინოვი და რომელიც ერთხმად მიიღეს კოლოქვიუმის დელეგატებმაც, შეიძლება მიჩნეულ იქნას IBRO-ს დაფუძნებად (Jasper, 1991). ორი წლის შემდეგ, 1960 წელს კანადის პარლამენტმა დაამტკიცა თავის ტვინის საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნება, რომელმაც ბინა ევროპაში, პარიზში დაიდო, იუნესკოს შტაბ-ბინაში.

მოსკოვის კოლოქვიუმის უცხოელი მონაწილეები გაეცნენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიურ ინსტიტუტებს არა მარტო მოსკოვში, არამედ გაემგზავრნენ ლენინგრადში, კიევსა და თბილისში, სადაც ესტუმრნენ ლიონ-ესანიშნაოებს და დაათვალიერეს მრავალი ლაბორატორია, მათ შორის პავლოვის ლაბორატორიები და ინსტიტუტი ლენინგრადში, კიევის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი და ბერიტაშვილის ინსტიტუტი თბილისში. საქართველოს დედაქალაქს ესტუმრნენ ჯასპერი, მეგუნი, ბრეზიე და რობერტ გალამბოსი. სტუმრები უაღრესად დაინტერესდნენ ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო მუშაობით და ესაუბრნენ თანამშრომლებს კვლევების საერთო პრობლემებზე. მიუხედავად ხანმოკლე

ვიზიტისა, უცხოელი ფიზიოლოგები იმდენად განისმქვალნენ უაღრესად თბილი გრძნობით მასპინძლების მიმართ ნანახისა და განცდილის გამო, რომ ძალიან უჭირდათ ახალშეძენილ მეგობრებთან დამშვიდობება (Дзидзишвили, 1978).

მრავალი ცნობილი მეცნიერი სწვევია ფიზიოლოგიის ინსტიტუტს თბილისში, მათ შორის სამი ნობელის პრემიის ლაურეატი რ. გრანიტი, ბ. კატცი და ა. ჰოჯკინი. აგრეთვე ტ. ბალლოკი, ჰ. გასტო, რ. დოტი, ვ. ეიდი, ე. კონორსკი, კ. ლისაკი, მ. მისკინი, ვ.ნაუტა ჰ. ჰაქსლი და სხვები.

8

„შვიდკაცას“ შეთქმულება ბერიტაშვილის წინააღმდეგ

პავლოვის მტრად შერაცხული ბერიტაშვილის რეაბილიტაციიდან დაახლოებით ათი წლის შემდეგ მსცოვან მეცნიერს კვლავ არ „გაუმართლა“, როდესაც მისი მოწაფეების ერთმა ჯგუფმა, ე.წ. „შვიდკაცამ“, იგივე, „შესანიშნავმა შვიდეულმა“ (იმხანად გამოსული ამერიკული ფილმი-ვესტერნის სახელწოდების დარად) თანამოაზრეებთან ერთად გადანყვიტა მასწავლებლის ინსტიტუტიდან მოშორება. „ამბოხებულებს“ მიაჩნდათ, რომ ხანდაზმული მეცნიერი აღარ უნდა ყოფილიყო სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი და ინსტიტუტის არაფორმალური ლიდერი. საბედნიეროდ, მოსკოვიდან ჩამოსული კომისია (აკადემიკოსი პ. ანოხინი) და რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა (ვ. მჟავანაძე) სწორედ გაერკვა სიტუაციაში და „შეთქმულებს“ პოზიციები დაათმობინეს. საბოლოოდ მათ მოინანიეს თავისი საქციელი და ივანე ბერიტაშვილმა მისთვის დამახასიათებელი დიდსულოვნებით შეუწდო ცოდვები „უძღებ შვილებს“. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა ფაქტმა უდიდესი მორალური ზიანი მიაყენა ინსტიტუტს, ზნეობრივად დასცა ადამიანური პრინციპები და შეხედულებები ინსტიტუტში, რასაც, სამწუხაროდ, დღემდე ვიმკით. როგორც ვრწმუნდებით, ცუდის გადაღება გაცილებით ადვილია, ვიდრე მაღალზნეობრივი პრინციპების დაცვა, რაც ერთეულთა ხვედრი და ნიჭია.

ივანე ბერიტაშვილმა, იმ დროისთვის უკვე ხანდაზმულმა მკვლევარმა,



ივანე ბერიტაშვილი

მეხსიერების პრობლემისადმი მიძღვნილი წიგნი „Память позвоночных животных: ее характеристика и происхождение“ პირველად გამოსცა თბილისში, რუსულად 1968 წელს, ხოლო სამი წლის შემდეგ იგი ითარგმნა ინგლისურად და გამოქვეყნდა ნიუ-იორკში (Beritashvili, 1971). ამ წიგნის მეორე, გადამუშავებული და გაფართოებული გამოცემა გამოვიდა მოსკოვში (Бериташвили, 1974) ბერიტაშვილის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე. ეს იყო მხცოვანი სწავლულის სამეცნიერო პასუხი მისი არამეცნიერი ოპონენტებისთვის.



იმსახურებდა თუ არა ივანე ბერიტაშვილი ნობელის პრემიას?

ივანე ბერიტაშვილის გარდაცვალების შემდეგ ქართულ სამეცნიერო საზოგადოებაში დაისვა კითხვა – იმსახურებდა თუ არა ჩვენი თანამემამულე ნობელის პრემიას? ცალსახად ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი არ არის. ერთის მხრივ, ქართველი მეცნიერის მიერ დატოვებული უდიდესი და ფრიად ღირებული სამეცნიერო მემკვიდრეობა ამის საფუძველს ნამდვილად იძლევა. მეორეს მხრივ, ნობელის პრემიის მინიჭება თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უკავშირდება იმ დროისთვის არსებულ სიტუაციასა და გარკვეულ კონიუნქტურას, რასაკვირველია უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩენასთან ერთად. პრეტენდენტთა მაღალი კონკურენციის პირობებში ნობელის კომიტეტისა და რეცენზენტთა მხრიდან რამდენადმე სუბიექტური ფაქტორებიც გამორიცხული არ არის.

ივანე ბერიტაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობაში აღსანიშნავია რამდენიმე, უფრო ზუსტად, სამი პრობლემა, სამი მიმართულება, რომლებსაც ქართველი სწავლული თავიდან ინტენსიურად შეისწავლიდა, მაგრამ შემდგომ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო მათი კვლევა შეწყვიტა. სამაგიეროდ მისმა კონკურენტმა უცხოელმა კოლეგებმა წარმატებით განაგრძეს მუშაობა და ნობელის პრემია დაიმსახურეს.

პირველი პრობლემა გახლდათ პერიფერიულ ნერვებში აგზნების დენების რეგისტრაცია. სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ჯერ კიდევ სტუდენტ ბერიტაშვილს მისმა ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნიკოლაი ვედენსკიმ ამოცანად დაუსახა ბაყაყის ზურგის ტვინის რეფლექსებზე ქიმიური ნივთიერების – სტრიქინის ლოკალური აპლიკაციის გავლენის შესწავლა. ამ საკითხის კვლევისას სრულიად ახალგაზრდა მეცნიერმა 1913-1914 წლებში აღმოაჩინა ზურგის ტვინის რეფლექსების ე.წ. რეციპროკული შეკავების რიტმული ბუნება. დაახლოებით ათი წლის შემდეგ, ინგლისელმა ფიზიოლოგებმა, ჯერ ე. ედრიანმა (1924), ხოლო შემდეგ ჯ. ფულტონმა და ე.

Correspondence

Navigation Nobel: Soviet pioneer

Physiologist Ivan Beritashvili was notably absent from the acknowledged fore-runners in the scientific background document for this year's Nobel Prize in Physiology or Medicine (see *Nature* 514, 153; 2014). In the 1930s, he studied spatial navigation in dogs at the University of Tbilisi in Georgia. John O'Keefe, one of the Nobel winners, had many of Beritashvili's works translated into English. References to Beritashvili have appeared in several books and reviews (see, for instance, P. H. Smith and Y. Zheng *Front. Integr. Neurosci.* <http://doi.org/wrj> (2013); I. Bures and C. Buresova in *Machinery of the Mind* (eds E. R. John et al.; Springer, 1990), and evidence of his pioneering research was presented by neurophysiologist Merab Tsagareli at a September 2014 conference on early Soviet and Russian contributions to the 'science of anticipation' (see go.nature.com/oc4c18).

In my view, Beritashvili, as the first to study spatial navigation in higher vertebrates, deserves a mention in the Nobel background document. His contributions warrant reappraisal, as do those of many other scientists who worked in the former Soviet Union and who were often vilified and isolated from the international scientific community.

Mihai Nadin *Institute for Research in Anticipatory Systems, University of Texas at Dallas, Richardson, Texas, USA.*
nadin@utdallas.edu

CONTRIBUTIONS
Correspondence may be sent to correspondence@nature.com after consulting the guidelines at <http://go.nature.com/cmchen>.

4 NOVEMBER 2014 | VOL 515 | NATURE | 37
© 2014 Macmillan Publishers Limited. All rights reserved.

ლიდელმა (1925) გაიმეორეს და დაადასტურეს ბერიტაშვილის შედეგები. საკუთრივ რეციპროკული შეკავების ფენომენი კი აღმოაჩინა ინგლისელმა ფიზიოლოგმა ჩარლზ შერინგტონმა, რომელმაც 1932 წელს ნობელის პრემია გაინანილა აღნიშნულ ედგარ ედრიანთან ერთად.

ამ საკითხებზე მუშაობისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა კუნთებსა და ნერვებში აღმოცენებულ დენების რეგისტრაციას, რაც იმ დროს რთულ ტექნიკურ პრობლემას წარმოადგენდა სათანადო ხელსაწყოების არ არსებობის გამო. ახალგაზრდა ბერიტაშვილს ბრწყინვალე აზრი მოუვიდა – გამოეყენებინა ჰოლანდიელი ფიზიოლოგის ვილემ ეინდჰოვენის მიერ კონსტრუირებული ე.წ. სიმიანი გალვანომეტრი, რომელსაც ის წარმატებით იყენებდა გუ-

ლის კუნთში აღმოცენებული დენების რეგისტრაციისთვის. ივანეს ასეთი ხელსაწყო ეგულებოდა ყაზანის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე, პროფესორ ა. სამოილოვთან, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნული მეთოდი შეისწავლა 1904 წელს ჰოლანდიის ქალაქ ლეიდენში სწორედ ვ. ეინტჰოვენთან მუშაობის დროს. ცოტა მოგვიანებით, 1921 წელს ეინტჰოვენმა დაიმსახურა ნობელის პრემია ელექტროკარდიოგრაფიის აღმოჩენისთვის.

უდრეკმა და მიზანმიმართულმა ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა, ისე, რომ არც კი უკითხია თავისი ხელმძღვანელისთვის, წერილი მისწერა პროფესორ სამოილოვს, რომ მასთან სურდა ჩასვლა კუნთებიდან ელექტრული დენის სიმიანი გალვანომეტრით რეგისტრაციის მეთოდის ასათვისებლად. სამოილოვმა საქმის კურსში ჩააყენა მისი პეტერბურგელი კოლეგა-მეგობარი და ბერიტაშვილი, ხელმძღვანელის დასტურითა და სათანადო რეკომენდაციით აღჭურვილი, ეწვია ყაზანს. მან წარმატებით აითვისა მისთვის სანატრელი მეთოდი და თან წამოიღო ამ ხელსაწყოს ერთი ეგზემპლარი, რომელიც საჩუქრად გამოატანა სამოილოვმა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ როდესაც ვედენსკის ლაბორატორიაში ამ აპარატით აღფრთოვანებული შეფი და მისი თანამშრომლები ბჭობდნენ, თუ სად უნდა განეთავსებინათ ხელსაწყო, ბერიტაშვილმა სრულიად მოურიდებლად შესთავაზა ხელმძღვანელს – ის მოეთავსებინათ მის ფართო კაბინეტში, რომელიც უფრო შეესაბამებოდა ლაბორატორიის მოთხოვნებს, თავად კი კაბინეტად აელო მის გვერდზე არსებული უფრო მომცრო სათავსო ოთახი. ყველას გასაკვირად, მასწავლებელი-პროფესორი დასთანხმდა მოწაფის წინადადებას. სწორედ ამ აპარატის მეშვეობით აღმოაჩინა ბერიტაშვილმა ზევით აღწერილი რეციპროკული შეკავების რიტმული ბუნება.

მოგვიანებით, ე. ედრიანი ბერიტაშვილისადმი მიძღვნილ წერილში აღფრთოვანებით იგონებდა, რომ მასზე და მის ხელმძღვანელზე, პროფესორ კეიტ ლუკასზე ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერიტაშვილის 1913 წლის სტატიამ, რომელშიც მკაფიოდ იყო ნაჩვენები ეინტჰოვენის სიმიანი გალვანომეტრის საშუალებით ნერვულ ღეროში მიმდინარე დენის ე.წ. მოქმედების პოტენციალის წარმოქმნა, რაც ადასტურებდა, რომ ყველა ნერვული ბოჭკო ერთად იყო ჩართული მოქმედებაში. ე. ედრიანი სინანულით აღნიშნავდა, რომ მაშინ მათ არ გააჩნდათ ასეთი საკმარისად მგძნობიარე აპარატი – სიმიანი გალვანომეტრი.

სამწუხაროდ, ივანე ბერიტაშვილს აღარ გაუგრძელებია ამ მიმართულებით მუშაობა. ის ჯერ გადაერთო თბილისის-



**ი. ბერიტაშვილი ქართველ ფიზიოლოგებთან ერთად (1960-იანი წლები)
მარცხნიდან: ნ. ძიძიშვილი, გ. ვანაძე, ივ. ბერიტაშვილი, ს. ნარიკაშვილი,
პ. ქომეთიანი. დგანან: მ. ზაალიშვილი, გ. მჭედლიშვილი, ა. როიტბაკი,
ა. მონიავა, გ. ბექაია**

ლიან ცხოველებზე, რისთვისაც ეწვია პოლანდიის ქალაქ უტრეხტში პროფესორ რუდოლფ მაგნუს, მაგრამ ვერ შეძლო მუშაობის გაგრძელება პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო; შემდეგ თავის ხელმძღვანელთან კონცეპტუალური უთანხმოების შედეგად იძულებული შეიქნა, დისერტაციის დაუცველად დაეტოვებინა პეტერბურგი და სამუშაოდ გადასულიყო ოდესის უნივერსიტეტში (1916), ხოლო სამი წლის შემდეგ დაბრუნებულიყო საქართველოში, ახლად გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში სამოღვაწეოდ. ამასთან იგი გაიტაცა ცხოველთა ქცევის შესწავლამ.

კემბრიჯელმა ედგარ ედრიანმა კი განაგრძო აღნიშნული მიმართულებით კვლევა, დახვეწა რეგისტრაციის მეთოდი და ნერვულ ბოჭკოში ელექტრული პოტენციალის აღმოცენების ე.წ. „ან სულ ან არაფრის“ კანონის აღმოჩენისთვის (1928) დაჯილდოვდა ნობელის პრემიით 43 წლის ასაკში (1932).

* * *

მეორე საკითხი უკავშირდება თავის ტვინის ნახევარსფეროებს შორის ურთიერთკავშირების შესწავლას. მეორე

მსოფლიო ომის დაწყების წინ ივანე ბერიტაშვილმა და მისმა ერთ-ერთმა უნიჭიერესმა ფიზიოლოგიის კათედრის თანამშრომელმა ნინო ჭიჭინაძემ გერმანელი ფ. კიოლერის მეთოდით ჩაატარეს უაღრესად მახვილგონივრული ექსპერიმენტები, რომლებიც ეძღვნებოდა მეხსიერების კვალის გადატანას თავის ტვინის ერთი ნახევარსფეროდან მეორეში. მტრეებს უხვევდნენ ერთ-ერთ თვალს და მეორე თვალზე გამოუმუშავებდნენ პირობით, მოძრაობით-კვებით რეფლექსს მხედველობით გამღიზიანებელზე. აღმოჩნდა, რომ მოძრაობით-კვებითი რეაქცია ადვილად აღმოცენდებოდა მეორე, ახვეული, ანუ „დაუსწავლელი“ თვალის სტიმულაციითაც, თუკი შენარჩუნებული იყო სუპრაოპტიკური კომისურა. ეს უკანასკნელი შედგება ნერვული ბოჭკოების გროვისგან, რომელიც აკავშირებს მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფერებს და წარმოადგენს კორდიანი სხეულის ანალოგს ძუძუმწოვარ ცხოველებისთვის. ჭიჭინაძის მიერ ნახევარსფეროების დამა-



ი. ბერიტაშვილი კათედრის სტუდენტებთან და თანამშრომლებთან ერთად (1968 წ.) მარცხნიდან: მ. მაისურაძე, მ. გოგავა, ნ. ჭიჭინაძე

კავშირებელი ამ კომისურის გადაჭრის შედეგად მტრედების მეორე, დაუსწავლელი თვალის მხედველობითი გალიზიანება უკვე აღარ იწვევდა პირველ თვალზე გამომუშავებული რეფლექსის აღმოცენებას; ე.ი. ჰემისფეროთა შორის ყოველგვარი ურთიერთქმედება შეწყდა. ბერიტაშვილ-ჭიჭინაძის მიერ მტრედებში ჰემისფეროთა დამაკავშირებელი სუპრაოპტიკური კომისურის გადაჭრა პირველი შემთხვევა გახლდათ ფიზიოლოგიის ისტორიაში თავის ტვინის ნახევარსფეროების ურთიერთკავშირის შესასწავლად.

ქართველ მეცნიერთა შრომების მნიშვნელობაზე აღრფრთოვანებით წერდა თავის ტვინის ჰემისფეროთა ურთიერთქმედების ცნობილი სპეციალისტი, ამერიკელი პროფესორი რობერტ დოტი ჩვენს ერთობლივ სტატიაში, რომელიც მიეძღვნა ბერიტაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობას (Tsagareli M.G., Doty R.W. Ivane S. Beritashvili (1884-1974): from spinal cord reflexes to image driven behavior. *Neuroscience*, 2009; Vol. 163, No. 3, pp. 848-856.) ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ უნდა ვივარაუდოდ, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო და, სამწუხაროდ, ომის დასრულების შემდეგაც ბერიტაშვილსა და ჭიჭინაძეს ამ მიმართულებით მუშაობა აღარ გაუგრძელებიათ. თუმცა, როგორც ჩანს, ბერიტაშვილს გარკვეული ინტერესი დარჩა საკითხის მიმართ, რის დასადასტურებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მან 1960-იანი წლების დასაწყისში თავისი ახალგაზრდა თანამშრომელი ვახტანგ მოსიძე ჯერ მიავლინა ლენინგრადში ივანე პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, ხოლო დაახლოებით ათი წლის შემდეგ აშშ-ის როჩესტერის უნივერსიტეტში რობერტ დოტისთან ჰემისფეროთა ურთიერთობის საკითხებზე სამუშაოდ.

როგორც მოგახსენეთ, ქართველ ფიზიოლოგებს მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო ჰემისფეროთა ურთიერთობის პრობლემაზე მუშაობა აღარ გაუგრძელებიათ, სამაგიეროდ, ცნობილი ამერიკელი მეცნიერის კარლ სპენსერ ლემლის ახალგაზრდა თანამშრომლებმა ჯონ ლივანიმა და როჯერ სპერიმ ინტენსიური მუშაობა დაიწყეს ამ მიმართულებით, მოტივირებული იყვნენ რა კიოლერისა და ბერიტაშვილი-ჭიჭინაძის



ივ. ბერიტაშვილი და ნ. მუსხელიშვილი (1972 წ.)

შრომებით. როგორც ჩანს, ბატონ ივანეს გაგზავნილი ჰქონდა თავისი სტატიების ამონაბეჭდები – ერთ-ერთი, გერმანულ ენაზე – ლეშლისთვის, რადგან ამერიკელი მეცნიერები მათ ციტირებას ახდენდნენ, მაგრამ არა იმ სტატიისა, რომელშიც აღწერილია ჰემისფეროთა დამაკავშირებელი კომისურის გადაჭრის შედეგად მიღებული მონაცემები.

იმ დროისთვის ჯერ კიდევ კარგად არ იყო ცნობილი თავის ტვინის ნახევარსფეროებს შორის დამაკავშირებელი ნერვული გზების ფუნქციები და მათი მნიშვნელობა. 1950-იანი წლებიდან მეცნიერები ინტენსიურად დაინტერესდნენ ამ პრობლემით. ქართველი სწავლულების აღმოჩენიდან 20 წლის შემდეგ რ. სპერიმ დაადასტურა კატეზში, რომ კორძიანი სხეულის გადაჭრის შემდეგ ერთი ჰემისფეროსთვის წარდგენილი მხედველობითი ინფორმაცია სრულიად მიუწვდომელია მეორესთვის (1958). მოგვიანებით, 1981 წელს რ. სპერის ნობელის პრემია მიენიჭა თავის ტვინის ჰემისფეროთა ფუნქციური სპეციალიზაციის საკითხების შესწავლისთვის.

* * *

მესამე პრობლემა უკავშირდება ივანე ბერიტაშვილის მთავარ სამეცნიერო მემკვიდრეობას, მის კონცეფციას

ფსიქონერვული ქცევის შესახებ, ანუ სივრცით ორიენტაციაში ე.წ. ხატისმიერ, ანუ ხატით წარმართულ ქცევას. მისი ცხოველთა ქცევის პრობლემით გატაცება განაპირობა ივანე პავლოვთან კონცეპტუალურმა უთანხმოებამ პირობითი რეფლექსების ფორმირების ფიზიოლოგიურ საფუძვლებთან დაკავშირებით. 1920-იანი წლების ბოლოს ბერიტაშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პავლოვ-ბესტერევის პირობითი რეფლექსების გამომუშავების მეთოდი (როდესაც უაღრესად შეზღუდულია ცხოველის ქცევითი აქტიობა) არ წარმოადგენს სათანადო მოდელს პავლოვის თეორიის, ე.წ. „უმაღლესი ნერვული მოქმედების“ გასავითარებლად. ამის სანაცვლოდ ბერიტაშვილმა შემოიტანა ახალი მიდგომა – ცხოველთა ე.წ. „თავისუფალი მოძრაობის“ ცნება, როდესაც ძალდი თავისუფლად არის გაშვებული ექსპერიმენტულ ოთახში. მისი თეორია ცხოველთა ფსიქონერვული აქტიობის შესახებ, რომელიც პირველად მოწოდებულ იქნა მის წიგნში 1932 წელს, ხოლო გაფართოებულ იქნა შემდგომ მონოგრაფიებში 1947, 1961, 1968 წლებში, მყარ შესაბამისობაში იყო ე.წ. „კოგნიტური რუკის“ კონცეფციასთან, რომელიც თავდაპირველად განავითარა ამერიკელმა ედვარდ ტოლმანმა (1932, 1948), ხოლო შემდგომ ამერიკელ-ბრიტანელმა ჯონ ო'კიფიმ (1978).

თავისუფალი მოძრაობის მეთოდით პირობითი რეფლექსების შესწავლისას ბერიტაშვილი წააწყდა მოვლენებს, რომელთა ახსნა ან აღწერა შეუძლებელი იყო მხოლოდ პირობითი რეფლექსებით. მან აღმოაჩინა, რომ თუკი ცხოველი მოცემულ ადგილას მხოლოდ ერთხელ მიიღებდა საკვებს, იმავე ან მეორე დღეს იგი თავად გარბოდა იგივე ადგილისკენ გაღიზიანების გარეშე. ბერიტაშვილმა დაასკვნა, რომ უმაღლეს ხერხემლიანებს საკვების აღქმისას წარმოექმნებათ „ხატი“ საკვებსა და მის ადგილმდებარეობაზე. ეს ხატი რეპროდუცირდება, როდესაც ცხოველი აღმოჩნდება იგივე ადგილმდებარეობაში; უფრო მეტიც, მოგვიანებით ცხოველი იქცევა ისეთნაირადვე (დაყნოსვა და სხვა ქცევითი გამოვლინებანი), როდესაც იგი უბრუნდება იმ ადგილს, სადაც პირველად აღმოაჩინა საკვები. ეს საორიენტაციო ან კვლევით-

თი, მიზანმიმართული ქცევა, სავარაუდოდ, უნდა წარმოადგენდეს ობიექტის (საკვებურის) ხატის პროექციას, რომელიც ცხოველმა შეიცნო გარემოში, სადაც პირველად მიიღო საკვები. ასეთ ხატი-რეგულირებად, ხატი-წარმართულ ქცევას ბერიტაშვილმა თავდაპირველად *ფსიქონერვული*, ხოლო შემდგომ *ხატისმიერი ქცევა* უწოდა და 1932-1936 წლებში მოგვცა თავისი დოქტრინის ძირითადი პრინციპები. ათი წლის შემდეგ მან თავისი თეორია ჩამოაყალიბა მონოგრაფიაში „*Об основных формах нервной и психонервной деятельности*“, რომელიც გამოიცა მოსკოვში 1947 წელს. ამ წიგნმა უარყოფითი გამოძახილი ჰპოვა პავლოვის სკოლის მხრიდან. ბერიტაშვილის დასკვნა, რომ ფსიქონერვული მოქმედება პრინციპულად განსხვავდება პირობითი რეფლექსებისაგან, შეიქნა განსაკუთრებული მიზეზი საბოლოო კონფრონტაციისთვის პავლოვის სკოლის მხრიდან. როგორც უკვე მოგახსენეთ, ბერიტაშვილი სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად შერაცხეს „*ანტი-პავლოვისტად*“, გაანთავისუფლეს თავისივე დაარსებული ინსტიტუტის დირექტორის პოსტიდან და საერთოდ აუკრძალეს სამეცნიერო მუშაობა...

რამდენიმე წლის შემდეგ სამართლიანობა აღდგა და ცხოველთა ხატისმიერი ქცევის ბერიტაშვილისეული მოძღვრების გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს მისი წიგნი „*Нервные механизмы поведения высших позвоночных животных*“, რო-



მელიც პირველად დაიბეჭდა მოსკოვში 1961 წელს, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ითარგმნა ინგლისურად და გამოქვეყნდა ბოსტონში (1965).

პოლიტიკური რეაბილიტაციის შემდეგ ინსტიტუტში დაბრუნებულმა მეცნიერმა წარმატებით განაგრძო კვლევა ცხოველთა და ადამიანის სივრცითი ორიენტაციის საკითხებზე, რასაც მიუძღვნა მონოგრაფია 1959 წელს. ამის შემდეგ ივანე ბერიტაშვილი შეუდგა ახალ პრობლემაზე – მეხსიერებაზე მუშაობას, რომელშიც მთელი ინსტიტუტი ჩართო. ინტენსიურმა კვლევამ იგი მიიყვანა ახალ აღმოჩენამდე, რომ ცხოველთა ქცევა სხვა ტიპის მეხსიერების ფორმებთან (მაგალითად, პირობით რეფლექსური, ანუ ასოციაციური) ერთად ემყარება ე.წ. ხატისმიერ მეხსიერებასაც, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცხოველთა და ადამიანთა სივრცით ორიენტაციასა და ნავიგაციაში. ივანე ბერიტაშვილის მეხსიერების პრობლემისადმი მიძღვნილი წიგნი „Память позвоночных животных: ее характеристика и происхождение“ პირველად გამოქვეყნდა თბილისში რუსულად 1968 წელს. სამი წლის შემდეგ იგი ითარგმნა ინგლისურად და გამოქვეყნდა ნიუ-იორკში (1971). მეორე, გადამუშავებული და გაფართოებული გამოცემა გამოვიდა მოსკოვში 1974 წელს, მის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ივანე ბერიტაშვილის გარდაცვალების შემდეგ მის სამეცნიერო სკოლას ფაქტიურად აღარ გაუგრძელებია მუშაობა მასწავლებლის მიერ დასახული მიმართულებითა და გეგმით. წარმოშობით ამერიკელი მეცნიერი ჯონ ო'კიფი, დაიცვა რა სადოქტორო დისერტაცია მაკგილის უნივერსიტეტში (მონრეალი, კანადა) ტკივილის შესწავლის დარგის ცნობილი სპეციალისტის რონალდ მელზაკის ხელმძღვანელობით, გადავიდა ინგლისში, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში, სადაც განაგრძო მუშაობა ტკივილის უპირველეს მეტრთან პატრიკ უოლთან. აქ ო'კიფი გაიტაცა იდეებმა სივრცითი ორიენტაციის შესახებ, კერძოდ ე. ტოლმანის კონცეფციამ თავის ტვინში ე.წ. „კოგნიტიური რუკისა“ და ბერიტაშვილის დოქტრინამ

ხატისმიერი ქცევისა და მეხსიერების შესახებ. როგორც პროფესორმა ო'კიფიმ ერთ-ერთ ჩვენთაგანს უთხრა პირად საუბარში 2003 წელს, მან წაიკითხა ბერიტაშვილის ყველა ინგლისურენოვანი სტატია და წიგნი, უფრო მეტიც, დაიქირავა და პირადად გადაუხადა თანხა თარჯიმან ქალს ბერიტაშვილის რუსულენოვანი სტატიების ინგლისურად გადათარგმნისთვის.

1970-იანი წლების დასაწყისიდან ო'კიფიმ დაიწყო თავისუფლად მოძრავ ცხოველებში (უმთავრესად ვირთაგვების თავის ტვინის ერთ-ერთი სტრუქტურიდან – ჰიპოკამპიდან) ერთეული ნერვული უჯრედებისა და მათი ანსამბლების ელექტრული სიგნალების რეგისტრაცია. ამ ცდებით მან აღმოაჩინა აღნიშნულ სტრუქტურაში ე.წ. ადგილის ნეირონები, რომლებიც განსაკუთრებით აქტივდებიან ცხოველის სივრცითი გადაადგილებისას. მოგვიანებით მისმა მიმდევრებმა, ნორვეგიელმა ცოლ-ქმარმა ედვარდ და მეი-ბრიტ მოზერებმა აღმოაჩინეს მსგავსი ტიპის უჯრედები ჰიპოკამპის მოსაზღვრე უბანში, ე.წ. ენტორინალურ ქერქში. 2014 წელს ო'კიფისა და ცოლ-ქმარ მოზერებს მიენიჭათ ნობელის პრემია თავის ტვინში სპეციალური უჯრედების აღმოჩენისთვის, რომლებიც განაპირობებენ სივრცით ორიენტაციას. სამწუხარო ფაქტია, რომ ეს თვალსაჩინო მეცნიერები ახდენენ ე. ტოლმანის ციტირებას, მაგრამ აბსოლუტურად არ იხსენებენ ივანე ბერიტაშვილის ღვაწლსა და დამსახურებას.

ივანე ბერიტაშვილი და ედვარდ ტოლმანი ურთიერთდამოუკიდებლად მივიდნენ საერთო დასკვნებამდე, მხარს უჭერდნენ რა ცხოველთა სივრცითი ქცევის ჰოლისტურ-მიზანმიმართულ ბუნებას. საკუთრივ ბერიტაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო ქცევათმეცნიერებაში ხატისმიერი ქცევისა და მეხსიერების თეორიებით; იმავდროულად, ტოლმანმა კი მნიშვნელოვნად გაამდიდრა ამერიკული და მსოფლიო ექსპერიმენტული ფსიქოლოგია თავისი კონცეფციებით ლატენტური (ფარული) დასწავლისა და „კოგნიტიური რუკის“ შესახებ.

10

„ცოცხლად დამარხულის“ გულისტკივილი



დ. ვორონცოვი

1965 წელს ივანე ბერიტაშვილი თბილისიდან წერილს სწერს მეგობარს, დანიელ სემიონოვიჩ ვორონცოვს, რომელთანაც ერთად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ისინი ერთად მუშაობდნენ სანკტ-პეტერბურგის საუნივერსიტეტო ფიზიოლოგიურ ლაბორატორიაშიც ნ. ვედენსკის ხელმძღვანელობით, ხოლო შემდეგ ოდესის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე. ივანე ბერიტაშვილი მას თავის გულისტ-

კივილს უზიარებს იმასთან დაკავშირებით, რომ „საბჭოეთის რკინის ფარდამ“ ისინი ძალიან დააშორა დასავლეთს და რომ „ცოცხლად დამარხულ“ მეცნიერებად ითვლებოდნენ. საუბარია იმაზე, რომ თუკი მათი მასწავლებლები – ვედენსკი, პავლოვი და სხვა დიდი მეცნიერები ზაფხულის არდადეგებს რამდენიმე თვით ევროპის ლაბორატორიებში ატარებდნენ, საიდანაც ახალი გამოცდილება ჩამოჰქონდათ რუსეთში, 1924 წლიდან კი საბჭოთა მეცნიერთათვის საზღვარგარეთ მივლინებები საერთოდ აიკრძალა. გარდა ამისა, მკვლევარები იძულებულნი შეიქნენ მხოლოდ საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამომავალ სამეცნიერო ჟურნალებში გამოეყვეყნებინათ თავიანთი შრომები, რის გამოც სრულ იზოლაციაში აღმოჩნდნენ. ივანე ბერიტაშვილმა „რკინის ფარდის“ მიღმა დასავლეთისთვის ხმის მიწვდენა შესძლო მხოლოდ ე.წ. „დათობის“ პერიოდის შემდგომ. სწორედ ამის შემდეგ

ალიარა მთელმა მსოფლიომ მისი ღვანლი ფიზიოლოგიაში და მსოფლიო ფიზიოლოგიის პატრიარქადაც შერაცხეს. თუმცა მანამდე წლები დაიკარგა...

* * *

გთავაზობთ ივანე ბერიტაშვილის წერილს დანიელ სიმონოვიჩ ვორონცოვისადმი, რომელშიც ქართველი მეცნიერის სამართლიანი გულისწყრომის გამოხატულების გარდა მისი პოლიტიკური შეხედულებებიც წერილობითაა დადასტურებული.

Дорогой Даниил Семенович!

Я давно собираюсь написать письмо. Во-первых, хочу узнать, когда Вы к нам приедете в Сухум этим летом? Мы сейчас две недели провели в Сухуми. Было чрезвычайно приятно! Даже я спал все время без ноксирона! Приезжайте надолго, а не на один-два дня, как это было прошлый раз.

Во-вторых, доживши до 80 лет мы должны хорошенько поговорить и обсудить: что мы сделали за эту долгую жизнь и нужно-ли было это сделать: была ли существенная польза для развития науки о жизни. Я лично сомневаюсь. Мне кажется, не будь моего участия, эта наука развивалась не только за границей, но и у нас в Советском Союзе точно таким же образом, как при моём участии. Этого нельзя сказать про Павлова, Введенского, Шеррингтона, Магнуса, Эрлангера, Лэшли, Мэгуну, Грундфеста и многих других.

Подумайте и вы также о своей роли в развитии науки о жизни, заодно и о моей. Вместе решим вопрос – оставляем-ли мы какой либо заметный след в науке, или в чём он состоит. Я, конечно, и также Вы можете пересчитать уйму вновь открытых фактов, немало новых теоретических взглядов для понимания этих фактов. Ну, что же! А посмотрите новейшую литературу: кто-нибудь кладёт их в основу своих суждений? Вы этого не увидите не только в заграничной но и в нашей!

А почему так произошло, от того-ли что наши факты и теории были малозначущи, или есть какие-то другие причины. Об одной важной причине скажу сейчас, чтобы Вы тоже задумались над ней. Революция оторвала нас от остального мира!

1. Печатание наших трудов большей частью только на русском языке.

2. Отсутствие личного общения с заграничными учеными.

3. Невозможность поработать в зарубежных лабораториях. Ведь Павлов, Введенский, Сеченов и все другие русские ученые почти каждое лето выезжали за границу. Мы были лишены этих возможностей. Ведь все наши русские ученые печатали свои труды в иностранных журналах. Мы с Вами также поступали до 1924 года. Затем это прекратилось. Даже на заграничные конгрессы нас не пускали. Можно сказать, что для всемирной литературы мы были заживо похоронены!

Но почему в русской физиологии мы также не популярны? Я бы сказал в Советской литературе в громадном большинстве случаев меня цитируют для того, чтобы опровергнуть какую-либо мою теорию. А если кто-либо и открыл точно такие же факты, как и я, и сформулировал такую же теорию как я, то почти никогда, как правило, не скажут, что приоритет принадлежит не ему.

Однако, может быть, для установления значения наших трудов в развитии Советской науки, совсем не надо исходить из того, цитируются наши труды, или нет. Эти труды читаются во всяком случае. Поэтому надо думать, что наши факты и теории стимулируют постановку аналогичных опытов и формулировку аналогичных теоретических суждений. Значит, если не в открытой, так в скрытой форме наши факты и теории послужили для развития науки. Например, Л.Г.Воронин в своей докторской диссертации, посвященной изучению условных рефлексов на комплексное раздражение у обезьян, получил в сороковых годах такие же результаты и вообще дал такое же объяснение как я, работая на собаках в двадцатых годах! Так поступали все павловцы: они верховодили в физиологии и вели себя как Воронин в отношении многих моих фактов и теорий! Должно быть вся эта ненормальность явилась результатом переноса культа личности в нейрофизиологии?!

Вот только после публикации на английском языке моих книг: «Нервные механизмы поведения высших позвоночных животных» и «О нервных механизмах пространственной ориентации», которые в скором времени выйдут из печати – можно будет ожидать, что они повлияют определенным образом на развитие науки о жизни. Если бы Ваша «Электрофизиология» вышла на английском языке, она тоже имела бы значение в этом отношении.

В-третьих, надо же Вам рассказать, как у нас идёт дело насчет комплексного изучения памяти. Я лично всецело поглощен этой проблемой и пытаюсь потянуть за собой весь коллектив. На словах

все готовы заняться ею, но пока-что мало кто втянулся в эту работу. В своём отделении поведения мы добились многих очень интересных результатов. Мы задались целью выяснить роль каждого раздела новой и старой коры и также подкорковых образований в разных видах памяти: в свежей или краткосрочной и долгосрочной памяти в отношении условных рефлексов – заученных движений, в отношении эмоции. Присутствую на опытах, читаю литературу о памяти, пишу и пишу без конца. И передо мной все время стоит вопрос – не затеял-ли я на старости лет непосильную работу!

На международный конгресс физиологов я должен был поехать как делегат, а Ольга Антоновна – сопровождать как турист. Но до сих пор ни я, ни О.А. не получили официального извещения из Иностранного Отдела АН СССР. Нарикашвили едет как турист и этот Иностранный Отдел у него давно затребовал документы для оформления? Четыре дня тому назад я запросил телеграммой иностранный Отдел и ответа ещё не получал. Я собираюсь делать доклад о памяти и показать фильм. Я значительно дополнил новыми фактами тот фильм, который Вы видели и отзвучу на английском языке.

Интересно знать, Вы выразили свое желание поехать на этот конгресс и что из этого вышло. Такое впечатление, что в нашей делегации Костюк должен занимать руководящее место. Я получил приглашение из Токио: прибыть на заседание Центрального Совета Международного Общества физиологов. В повестке этого заседания даётся список участников и советских групп и состоит из Костюка, Волохова, Беритова, Аничкова и Асратьяна. Первым стоит Костюк!

Мне Иоселиани сообщал, что он Вас видел в Киеве и что Вы болели и лежали в больнице. Что это так часто болеете? Ведь у Вас нет еще такого балбеса внука, который бы Вам отравлял жизнь ежедневно! Ваш Данилка, наверное, также мил сейчас, каким я его видел год назад!

Ну, хватит пока! Об остальном поговорим когда увидимся в Сухуми.

Ваш

« » июня 1965г.

❧ 11 ❧

საერთაშორისო აღიარება

(ფიზიოლოგის, ივანე ბერიტაშვილის თანამედროვე მეცნიერის, მისი მეგობრის, კოლეგისა და ბიოგრაფის ნიკოლოზ ძიძიშვილის წიგნიდან – „ქართული ფიზიოლოგიის დედაბოძი“ (1975 წ.) ამონარიდი შეფასებები ივანე ბერიტაშვილზე).

* * *

ოფიციალური იუბილე ივანე ბერიტაშვილს სამჯერ გადაუხადეს: პირველად, როცა 50 წელი შეუსრულდა – 1935 წელს; მეორედ – 1955 წელს, 70 წლისთავზე; ხოლო მესამედ, როცა 80 წელი შეუსრულდა. სამივე საიუბილეო საღამო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოეწყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ 70 წლის იუბილესთან და შემდეგ უკვე 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით სქელტანიანი კრებული გამოსცა, რომელშიც იუბილარისადმი მიძღვნილი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი ნაშრომები დაიბეჭდა. ამ ნაშრომებში წარ-



ივანე ბერიტაშვილი მოსკოვის კოლოქვიუმის მონაწილეებთან (1958 წ.)

მოდგენილი იყო ფიზიოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები, ავტორთა კვლევის ძირითადი შედეგები. საიუბილეო კრებულში შევიდა ზოგიერთი ავტორის იუბილარისადმი მისასალმებელი ტექსტიც, რომელიც მათ შრომებს ახლდა. მკითხველისთვის საინტერესო იქნება ზოგი რამ ამ გამონათქვამებიდან:

„ბედნიერი ვარ, რომ ღირშესანიშნავი თარიღის, ღრმად პატივცემული აკადემიკოსის ივანე ბერიტაშვილის იუბილესთან დაკავშირებით შესაძლებლობა მომეცა წარმოვადგინო მუშაობის შედეგები. მას ხომ ესოდენ დიდი დამსახურება აქვს ნერვ-კუნთოვანი ფიზიოლოგიის განვითარების საქმეში“, – წერდა მოსკოველი ბიოფიზიკოსი გლებ ფრანკი.

„სასიამოვნოა, ამ ნაშრომის დასაწყისშივე მოვიგონოთ ის კლასიკური ცდები, რომლებიც ბერიტაშვილმა აწარმოა მაგნუსთან ერთად 40 წელზე მეტი ხნის წინათ. ამ კვლევის შედეგები ხომ მომდევნო მკვლევარებმა მთლიანად დაადასტურეს“, — ასე იწყებდა თავის ნაშრომს მსოფლიოში სახელგანთქმული იტალიელი ფიზიოლოგი ჯეზეპე მორუცი.

„დიდი პატივია მონაწილეობდე კრებულში, რომელიც მიძღვნილია ბერიტაშვილისადმი, ვინც ჩვენი საუკუნის გასულ მესამედში ასე ბევრი შრომა შესძინა ქცევის შესწავლის საქმეს. ჩვენ ერთმანეთს 500 მილით ვართ დაშორებული. მაგრამ მე ამ სიშორიდან აღტაცებული ვარ პროფესორ ბერიტაშვილის მუშაობით და აღმაფრთოვანებს მისი კვლევის შედეგები“, — წერდა ამერიკელი ფსიქო-ფიზიოლოგი ჰორსლი განტი.

„ივანე ბერიტაშვილის მნიშვნელოვან ნაშრომებს კუნთის ფიზიოლოგიაში მე ჯერ კიდევ მაშინ გავეცანი, როცა ფიზიოლოგიის ექსპერიმენტულად შესწავლა ჩემს პირველ მასწავლებელთან – ა. ბეთესთან დავინყე. ჩემი მეცნიერული ინტერესების შემდგომი განვითარების სარბიელზე და მისი შესანიშნავი ნაშრომების მეოხებით, რომლებიც ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციათა უკეთ გაგებისკენ არის მიმართული, მე მრავალი რამ შევიძინე“, — ამბობდა ამერიკელი ფიზიოლოგი ერნსტ ფიშერი.


თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიაში ეპოქალური აღმოჩენის – თავის ტვინის ღეროს ე.წ. ბადისებრი წარმონაქმნის ფუნქციის პირველი მკვლევართაგანი ჰორაციო მეგუნი ლოს-ანჯელესიდან იწერებოდა: – „სასიამოვნო პრივილეგიაა – შეუერთდე დაბადებიდან 70 წლისთავის ზეიმს გამოჩენილი ფიზიოლოგის ივანე ბერიტაშვილისას, ვისი მოღვაწეობაც მხარდამხარ მისდევს თანამედროვე ნეირო-ფიზიოლოგიას, რომლის ჩამოყალიბებაში მას ქეშმარიტად რომ ღვაწლი აქვს“.

„ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილის ტალანტის ერთ-ერთი შესანიშნავი თავისებურებაა ის, რომ იგი დაუცხრომლად ეძიებს ახალ გზებს იმ კანონთა შესაცნობად, რომლებიც ქცევას წარმართავენ. მისი იდეები მუდამ ახლებურია და ცხარე კამათის გამომწვევი. ამან გამაბედინა, რომ იმ კრებულში, რომელიც ივანე სოლომონის ძის დაბადების 90 წლისთავს უნდა მიეძღვნას, ისეთი წერილი დავსტამბო, სადაც განხილული მაქვს, ალბათ, საკამათო, მაგრამ ახალი პრობლემა. ვიმედოვნებ, ივანე სოლომონის ძე კეთილად შეხედავს და ნაკლთა გამო არ გამკიცხავს“, – წერდა რუსი აკადემიკოსი ვლადიმირ ჩერნიგოვსკი.

„ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ პროფესორმა ბერიტაშვილმა 60-ზე მეტი წლის განმავლობაში დიდი წვლილი შეიტანა ქცევათმეცნიერებაში, ადამიანისა და ცხოველთა ცენტრალური ნერვული სისტემის საინტეგრაციო მექანიზმის ანალიზით – ნეიროფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის პოზიციებიდან“, – წერდა იაპონელი ჰიდემომი ტიუჯი.

კანადელი ფსიქო-ფიზიოლოგი დონალდ ჰეიბი აცხადებდა: – „მე დიდ სიამოვნებას მგვრის ის ფაქტი, რომ საშუალება მაქვს გამოვხატო ჩემი პატივისცემა ბერიტაშვილის ვრცელ და ფუნდამენტურად მნიშვნელოვან გამოკვლევათადმი ქცევის ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის სფეროში“.

„არის ნაშრომები, რომლებიც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს წაგვიკითხავს და რომლებიც დღესაც გვახსოვს მათგან აღძრული განსაკუთრებული ინტერესის გამო. მე, კერძოდ, მაგონდება ის ნაშრომი, რომელშიც აღწერილი იყო რე-



ივანე ჯავახიშვილი ფიზიოლოგთა მე-17 მსოფლიო კონგრესის მონაწილეებთან ერთად (ოქსფორდი, 1947 წ.)

ფლექსური მოქმედების საანალიზოდ გამოყენებული სიმინ განვანომეტრით მიღებული შედეგები. იმ დროს ამ მეთოდის სიახლე და განსაცვიფრებელი შედეგები საინტერესო იყო ჩემთვის, სტუდენტისთვის, რომელიც მომხიბლა ელექტროფიზიოლოგიის შესაძლებლობებმა. ეს ნაშრომი ბერიტაშვილისა გახლდათ. იგი 1913 წელს გამოქვეყნდა. თუმცა სიმინ განვანომეტრს დღეს აღარავინ გამოიყენებს, მაგრამ ნერვული მოქმედების ელექტროფიზიოლოგიური ანალიზი დღესაც ისეთსავე ნატიფ დამუშავებას და განსჯას მოითხოვს, როგორც ი. ბერიტაშვილის იმ ნაშრომში იყო მოცემული. ვიმედოვნებ, რომ ჩემი ბოლოდროინდელი ნამუშევრების შედეგთა შეჯამება მცირე რამ ძღვენი იქნება ჩვენი კოლეგისადმი, იმისგან, ვინც მუდმივად მისი თაყვანისმცემელია 40 წლის განმავლობაში“, – წერდა ედგარ ედრიანი, თანამედროვე ელექტროფიზიოლოგიის ფუძემდებელი, ვინც პირველად გამოიყენა ამჟამად ფართოდ გავრცელებული ოსცილოგრაფიული მეთოდიკა ცენტრალური ნერვული სისტემისა და პერიფერიული დაბოლოებების ე.წ. რეცეპტორების მოქმედების შესასწავლად. დღეს მსოფლიოს ყველა ლაბორატორიაში შეისწავლიან ტვინისა და სხვა ნარმონაქმნების მოქმედებას იმ ელექტრული ეფექტების მეშვეობით, რომლებიც ცოცხალ უჯრედებში აღმოცენდება. ოსცილოგრაფიული მეთოდიკა არა მარტო ფიზიოლოგიურ ლაბორატორიებშია, არამედ კლინიკებშიც არის გამოყენებული. ალბათ, ბევრი იგრძნობს კმაყოფილებას, როცა გაიგებს, რომ ელექტროფიზიოლოგიის მამამთავრისთვის, ინგლისელი ედრიანისთვის ელექტროფიზიოლოგიური კვლევის ეშხი თავდაპირველად ახალგაზრდა ქართველი მკვლევრის ნაშრომს აღუძრავს. სხვა კრებულისთვის გამოგზავნილ წერილშიც ედრიანი კვლავ მოიგონებს ივანე ბერიტაშვილის ღვაწლს და განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მან თავისი ლაბორატორია თბილისში ცხოველთა ტვინის კვლევის ერთერთ საყოველთაოდ აღიარებულ ცენტრად აქცია.

12

ივანე ბერიტაშვილის ასპირანტის მოგონებები მასწავლებელზე

მინდა გავიხსენო ივანე ბერიტაშვილის ხასიათის ზოგიერთი თვისება, რომელიც ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში მასთან 20-წლიანი მუშაობის განმავლობაში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გადავწყვიტე ბიოლოგობა, კონკრეტულად კი ფიზიოლოგობა. ოჯახი მაინც და მაინც დიდი ალტაცებით არ შეხვდა ამ ჩემს არჩევანს. ოჯახი მედიკოსებისა იყო და არ უნდოდათ ამ ტრადიციის დამრღვევი ვყოფილიყავი.

ივანე ბერიტაშვილის კათედრას – უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრას სექტემბერში მივაკითხეთ მე და ლიანა კვირკველიამ. დიდი მოწინებითა და შიშით შევალეთ კათედრის კარი. მდივანმა მიგვიყვანა დოცენტთან, ან განსვენებულ ქ-ნ ნინო ჭიჭინაძესთან, რომელიც სტუდენტების დიდი მოამაგე გახლდათ. მდივანმა გააცნო ჩვენი თავი მას (ფიზიოლოგიის საგანი იკითხებოდა მე-3 კურსიდან, ჩვენ კი II კურსის სტუდენტები ვიყავით). დოცენტმა მოგვისმინა, გაიგო ჩვენი სურვილი, რომ ვაპირებთ ფიზიოლოგობას და გვინდა კათედრაზე სიარული და ექსპერიმენტული მუშაობის დაწყება. ივანე ბერიტაშვილი მაშინ კათედრაზე იყო. ქ-ნი ნინო მაშინვე შევიდა ბერიტაშვილთან, ჩვენ გარეთ დავრჩით და, როგორც ჩანს, ჩვენი სურვილი გააცნო. მალე ჩვენც დაგვიძახეს. შევედით ბერიტაშვილის კაბინეტში. მან ღიმილით აგვხედ-დაგვხედა, კარგა ხანს გვათვალთვლებდა, ბოლოს ჭიჭინაძეს მიმართა – დაჯექი და კუნთის და ნერვის ფიზიოლოგია შეასწავლეო. მართლაც ამ დღიდან დავდიოდით ნინო ჭიჭინაძესთან. ის გვიხსნიდა კუნთის ფიზიოლოგიას, გვაძლევდა დავალებებს და პერიოდულად ამ ნაწილებს ვაბარებდით მას. ასე გავიარეთ კუნთისა და ნერვის ფიზიოლოგია. ამის შემდეგ უნდა შევეყვანეთ ბერიტაშვილთან და მოეხსენებინა, რომ ჩვენ ეს ნაწილი უკვე დამუშავებული გვქონდა. და აი, დაბარებული ვართ ერთ-ერთ დღეს, რათა შევხვდეთ ბერი-




ივანე ბერიტაშვილი კათედრის თანამშრომლებთან ერთად

ტაშვილს. ნინა ღამეს თვალი არ მომიხუჭავს, დარწმუნებული ვიყავი, რომ ბერიტაშვილი გამომკითხავდა ამ დამუშავებულ ნაწილს. ვაი, თუ ვერ მეპასუხა რამე, ვაი, თუ აღარ მიველეთ და, მოკლედ, სულ ასეთი განცდები მქონდა. დანიშნულ დღეს აკანკალებული მივედი კათედრაზე. ნინო ჭიჭინაძემ ორივე შეგვიყვანა ბერიტაშვილთან და მოახსენა, რომ ჩვენ გავიარეთ ნერვ-კუნთის ფიზიოლოგია. „ძალიან კარგი!“ – თქვა ბატონმა ივანემ, არაფერი არ გამოგვკითხა და დაუმატა – „ჰო და ახლა დანერონ ასეთი თემები: ერთმა – იზოლირებული კუნთოვანი ბოჭკოს ფიზიოლოგიური თვისებების, მეორემ – იზოლირებული ნერვული ბოჭკოს ფიზიოლოგიური თვისების შესახებ.“ გაგვაგზავნა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ასპირანტ გურამ ბექაიასთან, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობდა და გვითხრა, რომ ლიტერატურას ამ საკითხებზე ის მოგვანვდიდა. ამის შემდეგ უკვე უშუალოდ გადაგვიყვანა ექსპერიმენტებზე და დავიწყეთ კუნთოვანი და ნერვული ბოჭკოს იზოლირება. შემდეგ დავამუშავე საკურსო თემა, დიპლომი და ბოლოს გავხდი ბატონი ივანეს ასპირანტი. მე ბედმა გამიღიმა იმით, რომ ჩემი უშუალო ხელმძღვანელი ბატონი ივანე გახლ-

დათ. ძირითადად, სხვა ასპირანტებს უშუალოდ ბატონი ივანე არ ხელმძღვანელობდა. მათ ჰყავდათ ე.წ. „მიკროშეფი“. შეიძლება ითქვას, რომ მე, ამ მხრივ, ერთ-ერთი გამონაკლისი ვიყავი და ბატონ ივანესთან ყოველდღე მიხდებოდა შეხვედრა და უშუალოდ ექსპერიმენტული მუშაობა.

რა შემთხვევა გავიხსენო საინტერესო ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით მუშაობის დროს? პირველ რიგში, უნდა აუცილებლად აღვნიშნო, რომ მართლაც საუკეთესო წლები იყო ეს წლები. ივანე ბერიტაშვილი იყო, მართლაც, უჩვეულო, განუმეორებელი პიროვნება. მეცნიერება და ექსპერიმენტი მისთვის ყველაფერი იყო. ყველა სიტუაციაში, ნებისმიერ მომენტში იგი არ ივინყებდა ამ საქმეს. გავიხსენებ რამდენიმე მაგალითს: ბატონ ივანეს სოხუმში მოულოდნელად გარდაეცვალა სიძე. ეს სამწუხარო ამბავი კათედრაზე მისმა მუღლემ ოლგა ანტონის ასულმა გვამცნო. მან დარეკა და ითხოვა დალაპარაკებოდა ბატონ ივანეს. ბერიტაშვილი ამ დროს ცდაზე იყო. მისი გამოყვანა საქსპერიმენტო ოთახიდან ცდის მიმდინარეობის დროს თითქმის გამორიცხული იყო. სხვა გზა არ იყო. ბატონი ივანე გამოიყვანეს ცდიდან და მეუღლემ შეატყობინა ეს სამწუხარო ამბავი. ცხადია, ბატონმა ივანემ უდიდესი ტრავმა მიიღო, მაგრამ ამ სიტუაციაშიც მას ექსპერიმენტი არ დავიწყებია. შეჰყარა თანამშრომლები და გამოუცხადა, რომ იგი ერთი კვირა ვერ ივლიდა კათედრაზე და ყველა ნევრს მისცა სათანადო დავალება – თუ რა გაეკეთებინათ ამ ერთი კვირის მანძილზე.

კიდევ ერთი ფაქტი, რამაც ექსპერიმენტის შეწყვეტამ ბატონი ივანეს გაღიზიანება გამოიწვია: – ექსპერიმენტის დროს ლაბორანტმა შემოაღო კარი და მოახსენა ბერიტაშვილს, რომ მოსულები არიან კათედრაზე გაზეთ „Правда“-ს კორესპონდენტები და უნდათ მისი გადაღება ცდების დროს. ბატონი ივანე ვერ იტანდა ვერავითარ ფორმალობას, მით უმეტეს, თუ ეს ექსპერიმენტს შეეხებოდა. ისევ ბერიტაშვილის შეჭმუნული წარბები... ისევ მის სახეზე არასასიამოვნო გამოხედვა... მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. შემოვიდა ორი კორესპონდენტი, სავსებით შეგვაცვლევინეს ექსპერიმენ-



მარცხნიდან: ი. ვეკუა, გ. წერეთელი, ივ. ბერიტაშვილი,
ნ. მუსხელიშვილი და გ. ძონენიძე (1972 წ.)

ტის გარემო, ძალი მიმაცვანინეს ბერიტაშვილთან ახლოს, მეც იქვე გვერდით დამაყენეს... ერთი სიტყვით, ამ სურათს არავითარი საერთო არ ჰქონდა ცდის რეალურ მიმდინარეობასთან და ბოლოს გადაიღეს ფოტო. ამ დროს ბერიტაშვილი ჩემი ოქმების (ექსპერიმენტის) რვეულში რალაცას წერდა. ნავიდნენ კორესპონდენტები. ექსპერიმენტი, რასაკვირველია, ჩაიშალა და ბატონმა ივანემ ერთობ უკმაყოფილომ დატოვა ცდის ოთახი. მე დამაინტერესა, თუ რას წერდა ბატონი ივანე ჩემი ოქმების რვეულში, როცა კორესპონდენტები ამზადებდნენ და „ალამაზებდნენ“ საცდელ ოთახს. და აი, რა ეწერა: „Ох, эти корреспонденты, как они нам надоели, не дают работать, хотя бы скорее они удалились, что за формальность...“

ხშირად ბატონ ივანეზე ამბობდნენ, რომ მას თავისი ფიზიოლოგიის მეტი არაფერი აინტერესებდა, რომ იგი არ გამოიჩინებოდა ჰუმანურობით. ეს ნამდვილად არასწორი შეხედულება იყო მასზე. ბატონი ივანე საკმაოდ ყურადღებიანი და გულისხმიერი პიროვნება გახლდათ, განსაკუთრებით თავისი თანამშრომლების მიმართ.

არ დამავინყდებია იმ თბილი წერილის შინაარსი, რომელიც ბატონმა ივანემ მე მოსკოვში გამატანა პროფესორ

გიორგი დონატის ძე სმირნოვთან, რომლის ლაბორატორიაშიც მიმავლინა ქვენარმავლებზე სამუშაოდ. ეს ლაბორატორია იმყოფებოდა სევერცოვის სახ. ევოლუციური მორფოლოგიისა და ცხოველთა ეკოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე. ბატონი ივანე მოსკოვში ყოფნისას, რასაკვირველია, წინასწარ შეუთანხმდა სმირნოვს ამის შესახებ, მაგრამ წერილი მაინც გამატანა მასთან. აი, რას წერდა ბატონი ივანე წერილში: „Уважаемый Георгий Донатович, приезжает к вам наша сотрудница, Нана Ивановна Сихарулидзе, насчет которой мы договорились. Правда, очень молодая и красивая, но умная и может хорошо работать. Прошу позаботиться о ней. Заранее благодарю вас. С уважением И. С. Бериташвили“.

გარდა ამისა, ჩემი გაფრთხილების გარეშე ბატონმა ივანემ ფიზიოლოგ გივი გორგილაძეს, რომელიც იმ დროს მოსკოვში მუშაობდა სმირნოვის ლაბორატორიაში, გაუგზავნა დეპეშა, რომ ჩამოდის ნანა სიხარულიძე, დახვდი, მოეხმარე ბინაზე მონყობაში და ყურადღება მიაქციეო. საყურადღებოა ის, რომ ბატონ ივანეს არც ჩემი ჩაფრენის თარიღი, არც თვითმფრინავის რეისი არ მოუწერია (ესეც მისი გულუბრყვილობის ფაქტი იყო.) გვიმ დამირეკა მოსკოვიდან, წამიკითხა ბატონი ივანეს დეპეშა და ჩემგან გაიგო ჩემი გაფრენის თარიღი და თვითმფრინავის რეისი.

ბევრი კარგის გახსენება შემიძლია იმ 20 წლის განმავლობაში, ბატონ ივანესთან მუშაობის პერიოდში. ბოლო წლებში ბატონი ივანე ველარ დადიოდა ვერც კათედრაზე და ვერც ინსტიტუტში, მაგრამ მას სიცოცხლის ბოლო დღეებამდე არ შეუწყვეტია სამეცნიერო მუშაობა.

ბოლოს ბატონ ივანეს შეეხვდი 1974 წლის 25 თუ 26 დეკემბერს. მალე მისი იუბილე იყო დანიშნული. ბატონი ივანე ბოლო წლებში თანამშრომლებს სახლში გვიბარებდა და გვაძლევდა დავალებებს, შემდეგ შედეგებს გვთხოვდა და შეჰქონდა მის უკანასკნელ გამოსულ მონოგრაფიაში. ბოლო შეხვედრისას ბატონმა ივანემ მომანოდა მანქანაზე რამდენიმე გვერდზე დაბეჭდილი ტექსტი „О рассудовичной деятельности животных“ და თან დააყოლა: აი, ახლა ჩვენ უნდა დავინყოთ



ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ნ. მუსხელიშვილი და ივ. ბერიტაშვილი

ცხოველთა გონივრული ქცევის შესწავლა. წაიკითხე ეს ტექსტი და რამდენიმე დღეში მომახსენე შენი აზრი“. მაგრამ ეს „რამდენიმე დღე“ უკვე აღარ იყო. ბატონი ივანე 2 დღის შემდეგ მძიმე ავადმყოფი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც იგი 29 დეკემბერს (1974 წ.) გარდაიცვალა.

1975 წლის 4 იანვარს ბატონი ივანე მიიბარა ქართული უნივერსიტეტის ეზოს მიწამ. 12 დღე აკლდა მისი 90 წლის საზეიმო იუბილეს, რომელსაც იგი სიცოცხლეში ვერ მოესწრო.

**ნანა სიხარულიძე,
პროფესორი**

13

ოჯახური ბარემო

ივანე ბერიტაშვილს ცოლად ჰყავდა მასზე 8 წლით უმცროსი პოლონელი ქალი – ოლღა ნივინსკაია, რომელსაც ივანე ოდესის ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში ასწავლიდა. სწორედ იქ შეუყვარდათ მათ ერთმანეთი და 1918 წელს დაქორწინდნენ. როდესაც ივანე ბერიტაშვილმა ივანე ჯავახიშვილისგან თბილისის უნივერსიტეტში სამუშაოდ მიწვევა მიიღო, ოლღა და ივანე, მცირე ბარგითურთ, ოდესიდან გემით ფოთში ჩასულან, იქიდან კი თბილისში... მათი ერთადერთი ქალიშვილი – სალომე – თბილისში დაიბადა. ბერიტაშვილების ოჯახი ცხოვრობდა გმირთა მოედანზე, ე.წ. 11-სართულიან სახლში, საიდანაც ივანე ყოველდღე ფეხით დადიოდა უნივერსიტეტში.



ივ. ბერიტაშვილი და მისი მეუღლე ოლღა სოხუმის აგარაკზე შვილიშვილთან დავით ბერიტაშვილთან ერთად

სალომე ბერიტაშვილს შეეძინა ვაჟი, რომელსაც დავითი დაარქვეს. დღეს იგი ბერიტაშვილის გვარს ატარებს.


ივანე ბერიტაშვილის შვილიშვილის – დავით ბერიტაშვილის მოგონებები ბაბუაზე

ბერიტაშვილმა საკუთარი ფრთის ქვეშ შემიფარა, რადგან მამაჩემი – რეზო ებრაელიძე რეპრესირებული იყო 1948 წელს. მისი ადგილსამყოფელი 10 წლის მანძილზე იყო ვოლგა-დონის არხის მიმდებარედ, ვიდრე მეოცე პარტ-ყრილობამ არ დაიწყო ნელ-ნელა იმ ადამიანების გამოშვება, ვინც პოლიტიკური მიზეზების გამო დაჭერილი იყო. იმისთვის, რომ ხალხის მტრის შვილის იარლიყი არ მომკერვოდა, ივანე ბერიტაშვილმა საკუთარი ფრთის ქვეშ შემიფარა, ანუ ბაბუაჩემმა, ფაქტობრივად, მიშვილა. მაშინ ხომ ხალხის მტრის შვილებსაც რეპრესიები ელოდა... მე კი დამმალეს და გვარი შემიცვალეს. სკოლაში ბერიტაშვილის გვარით ვსწავლობდი. ვინ იცოდა, რომ ტირანი მოკვდებოდა და რაიმე შეიცვლებოდა...

როგორ შექმნეს უმუშევრებად დარჩენილმა ბერიტაშვილმა და გუდიაშვილმა ერთობლივი წიგნი

როდესაც ივანე ბერიტაშვილი ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორობიდან დაითხოვეს, ქართულმა ხელისუფლებამ მოსკოვს დაუმალა, რომ ივანეს კიდევ ჰქონდა სხვა სამსახური – კათედრა უნივერსიტეტში, სადაც უპრობლემოდ დადიოდა კიდევ. ეს იყო კანდიდ ჩარკვიანის მმართველობის პერიოდში. შემდეგ ივანე ვილაცამ დაასმინა მოსკოვში („ჩამვება“ ხომ კარგად გვეხერხება ქართველებს), რომ კომუნისტური პარტია მალავს ინფორმაციას და ბერიტაშვილს კიდევ აქვს მუშაობის საშუალებაო. ამის მერე, პარტიული ორგანოებიდან ივანეს უთხრეს, რომ მოსკოვიდან ისეთი მუქარები

მივიღეთ, იძულებული ვართ გაგიშვათ სამსახურიდანო. ამიტომ იგი უნივერსიტეტიდანაც გაათავისუფლეს. ეს არის 1951 წელი. 3-4 წელი ივანე ბერიტაშვილი უმუშევარი იყო. იმის გამო, რომ ივანეს მჩქეფარე ენერგია ჰქონდა და არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე ადამიანი იყო, თავის სემინარისტულ წარსულს დაუბრუნდა, მოძე-



ლ. გუდიაშვილი

ბნა მღვდლები, რომლებიც მასთან ერთად სწავლობდნენ და სთხოვა ნებართვა, რომ საპატრიარქოს კუთვნილ არქივებში იქაური ლიტერატურის შესასწავლად მისთვის ადგილი გამოეყოთ. ასე რომ, ვითომდა უმუშევრობის წლებში ივანემ საკმაოდ კარგად იმუშავა და გამოსცა 200-ზე მეტ გვერდიანი წიგნი საქართველოში ბიოლოგიური აზროვნების განვითარების ისტორიაზე ასეთი სათაურით: „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, ძველი დროიდან მე-14 საუკუნემდე“. ეს წიგნი გამოიცა 2 ენაზე, თავდაპირველად ქართულად, შემდეგ კი რუსულად. ცნობილია, რომ, მაგალითად, მედიცინის, ასტრონომიის განვითარების შესახებ ინფორმაცია ხშირად იყო საეკლესიო მსახურების ხელში, ამიტომ იქ არის ნაწყვეტები – შესწავლილი იოანე პეტრინის და შუა საუკუნეების სხვა ჩვენი საამაყო ფილოსოფოსების ნაწარმოებებიდან. ეს იყო შეჯამებული ამ წიგნში. გარდა ამისა, ამ წიგნს ერთი კურიოზი ახლავს. იმ დროს, როცა ივანე უმუშევარი იყო, პარალელურად, ჩვენი დიდი მხატვარი ლადო გუდიაშვილიც გამოუგდიათ სამსახურიდან, რადგან მას ბრალად სდებდნენ ქაშუეთის ეკლესიის მოხატვას. ლეგენდადაა ცნობილი, როგორ შეხვდნენ ერთმანეთს რუსთაველზე ბერიტაშვილი და გუდიაშვილი, რომელთაც ურთიერთ მოკითხვისას გაურკვევიათ, რომ ბერიტაშვილი წიგნს წერდა, გუდიაშვილმა კი მას წიგნში ილუსტრაციების გაკეთება შესთავაზა. ასე შესულა

ლადო გუდიაშვილის მიერ ხელით გაკეთებული 6 ილუსტრაცია იმ საბუნებისმეტყველო წიგნში, რომელიც ივანემ შექმნა. ასე რომ, ორმა უმუშევარმა ერთობლივი წიგნი გააკეთა და შესაბამისი გასამრჯელოც მიიღო.

ორი ტყუპი სახლი სოხუმში

მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველო ზურგში იყო და ამიტომ აქ ხდებოდა კონცენტრაცია დაჭრილების, ანუ ყველასი, ვინც ფრონტზე დაზარალდა. შესაბამისად, სანატორიუმების ქსელები წყალტუბოსა თუ საირმეში დაჭრილების მკურნალობაზე იყო ორიენტირებული. ბერიტაშვილი და და ფიზიკოსი ელეფთერ ანდრონიკაშვილი პოლიგონზე ხელოვნურ აფეთქებებს ახდენდნენ და შემდეგ ძაღლების კანტუზიისგან მკურნალობის და მათი რეაბილიტაციისთვის საჭირო რეკომენდაციებს ამუშავებდნენ. ეს რეკომენდაციები მიდიოდა საავადმყოფოებში, სადაც კანტუზიის მსხვერპლი ჯარისკაცები იწვნენ. ომის წლებში ბევრი დაჭრილის რეაბილიტაცია სწორედ ივანე ბერიტაშვილის სახელს უკავშირდება. საერთოდ, მეცნიერებათა აკადემიის ყველა წევრი რალაციტ მანც იყო ჩართული ჰიტლერის გერმანიაზე გამარჯვებისთვის ბრძოლის სამსახურში. და აი, მაშინდელი მთავრობის ერთგვარი ყესტი იყო – მეცნიერები უზრუნველყოთ დასასვენებელი სახლებით. როცა დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი, გამოიცა ბრძანება, რომლის თანახმადაც აკადემიის ყველა წევრისთვის უნდა აშენებულიყო ფინური პროექტის სააგარაკო სახლები. ამ სახლებს აშენებდნენ ტყვე გერმანელები. საქართველოში მაშინ იყო 3 აკადემიკოსი — ნიკო მუსხელიშვილი, სიმონ ჯანაშია და ივანე ბერიტაშვილი. უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო. ნიკო მუსხელიშვილმა აგარაკის აშენება მანგლისში მოითხოვა, დანარჩენმა ორმა კი – სოხუმში. ამიტომ სოხუმში მთაზე ორი ტყუპი სახლი გაჩნდა — ერთი ეკუთვნოდა აკადემიკოს ბერიტაშვილს, მეორე კი აკადემიკოს

ჯანაშიას. როცა მომნიფდებოდა რაიმე წიგნის დაწერა, ივანე მიდიოდა იქ, ჩაიკეტებოდა, ზოგჯერ თარჯიმანთან ერთადაც (თუკი წიგნის ინგლისურად თარგმნას აპირებდა) და 3-4 თვეს სულ სოხუმის იმ აგარაკზე ატარებდა, ვიდრე მზა პროდუქტი არ დაიდებოდა მაგიდაზე.



ივანე ბერიტაშვილი

როგორი ბაბუა იყო ივანე ბერიტაშვილი?

ვინაიდან მამა რეპრესირებული იყო, დედა კი მოსკოვში ასპირანტურაში სწავლობდა, მე, პრინციპში, ბებიამ და ბაბუამ გამზარდეს. ივანე ქართულად მელაპარაკებოდა, ოღლა კი რუსულად. ბაბუა გატაცებული იყო თავისი საქმიანობით, ხოლო დანარჩენ საკითხებს – ყველაფერს მართავდა

ოღლა. როცა ჩემი სკოლაში წასვლის დრო მოვიდა, ორივემ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ბავშვმა კარგად უნდა ისწავლოს ქართული და მიმაზარეს ქართულ სკოლაში. მე 51-ე სკოლა დავამთავრე. ბაბუა ძალიან ზრუნავდა ცოდნის გადმოცემაზე. მახსოვს, ბავშვობაში ელემენტარულ რაღაცებს მასწავლიდა, მაგალითად, ფეხსაცმლის თასმების შეკვრაზე მავარჯიშებდა. ბევრ უნარ-ჩვევებს მასწავლიდა, ხშირად მესაუბრებოდა, მაგრამ სენტემენტალური ადამიანი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ 90 წელი იცოცხლა, სულ იმის დარდი ჰქონდა, რომ „იქნებ, რაღაც ვერ მოვასწარიო“, რადგან სულ საქმით იყო გართული.

ივანე კოლექტიური ექსკურსიების ხშირი ინიციატორი იყო. მახსოვს, მთელი მისი ინსტიტუტი ქირაობდა ავტობუსს და თანამშრომლები არაგვის პირას მიდიოდნენ, იქ შლიდ-

ნენ სუფრას, კოცონს ანთებდნენ და ერთობოდნენ. მე ამ ექსკურსიებზე ბაბუას ხშირად დავყავდი. უყვარდა სიმღერა, თუმცა თავად, როგორც მომღერალი, არ გამოირჩეოდა. ქართული სიმღერებიდან განსაკუთრებით გამოარჩევდა “გაფრინდი შავო მერცხალოს” და კახურ „მრავალჟამიერს“. ეს იცოდნენ მისმა თანამშრომლებმა და მღეროდნენ, ივანე კი დიდი სიამოვნებით უსმენდა მათ.

ბაბუა რომ გარდაიცვალა, მე 30 წლის ვიქნებოდი. მან ბოლო წლები ძალიან მძიმედ გაატარა. ინფარქტი გადაიტანა, შემდეგ წლები ნახევრად მწოლიარე მდგომარეობაში გაატარა. ინსტიტუტმა რაღაც ხელსაწყობით ისე მოუწყო საძინებელი, რომ დანოლილს კითხვაც და წერაც შეეძლო. ანუ ბოლო ამოსუნთქვამდე ივანე ყველაფრის საქმის კურსში იყო.

კიდევ იმის თქმა მინდა – რომ არა საბჭოთა „რკინის ფარდა“, ივანეს შეიძლება ნობელის პრემიაც მიეღო. როდესაც 2014 წელში დასავლეთში მეცნიერთა ერთ ჯგუფს ეს პრემია მიენიჭა, ერთ-ერთმა მკვლევარმა ყველაზე რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში “ნეიჩერ” დაბეჭდა სტატია, სადაც წერდა, რომ ეს ფაქტები გარკვეული წლების წინ საბჭოთა მეცნიერის მიერ იქნა გამოქვეყნებული და ეს მეცნიერი ივანე ბერიტაშვილი იყო. ყველა ეს სტატია და ფოტოები დღეს მე მაქვს, რომელსაც დაუფტოვებ ჩემს შვილს – ივანე ბერიტაშვილს. იგი დღეს მოსკოვში ცხოვრობს და ბაბუაჩემის სახელსა და გვარს ატარებს.

უნივერსიტეტთან ურთიერთობა დღემდე გრძელდება

რამდენი დრო გავიდა და ივანეს დაბადების დღეს უნივერსიტეტში ყოველთვის ტარდება მემორიალური კონფერენცია. ივანე ბერიტაშვილის გარდაცვალებიდან ე.ი. 40-ზე მეტი წლის შემდეგაც 10 იანვარს მისი „სამეცნიერო შვილები“ კი არა, უკვე „შვილიშვილები“ იკრიბებიან ჯერ საფლავთან, მოაქვთ ყვავილები და შემდეგ გადავდივართ აუდი-



დავით ბერიტაშვილი

ტორიაში, სადაც ერთო-ორი აკადემიური საათი ეთმობა „ბერიტაშვილის კითხვანის“ სახელწოდებით სამეცნიერო მოხსენებების მოსმენას. მე და ჩემი შვილები ყოველთვის ვესწრებით ამ ცერემონიალს. ეს ოჯახისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

მხოლოდ ბაბუის ავტორიტეტით არასდროს მიცხოვრია...

პროფესიით ბიოფიზიკოსი ვარ, ანუ ბიოლოგიურ მიმართულებას მაინც ვერ ავცდი და ეს ივანეს გავლენით მოხდა. დაახლოებით 40 წელი გავატარე რუსეთში. დავამთავრე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი ბიოფიზიკის განხრით. შემდეგ გამანაწილეს მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში და იქ გაგრძელდა ჩემი კარიერა. როგორც კი შემისრულდა 60 წელი, მაშინვე გავედი პენსიაში.

გარდა ამისა, ჩვენ მოსკოვში შევქმენით ქართული სათვისტომო. ეს მოხდა 9 აპრილის მოვლენების შემდეგ. მეორე დღეს, ვინც კი ვიყავით მაშინ სტუდენტები, ასპირანტები და პროფესორები, შევიკრიბეთ და დავაარსეთ მოსკოვის ქართული სათვისტომო. ეს ქართული ორგანიზაციის დარეგისტრირების პირველი შემთხვევა იყო, ვინაიდან კომუნისტების დროს ეროვნული ნიშნით ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა იკრძალებოდა. 1989 წლის ივნისში კი ჩვენ უკვე დავფუძნდით, როგორც სათვისტომო. დამფუძნებლებში იყვნენ საკმაოდ ცნობილი ადამიანები: კახა ბენდუქიძე, კახა ლომია, დავით თაბაგარი. აფხაზეთის ომის დროს ჯარისთვის საკვებ პროდუქტებს ვაგროვებდით და ვგზავნიდით სოხუმში. შემდეგ, როცა 10 ათასობით დევნილი საბ-



დავით ბერიტაშვილი შვილებთან ერთად

უთების გარეშე აღმოჩნდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში, უმეტესად მოსკოვში, ჩვენ ამ ადამიანებს ვუნევედით პირველად იურიდიულ დახმარებას, ვასწავლიდით – როგორ უნდა საბუთების აღდგენა, საელჩოსთან ურთიერთობა, ახალი ცხოვრების დაწყება და ა.შ. – ეს იყო ჩვენი პრობლემა მაშინ. ჩვენ გვქონდა კავშირი თითქმის ყველა სხვა სათვისტომოსთან.

და აი, როგორც სათვისტომოს ვიცე-პრეზიდენტმა, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ წლებში წერილი მივიღე პრეზიდენტ სააკაშვილისგან, რომ მოდი და იმუშავე საქართველოში, როგორც თავის დროზე ივანე ბერიტაშვილმა მიიღო წერილი ივანე ჯავახიშვილისგან. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც რუსეთში დაიწყო ქართველების უნამუსო დევნა. ეს იყო 2006 წელი. ვინაიდან აქტიურად ვმუშაობდი ამ საქმეში, ეს იცოდა, ალბათ, სააკაშვილმა და მომიწვია საქართველოში. 2007 წლის 1 იანვარს დავინწყე მუშაობა, როგორც პრეზიდენტის მრჩეველმა. ივანეს და ოლღას ზრუნვის შედეგად 5 ენა ვიცი — რუსული, ქართული, ინგლისური, ფრანგული და გერმანული. ჩემი დავალება იყო თვალყური მედევნებინა საქართველოს შესახებ არსებულ ინფორმაციაზე რუსეთსა და დასავლეთში. ვაკეთებდი რამდენიმე გვერდიან დაიჯესტს და ვანვდიდი პრეზიდენტს. მართალია, გავანებე თავი ბიოფიზიკას, მაგრამ კმაყოფილი ვიყავი, რადგან ქვეყანაში აღმშენებლობის განცდა მქონდა. ვგრძნობდი, რომ პატივს მცემდნენ ჩემი საქმის გამოც, რადგან მხოლოდ ბაბუის ავტორიტეტით არასდროს მიცხოვრია... მე ჩემი მოსკოვში აქტიურობის გამო გამომიძახეს სამუშაოდ. ამას ივანესთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

მოკლე ამბავი ბერიტაშვილზე



ფიზიოლოგის, ივანე ბერიტაშვილის თანამედროვე მეცნიერის, მისი მეგობრის, კოლეგისა და ბიოგრაფის ნიკოლოზ ძიძიშვილის წიგნიდან – „ქართული ფიზიოლოგიის დედაბოძი“ (1975 წ.) და წიგნის *Н.Дзидзишвили „Академик И.С.Бериташвили“* (1978 წ.) თარგმანიდან (თამარ ჩიხლაძის მიერ) ამოკრებილი საინტერესო პერიფრაზირებული მოგონებები ივანე ბერიტაშვილზე.

ივანე ბერიტაშვილი

რატომ არ უყვარდა სტუმრად სიარული

ახალგაზრდა ივანე ზაფხულს მშობლებთან ატარებდა, ვეჯინში, მაგრამ მთელი დღეები მხოლოდ კითხვასა და წერას ანდომებდა. თავჩარგული ხშირად ავსებდა თავის დღიურს და თითქმის ყოველდღიურ შთაბეჭდილებებსა და ფიქრებს ანდობდა მას. ივანეს თვით დღიურებისთვისაც კი „სასარგებლო“ შეურქმევია, რადგან დღიურების წერით იღრმავებდა დამკვირვებლის უნარს, ხოლო იმისთვის, რომ რუსული უკეთ შეესწავლა, ჩანაწერებს ხშირად რუსულად აწარმოებდა. სტუმრად წასვლა ნაკლებად უყვარდა, რადგან დრო არ ეთმობოდა. „სტუმრად დავდივარ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, თუ მე თვით მაინტერესებს იქ წასვლა ან საქმისთვისაა საჭირო. რამდენჯერაც არ დაგვპატიჟეს სადილზე, მე ყველას უარს ვეუბნებოდი. მამა მიჯავრდება, დები დამცინიან, მე მაინც ჩემსაზე ვდგავარ. სტუმრებთან ლაპარაკი მე

არ გამართობს – რა უნდა ველაპარაკო მათ, თუ ერთი სიტყვაც არ დასცდებათ ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, ან კი იმ საკითხებზე, რომელიც მთელ ქვეყანას აფიქრებს: მუშებზე, სოციალიზმზე, მსოფლიო მოვლენებზე ან სხვა რამეზე, რაც მე მაინტერესებს. უმჯობესია ავიტანო დაცივნები, საყვედურები, ოღონდ უქმად არ დაგვკარგო დრო, რომელიც შემძლია ნაყოფიერად გამოვიყენო სახლში, როგორც გონებისთვის, ისე გულისთვის, თუკი რამე წიგნს წავიკითხავ“, – წერდა ივანე ბერიტაშვილი თავის დღიურში.

ექსპერიმენტით გართული

ერთ დღეს ივანეს ხელმძღვანელი ვედენსკი იმ მაგიდას მიახლოვებია, რომელთანაც სტუდენტი ბერიტაშვილი იჯდა. ივანე ისე ყოფილა თავისი ექსპერიმენტით გართული, რომ მასწავლებელს არა თუ ფეხზე წამოდგომია, არამედ არც კი მისალმებია. ვედენსკი უსიტყვოდ მდგარა მაგიდასთან. ბოლოს უკითხავს ცდის მსვლელობის ამბავი. ბერიტაშვილს რაღაც უკმაყოფილოდ წაუბურტყუნებია და მერე უთქვამს – ნურაფერს მეკითხებით, ცდაში ხელი შემეშლებაო. ვედენსკი გაბრაზებულა, მყისვე უხმოდ გაცლია იქაურობას. ამის მიუხედავად, მასწავლებელს კეთილი განწყობა მაინც არ შეცვლია მოწაფისადმი.

ალაზნის ლოქო სიურპრიზად

1960 წლის ზამთრის მინურული იყო. ხალხის თავყრილობის მიზეზი ერთი რამ იყო – გურჯაანს უნდა სწვეოდნენ ამ კუთხის შვილები: მეცნიერები, მწერლები, ექიმები და ხელოვანნი, ამა თუ იმ დარგის გამოჩენილი მოღვაწეები. მინვეულ გურჯაანელებთან ერთად მათი სტუმრებიც ჩამოვიდნენ. მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყავი, ივანე ბერიტაშვილისაგან დაპატიჟებული მისი მხლებელი. როცა ბატონმა

ივანემ აკადემიკოს პეტრე ქომეთიანს და მე მშობლიურ კახეთში გაყოლა შემოგვთავაზა, თვითონაც როდი იცოდა – თურა ზეიმით დახვდებოდნენ მას გურჯაანელები. თავყრილობა ზეიმად იქცა. როგორღაც სტიქიურად მოხდა, რომ რჩეულთა შორის რჩეულად ივანე ბერიტაშვილი მიიჩნიეს და ეს ზეიმიც მისდამი სიყვარულისა და პატივისცემის გამჟღავნების სიმბოლოდ იქცა. ამ გარემოებას, ალბათ, ხელი იმ ფაქტმა შეუწყო, რომ ბერიტაშვილს, ის ის იყო, დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. გურჯაანის კულტურის სახლში ტევა არ იყო. მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა ივანე ბერიტაშვილის ღვაწლზე. ბოლოს სცენაზე გამოვიდნენ ივანეს თანატოლი გურჯაანელები და იუბილარს „მრავალჟამიერი“ უმღერეს. იმ ღამეს გურჯაანელებმა სანაქებო ლხინი გადაიხადეს. შუა ნადიმში ვიყავით, როდესაც კარი გაიღო და ორი ვაჟკაცი შემოვიდა შეძახილით – ბატონ ივანეს გაუმარჯოსო. ვაჟკაცებს ცალ მხარზე სარი გაედოთ, სარზე ვეებერთელა ლოქო იყო ჩამოკიდული. თურმე ივანეს ლხინის წინ უხუმრია – სუფრაზე რომ მეპატიჟებით, მე შენ გეტყვი, ლოქოთი არ გამიმასპინძლდეთო?! მასპინძლებმა რომ გაიგეს – ივანეს ლოქო ყვარებიანო, იმნამსვე უფრენიათ მეთევზეები ალაზანზე და ეს ვეებერთელა ლოქო სიურპრიზად მიურთმევიათ საპატიო სტუმრისთვის.

ხშირად ნანახი სიზმრადა

ერთხელ ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ბერიტაშვილთან ერთად ქვათახევში ვიყავით ექსკურსიაზე. ეს იმ ტრადიციის გამოვლენათაგანი იყო, რომელიც ინსტიტუტში ბერიტაშვილმა დაამკვიდრა: ყოველ ზაფხულს, უქმე დღეებში, ქალაქ-გარეთ გასეირნება, ისტორიული ადგილების მონახულება, დასვენება. და აი, ქვათახევში ყოფნისას, ცხადია, ტაძარში შევედით. ბერიტაშვილმა პროფესორ ალექსანდრე ბაკურაძეს და მე გვთხოვა – „შენ ხარ ვენახი“ ვიგალობოთო. პირველი ხმა საეკლესიო ყაიდაზე თავადვე წამოი-

ნყო. საგალობელს რომ მოვრჩით, ფრიად კმაყოფილი იყო და გვითხრა – სიზმრად ხშირად ვხედავ, ვითომ ბავშვი ვარ და ეკლესიის გუნდში ვგალობო.



ივანე ბერიტაშვილის ბიუსტი

რა რეაქცია ჰქონდა, როცა „წვერებ-ცანცარას“ ეძახდნენ

თელავის ბაზართან დაღმართზე მენაღეები იყვნენ ჩამწკრივებული. ერთ დღეს ბაზრისკენ მივდიოდით. როცა მენაღეები ბატონ ივანეს დაინახავდნენ, მის გამოსაჯავრებლად მაშინვე კიკინს ატეხდნენ: წვერებ-ცანცარა მოდისო (ივანე ხომ მუდამ პატარა

წვერს ატარებდა). სულ ბოლოში, მენაღეების რიგს რომ ჩაათავებდით, ერთი მენაღე თვითონ იყო მოკლე წვერიანი. „აი, ის წვეროსანი სხვების კიკინს რომ გაიგონებს, თითონაც აჰყვება თავის დამქაშებს და საკუთარ წვერს ამ დროს მუშტით მაღალვსო“, – მითხრა სიცილით ბატონმა ივანემ და სულ ხალისობდა იმ მენაღეებზე. საკუთარი წვერით კი მუდამ ამაყობდა.

ჩვენი სიმღერები მალე გადაშენდებაო – ნუხდა

ბატონმა ივანემ შემომთავაზა – ფეხით სასეირნოდ წავსულიყავით და ცივგომბორის ქედით გადაგვევლო. მეორე დღესვე გავუდექით გზას. განცვიფრებული დავრჩი, როცა ვნახე – რა ყოჩაღად, რა ხალისით დადიოდა მთებსა და ფლატეებში ჩემი მასწავლებელი. ბავშვობისას ძალიან მიყვარდა მთაში ხეტიალი. ზოგჯერ მხარს რომ არავინ ამიბამდა, მარ-

ტოკა დავეხეტებოდიო, – მითხრა. ცივგომბორზე განსაკუთრებით დამამახსოვრდა მწყემსებთან გატარებული ღამე. კოცონთან ვისხედით და ყურს ვუგდებდით მასპინძლების მონაყოლს. განსაკუთრებით ის აინტერესებდა, თუ რამდენად კმაყოფილი იყო მწყემსი თავისი ბედისა და რამდენად მოსწონდა ცხვარში გატარებული ახალგაზრდობა. როცა ერთმა მწყემსმა ფანდური გადმოიღო და ნალვლიანად, მაგრამ ტკბილად დაალიღინა, ბერიტაშვილს სახე გაებადრა, მაგრამ იქვე დაიჩივლა: – „ჩვენი სიმღერები მალე გადაშენდება, რადგან ჩვენი ახალგაზრდობა ახლებურ სიმღერებს ამჯობინებს. კარგია, რომ მწყემსებში ფანდური და ხალასი ქართული სიმღერა შემოინახეთ. ზოგჯერ ისეა ჩვენი ძველი სიმღერები გადაკეთებული და სახეცვლილი, რომ თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი სიმდიდრე ხელიდან გამოგვეცლება“, – თქვა დადარდიანებით ივანემ.

ვარაუდები

თელავს მეორედ ბერიტაშვილთან ერთად მრავალი წლის შემდეგ ვეწვიეთ. იგი – ამერიკის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესიდან, ბუენოს აირესიდან ახლად ჩამოსული იყო. თელაველებმა დიდი პატივისცემით მიიღეს სასახელო სტუმარი. მოვინახულეთ იყალთო, გრემი და ალავერდი. ბერიტაშვილი ყველგან გულმოდგინედ ათვალიერებდა ჩვენს წარსულს, საამაყო ნაშთებს. განსაკუთრებული ყურადღებით იყალთოს აკადემიის ნაბინავარი დაათვალიერა და გამოთქვა ვარაუდი იმის თაობაზე, თუ სად, რა ადგილას, რა დარბაზი უნდა ჰქონოდათ ჩვენს წინაპრებს სათათბიროდ და როგორ უნდა ყოფილიყო აკადემიის მსმენელთა მუშაობის რეჟიმი.

აგარაკზე სოხუმში

ბერიტაშვილი იმთავითვე გატაცებული იყო არა მარტო გონებრივი, არამედ ფიზიკური შრომითაც. სანამ მუხლი მოსდევდა, მხცოვანი მეცნიერი თავის აგარაკზე სოხუმში ბოსტანსაც უვლიდა, ხეხილსაც და ყვავილნარსაც. ასე იყო, სანამ სწეულებამ არ დაასუსტა. შემოდგომაზე მიგვიწვევდა ხოლმე აგარაკზე, მაგრამ სტუმრებთან სამასლაათოდ მხოლოდ საღამოს მოიცლიდა, დღისით კი ბაღში ტრიალებდა, ყურძენს კრეფდა ან დაკრეფილს წურავდა, დანურულს ადუღებდა, ყურძნის წვენს ბოთლებში ასხამდა შესანახად. მისი სტუმრებიც, ნაკლებად ბეჯითნიც, იძულებული ვხდებოდით მასპინძლისთვის მიგვებაძა, მაგრამ მას ტოლს ვერავინ უდებდა შრომის უნარში. ასე ველოდებოდით საღამოს, რათა მასპინძელს ჩვენთვის მოეცალა.

ფიზიოლოგია თუ მეუღლე?!

ერთხელ ივანე ბერიტაშვილის მეუღლე – ქალბატონი ოლგა მძიმედ ავად შეიქნა. ბატონი ივანე, ის ის იყო, ახლად გამოსული იყო საავადმყოფოდან. მოვინვიეთ ოჯახის ახლობელთა თათბირი. უნდა გადაგვეწყვიტა მთავარი საკითხი – მოგვეძებნა ქალბატონი ოლგასთვის ვინმე მომვლელი და ექიმების მეთვალყურეობით სახლში დაგვეტოვებინა, თუ კვლავ საავადმყოფოში გადაგვეყვანა ისიც და ბატონი ივანეც, რომელსაც სახლში, მარტო დარჩენილს, ვერ ექნებოდა სათანადო მოვლა (თანაც, ერთიც და მეორეც მოუსვენრად იქნებოდა ერთი მეორისაგან დაშორებით). თითქოს ყველა შეთანხმდა, რომ ცოლ-ქმარი საავადმყოფოში გადაგვეყვანა დაუყოვნებლივ. ბოლოს, მე ბატონ ივანეს მივმართე, თქვენ რას იტყვით-თქო. მოულოდნელად მივიღე ასეთი პასუხი: – „როცა ხატისმიერ ქცევაზე ვლაპარაკობთ, მაშინ სრულიად გაუგებარია შენი გამოთქმა“ – „წარმოდგენის ხატიო“. იგი, თურმე, იმ წერილზე ფიქრობდა, რომელიც მას რამდენიმე



ივანე ბერიტაშვილი და ოლგა (მეუღლე)

დღის წინ გავუგზავნე წასაკითხად. იფეთქა ქალბატონმა ოლგამ – აქ ჩემი სიცოცხლის გადარჩენის საკითხი წყდება, შენ კი ისევ ფიზიოლოგიაზე ფიქრობო?! ბატონმა ივანემ მშვიდად უპასუხა – ხომ გადაწყდა უკვე, შინ ვრჩებით და მომვლელ ქალს ვიშოვითო.

მომდგარი ცრემლი

პირველად მოსკოვში გავიგე, რომ ბერიტაშვილი დრამის სპექტაკლს ხალისით ესწრებოდა. ერთხელ სამხატვრო თეატრში დამპატიჟა. ისეთი გულისყურით უსმენდა სპექტაკლს, რომ ასე მეგონა – ჩემ გვერდით ვილაც უცხო კაცი იჯდა და არა ის, ვისაც ლაბორატორიაში ნარბშეკრულის სახელი ჰქონდა გავარდნილი. გავოცდი, როცა ამ კუშტმა მეცნიერმა სპექტაკლის ამალეღვებელ მომენტში ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი შეიშრო. ბერიტაშვილი მარტო თეატრით კი არ

იყო დაინტერესებული, არამედ საოპერო მუსიკითაც. იგი ხალისით ესწრებოდა ოპერის სპექტაკლებს და არა მარტო იმიტომ, რომ იქ, ერთ დროს, მისი მეუღლე ასრულებდა წამყვან პარტიებს.

ასეთი კაცი და ლექსი?

ერთხელ ბერიტაშვილის ქალიშვილმა სალომემ მძიმე ოპერაცია გადაიტანა. იგი თავს ცუდად გრძნობდა. ბატონი ივანე შეშფოთებული იყო, მაგრამ გარეგნულად ვერაფერს შეატყობდით. პოეზიიდან განზე მდგომ მეცნიერს თავისი მღელვარება თურმე ლექსად გამოუხატავს სალომეს ავადმყოფობის მძიმე დღეებში. ამას არავინ მოელოდა: ასეთი კაცი და ლექსი? რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მისი დღიურები გადავიკითხე, კიდევ უფრო



ივანე ბერიტაშვილის ქალიშვილი
სალომე ბერიტაშვილი

გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ ბერიტაშვილსაც მოუხდია ხარკი პოეზიის წინაშე. მის ახალგაზრდობის დროინდელ ლექსებში ჭარბობს, ერთის მხრივ, სენტიმენტალური ლირიკა, მეორეს მხრივ, იმდროინდელი მოქალაქეობრივი მოტივები, მეტწილად, რევოლუციურად განწყობილი ჭაბუკისა. ბერიტაშვილი დიდად აფასებდა თავის ლექსებს და, სამწუხაროდ, მისი ლექსები ვერ გამოვაქვეყნე.

თამადა ბერიტაშვილი

ბერიტაშვილიმა ერთხელ საერთაშორისო ნადიმზე ითამადა. ეს იყო 1958 წელს: მოსკოვში გაიმართა ელექტროენცეფალოგრაფისტების საერთაშორისო კოლოკიუმი. კოლოკიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ელექტროფიზიოლოგები. საპატიო პრეზიდენტებად მოწვეულნი იყვნენ ჰერბერტ ჯასპერი და ივანე ბერიტაშვილი. კოლოკიუმი დამთავრდა, მონაწილეებს ბანკეტი გაუმართეს. ბანკეტზე თამადად ბერიტაშვილი აირჩიეს. თამადამ სუფრა ქართული წესით წარმართა, რაც განსაკუთრებით მოეწონათ უცხოელებს. აქვე საერთაშორისო კოლოკიუმის საპატიო პრეზიდენტი ფიზიოლოგთა საერთაშორისო ოჯახის პატრიარქად გამოაცხადეს. მე დაახლოებით ასეთი რამ ვთქვი: ჩვენი კოლოკიუმის საპატიო თავმჯდომარეები იყვნენ კანადელი ჰერბერტ ჯასპერი და ქართველი ივანე ბერიტაშვილი. პროფესორ ჯასპერს ქართული არ ესმის, აკადემიკოს ბერიტაშვილს ინგლისური ლაპარაკი არ ემარჯვება, მაგრამ მათ შესანიშნავად ესმით ურთიერთისა – აქაც, მოსკოვშიც, და აქედან – ერთმანეთისაგან დაშორებულებსაც. და ეს ენა, რომლითაც მათ ასე კარგად ესმით ერთმანეთისა, მეცნიერების ენა გახლავთ. ენა, რომელიც შორი-შორს მყოფ ადამიანებს ასე აახლოვებს”. ჭეშმარიტად მეცნიერების ენაა ის ენა, რომლითაც ბერიტაშვილიმა მრავალი უცხო დაიხლოვა და მეგობრადაც გაიხადა დედამიწის თითქმის ყველა კუთხეში.

❧ 15 ❧

ნაცნობი და უცნობი ისტორიები

გთავაზობთ ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის (2006-2008 წწ), ფიზიოლოგის, პროფესორ მერაბ ცაგარელის მიერ ივანე ბერიტაშვილზე გადმოცემით მოპოვებულ თუ შეგროვებულ მასალას, რომელიც მეცნიერის შესახებ მრავალფეროვან ცხოვრებისეულ ნიუანსებს შეიცავს.

სოსო ჯულაშვილის მიერ დაგებული მახე

როდესაც ივანე ბერიტაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი გახდა, ამ სემინარიაში სწავლობდა მასზე რამდენიმე წლით უფროსი იოსებ ჯულაშვილი. ივანეს სემინარიაში სწავლა ახალი დაწყებული ჰქონდა, როდესაც ადმინისტრაციამ ჩხრეკა ჩაატარა არალეგალური მარქსისტული ლიტერატურის ამოსაღებად. მოგეხსენებათ, მაშინ სემინარიაში ძალიან ბევრი ახალგაზრდა უკვე გატაცებული იყო მარქსიზმით და პროლეტარული მოძრაობით. შემომების შედეგად, ახალგაზრდა ვანოს არალეგალური ლიტერატურა ლეიბის ქვეშ აღმოაჩნდა. გამოიძახეს მამამისი და რიცხავდნენ სემინარიიდან. ივანეს მამამ რექტორს დაუსაბუთა, რომ მისმა შვილმა რუსული არ იცოდა, რაც სიმართლეს შეესაბამებოდა (მას ძალიან ცუდი მოსწრება ჰქონდა რუსულში) და ამიტომ ასეთ ლიტერატურას ვერ გაეცნობოდა და ვერც გაიგებდა. მამის არგუმენტმა გაამართლა და ივანე სემინარიიდან გარიცხვას გადაურჩა, თუმცა ივანემ მოგვიანებით ჯგუფელებისგან გაიგო, რომ მას ლეიბის ქვეშ არალეგალური ლიტერატურა ოთახში შეპარულმა სოსო ჯულაშვილმა შეუცურა.

როგორ გაიცნო ივანემ დანიელ ვორონცოვი

პეტერბურგში ახლად ჩასულმა ივანემ გადანყვიტა, რომ ოთახი ექირავა. როგორც წესი, ორი სტუდენტი ოთახს ერთად ქირაობდა, რათა იაფად გამოსულიყვნენ და ბინაში ნახევარ-ნახევარი გადაეხადათ. და აი, ივანემ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც მიუთითა, რომ შეიამხანაგებდა ისეთ სტუდენტს, რომელიც არ სვამდა, არ ეწეოდა და გოგოებსაც არ მიიყვანდა ოთახში. მის განცხადებას გამოეხმაურა დანიელ ვორონცოვი – მაღალი, ახოვანი, დიდ უღვაშებიანი, სიმპათიური ახალგაზრდა და ივანეც დათანხმდა მასთან ერთად ცხოვრებას. ისინი ძალიან დამეგობრდნენ, მაგრამ ივანესდა სავალალოდ ვორონცოვი კიდეც ეწეოდა, კიდეც სვამდა და გოგოებიც მიჰყავდა ოთახში. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ორივე ფიზიოლოგიით დაინტერესდა, მუშაობდნენ ნ. ვედენსკის ლაბორატორიაში, შემდეგ კი ოდესის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე. მათი მეგობრობა მთელი ცხოვრება გაგრძელდა.

დაგვიანებული შეხვედრა ბერიასთან

1937 წელს ივანეს ძმა დააპატიმრეს. ივანეს, როგორც მეცნიერს, მაშინ უკვე დიდი სახელი ჰქონდა. ივანე ბერიტაშვილმა გადანყვიტა მისვლა ლავრენტი ბერიასთან. ბერიამ მიიღო მეცნიერი. ივანემ მას სთხოვა, არ დაეხვრიტათ მისი ძმა. ლავრენტი დაჰპირდა დახმარებას, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ბერიტაშვილებმა მიიღეს უწყება, რომ ივანეს ძმა დახვრეტილი იყო ორი კვირით ადრე, ვიდრე ბერიასთან მეცნიერის შეხვედრა შედგებოდა.

პრინციპული ივანე და თავხედი მილიციელი

ერთი კაცი ყვება: ტრამვაიში ავედი, ვხედავ, გაჩერებაზე ივანე ამოვიდა. თეთრი პარუსინის კოსტიუმი ეცვა,

დიდი ჩანთა ეჭირა, თეთრი შლაპა ეხურა, აილო ბილეთი და დაჯდა ჩემ წინ. ივანესთან ერთად გაჩერებაზე ბიჭებიც ამოვიდნენ, კონდუქტორს ფული მისცეს, მაგრამ კონდუქტორმა მათ ბილეთები არ მოუხია. შემდეგ გაჩერებაზე ამოვიდა კონტროლიორი, რომელსაც თან მილიციელი ახლდა. ამონებდნენ ბილეთებს და ამ ბიჭებს ბილეთები მოსთხოვეს. ბიჭებმა უთხრეს: – კონდუქტორს ფული მივეცი, მაგრამ მას ბილეთები არ მოუციაო. მილიციელი ბიჭებს დაჯარიმებით დაემუქრა. ატყდა ერთი ამბავი. ივანე გამოესარჩლა მათ და უთხრა კონტროლიორს: – მე დავინახე, რომ ამ ბიჭებმა ფული მისცეს კონდუქტორს, მან კი ბილეთები არ მისცა ახალგაზრდებსო. მილიციელმა შეურაცხყოფა მიაყენა ივანეს: – შე წვერებ-ცანცარა ბებერო, შენ ვინლა გეკითხება, რომ სხვის საქმეში ერევო. მერე მილიციელმა ვაკის მილიციასთან გააჩერებინა ტრამვაი ვატმანს და ეს ბიჭები დასაჯარიმებლად ქვევით ჩაიყვანა. ბიჭებს ჩაყვა ივანეც – მონმედ დავუდგებო. მეც ჩავყევი, დამაინტერესა – რა მოხდებოდა (ყვება მთხრობელი). მილიციის უფროსი ეზოში იჯდა. რომ დაინახა ივანე, წამოხტა: – ბატონო ივანე, თქვენ აქ რამ მოგიყვანათო? ივანემ უთხრა: – აი, ამ ბიჭებმა კონდუქტორს ფული გადაუხადეს, მან კი ბილეთები არ მოუხია ახალგაზრდებს და ეს მილიციელი კი ამათ აჯარიმებს, თანაც ამ მილიციელმა შეურაცხყოფა მომაცენა – შე წვერებ-ცანცარა ბებერო... მილიციის უფროსი თავის თანამშრომელს პაგონებში ეცა – აგახე პაგონებს, შენ ასეთო და ისეთო, ეს იცი ვინ არის, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი... შემდეგ დაუძახა თავის მძღოლს და დაავალა: – ჩასვამ ამ კაცს და სადაც გეტყვის, იქ წაიყვანო. ის ბიჭები კი გაუშვეს დაუჯარიმებლად. ასე დამთავრდა ეს ისტორია.

„ცეკას დირექტორები“ და ივანე ბერიტაშვილი

ივანე პარტიულ ნომენკლატურას დიდ პატივს არ სცემდა. მათ მიმართ ზერელე დამოკიდებულება ჰქონდა. თავად

პარტიის წევრი არ იყო და ვერც გაუბედეს იმის თქმა – პარტიასი შემოდო, რაც მაშინ იშვიათი შემთხვევა იყო. ადრე ანეგდოტად ყვებოდნენ მასზე ასეთ ამბებს:

* * *

ივანე ბერიტაშვილი მორიგ ცდას ატარებდა. თავი შემოჰყო თანამშრომელმა.

– ივან, სოლომონოვიჩ, ტელეფონზე გთხოვენ! ყურმილი აიღეთ!

– ხომ ხედამ! არა მცალაია!

– ვასილ პავლოვიჩია, ივან სოლომონოვიჩ!

– ვინა?!

– მჟავანაძე!

– მჟავანაძე? გისმენ, შვილო!

საუბრის დამთავრების შემდეგ თანამშრომელმა უსაყვედურა – ცეკას პირველი მდივანი როგორ არ იციო.

– აბა, მე მუსხელიშვილი ხო არა ვარ, ცეკას ყველა დირექტორი ზეპირად ვიცოდეთ, – ჩაიფხუკუნა ბერიტაშვილმა.

* * *

ნიკო მუსხელიშვილი ატარებს სხდომას. სხდომა ის ისაა სრულდება და ივანე ხელს იწევს – მომეცით სიტყვაო. დღის წესრიგი ამოვწურეთო, – უთქვამს აკადემიის პრეზიდენტს.

– არა, სიტყვა უნდა ვთქვაო, – იჩემებდა ივანე. ბოლოს გამოაცხადა ნიკო მუსხელიშვილმა: – უკანასკნელი სიტყვა ეძლევა ივანე ბერიტაშვილსო. ვიცე პრეზიდენტმა სერგო დურმიშიძემ შენიშნა: – მოხუცებული კაცია, „უკანასკნელი სიტყვა“ – არ არის ლამაზი, „ბოლო სიტყვა“ – ასე მაინც გეთქვათო... გამოვიდა ივანე და ამბობს: – რას გავს აქაურობა, სხდომათა დარბაზში ვსხედვართ და განათება არ არის, არ ეკადრება ჩვენს აკადემიას ასეთი დარბაზი, რასა ჰფიქრობს ის ჩვენი ცეკას დირექტორი, მიხედოს ამ განათებასო (გადამწვარი ყოფილა ნათურები დარბაზში). ნიკო მუსხელიშვილს

იუმორი უყვარდა და ივანეს გამოსვლაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: – ხომ გითხარით, ხალხო, უკანასკნელი სიტყვაა-თქო! აბა, ამის მერე სიტყვას კიდევ როგორღა მივცემ, ცეკას ლანძღავსო...

* * *

60-იანი წლებია. ივანე საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახლდათ გურჯაანის რაიონიდან. არასოდეს ესწრებოდა სხდომებს, რადგან არ უყვარდა აქტიურობა ამ მიმართულებით. ერთხელაც თელავში პარტიულ-სამეურნეო აქტივის სხდომა იმართებოდა და ივანემ გადაწყვიტა წასვლა. თადარიგიანი კაცი იყო და თავისი მანქანით დილაადრიან გაემგზავრა თელავისკენ. მივიდა სასტუმროში და რომ დაინახეს ივანე, ლუქსის ნომერი გამოუყვეს. ივანემ ბარგი ამოალაგა და წავიდა ქალაქის დასათვალიერებლად. როცა დაბრუნდა სასტუმროში, რას ხედავს – თავისი ნივთები კორიდორშია გამოტანილი. უკითხავს: – აქ რა ხდებაო? – ბოდიში, ბატონო ივანე, თბილისიდან ცეკას მდივანი ჩამოდის სხდომაზე დასასწრებლად და ეს ოთახი მისთვის გვინდა, თქვენ სხვა ოთახში გადაგიყვანთო. – რას ქვია ცეკას მდივანი ჩამოდის, ახლავე შეიტანეთ ჩემი ნივთები ოთახში, თორემ უკან წავალ თბილისში, ჩემზე უკეთესი რითია ცეკას მდივანო?! შეწუხებულებმა თბილისში დარეკეს – რა ვქნათ, ივანე ბერიტაშვილი ოთახიდან არ გადისო. ცეკას მდივანს უთქვამს: – მე სხვაგან სადმე მომათავსეთ და ეგ მანდ დარჩესო. მერე ივანე თურმე ტრაბახობდა თავის ოჯახში: – აი, ხომ ვაჯობე ცეკას მდივანსო.

რატომ გაუქმდა მუზეუმი თბილისში?

გმირთა მოედანზე ე.წ. 11 სართულიან სახლში, სადაც ივანე ბერიტაშვილი ცხოვრობდა, მისი სახლმუზეუმი უნდა გახსნილიყო. კორპუსს სადარბაზოს შესასვლელთან ქვაც

აქვს კედელზე მიკრული, სადაც წერია, რომ აქ არის ივანე ბერიტაშვილის მუზეუმი, თუმცა ერთმა „ჩალიჩა“ ქალმა, რომელსაც ქალაქის მერიის ხელმძღვანელობა უმაგრებდა ზურგს, მისი კუთვნილი ბინა მიისაკუთრა, რის შედეგადაც მუზეუმი გაუქმდა.

როგორც ირკვევა, მუზეუმი, მთავრობის გადაწყვეტილებით (მაშინ ცეკას პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე იყო), უნდა გახსნილიყო ივანე ბერიტაშვილის სახლში. შევარდნაძე პირადად მისულა ივანესთან და უთქვამს: – ბატონო ივანე, ჩვენ ყველანაირ პირობებს შეგიქმნით მუშაობისთვის, გაგიუმჯობესებთ საცხოვრებელ პირობებს, ახალ ბინას მოგცემთ ვაკეში, “ვოლგას“ გამოგიყოფთო. ეს იყო 1974 წელს. ივანემ უპასუხა: – ეჰ, ჩემო კარგო, ეგ ყველაფერი მე ჯეელობაში მინდოდა, ახლა, 90 წლის კაცს რაღად მინდაო... ედუარდ შევარდნაძემ მაინც შეასრულა თავისი პირობა და ივანე ბერიტაშვილს მისცეს ახალი ბინა ვაკეში, მაგრამ მოხუცებულმა მეცნიერმა ვაკეში გადასვლა ვერ მოასწრო, გარდაიცვალა. მისი ქალიშვილი სალომე კი მოსკოვში ცხოვრობდა. ივანეს მეუღლეს თავის ქალიშვილთან საცხოვრებლად წავიდა მოსკოვში. მთავრობის დადგენილებით კი გმირთა მოედანზე



ივ. ბერიტაშვილი ფიზიოლოგიის კათედრის თანამშრომლებთან.
მარცხნიდან: მ. მაისურაძე, ო. ახმეტელაშვილი, თ. ნათიშვილი,
მ. გვილაგა (1964 წ.)

დარჩენილ ბერიტაშვილების ბინაში მუზეუმი უნდა გახსნილიყო, როგორც გითხარით. მოხდა ისე, რომ მოგვიანებით, იმ „ჩალიჩა ქალმა“ 2004 წელს თავისი გავლენებითა და ხრიკებით ჩაიგდო ეს ოთხოთახიანი ბინა ხელში. ასე რომ, ბერიტაშვილის სახელობის მუზეუმი თბილისში არ გვაქვს.

ვინ ერჩოდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტს?

ფიზიოლოგიის ინსტიტუტს ივანე ბერიტაშვილის სახელი ინსტიტუტის დაარსებისთანავე ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით მიენიჭა 1935 წელს. ინსტიტუტმა ამ სახელით 2010 წლამდე იარსება. საქართველოში მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის წლებში ამ ინსტიტუტს არაერთხელ დაემუქრა დახურვის, შენობის წართმევის თუ სახელის გადარქმევის საფრთხე. სააკაშვილის დედის – გიული ალასანიას მეუღლემ ზურაბ ქომეთიანმა ერთხელაც გადაწყვიტა – „რა დროს ბერიტაშვილიაო“ და ინსტიტუტისთვის მოინდომა მამამისის – პეტრე ქომეთიანის სახელის დარქმევა. პეტრე ქომეთიანი ივანე ბერიტაშვილის მონაფე, ბიოქიმიკოსი და ამ ინსტიტუტის თანამშრომელი – ბიოქიმიის განყოფილების გამგე იყო. ინსტიტუტისთვის შენობა რომ არ წაერთმიათ, ვიცე-პრემიერი (ჩემი ყოფილი თანაკურსელი) კახა ბენდუქიძეც კი შევანუხე. შემდეგ მთავრობის დადგენილება გამოვიდა, რომლის თანახმადაც ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე შეერთდნენ მისგან თავის დროზე გასული ინსტიტუტები და ახალ ინსტიტუტს დაარქვეს „ისციოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ცენტრი“ ბერიტაშვილის სახელობის გარეშე. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე აღმნიშვნა გამოვხატეთ პროტესტი. მე და დათო ბერიტაშვილმა (ივანეს შვილიშვილმა) დავწერეთ წერილი მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის სახელზე. დეპუტატმა ნუგზარ ნიკლაურმა შეუტანა დავით ბაქრაძეს ეს წერილი და პარლამენტის თავმჯდომარეს გაკვირვებულს უკითხავს – ვის მოუვიდა თავში ინსტიტუტისთვის ბერიტაშვილის სახ-



ივ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამედროვე შენობა

ელის გადარქმევავო. დავით ბაქრაძემ წერილი დაანერა მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს გოკა გაბაშვილს, რომელმაც გვითხრა, რომ გაუგებრობა მოხდა, წერილი მინისტრ შაშკინს გადაეუგზავნე და იმედია, დადებითად გადაწყდება საკითხი და ინსტიტუტს ბერიტაშვილის სახელი დაუბრუნდებაო. მოკლედ, ბევრი წვალეების შემდეგ, ინსტიტუტს ბერიტაშვილის სახელი დაუბრუნდა, მაგრამ სახელწოდების კორექტირება მაინც მოხდა. ინსტიტუტს ასე ჰქვია – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი.



ივ. ბერიტაშვილის ბიუსტი მისი სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ეზოში (დაიდგა 2007 წ.)

❧ 16 ❧

ფიზიოლოგი, რომელმაც საქართველოსთვის ეპროვული კარიერა დათმო

(ეპილოგის ნაცვლად)

„ათას ცხრაას თხუთმეტი... ოდესის უნივერსიტეტში პრიატ-დოცენტის წოდება მისცეს და სტუდენტებთან კუნთოვან და ნერვულ ფიზიოლოგიაზე დაიწყო საუბარი. ყველაფერი ჰქონდა – ექსპერიმენტალური მუშაობისთვის საჭირო ლაბორატორია, მცოდნე კოლეგები და რამდენიმე ტალანტი შეგირდიც აკვირვებდა ლექციაზე, რომლებსაც შემდგომ თავისივე მუშაობაში რთავდა. ოთხი წლის შემდეგ მისწერეს... ნაიკითხა... გულმა უთხრა, რომ უნდა გაეკეთებინა... მცირე სინანულის გრძნობა გაუჩნდა, თუმცა ივანე იქ უფრო სჭირდებოდათ. მეორე დღეს მისი გადაწყვეტილების შესახებ იმათ შეატყობინა, ვინც რამდენიმე წლის წინ ფიზიოლოგის „ხელში ჩაგდებათ“ ამაყოფნენ. პატივი სცეს მის ნაბიჯს; აღმოსავლეთისკენ, საკუთარი კედლებისკენ გადადგმულს... იქ, სადაც თავისი ოთხი კედელიც კი არ ელოდა.

ხის მაგიდა – სწორედ ესაა ის ერთადერთი, რაც ზემოთ ნახსენები ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ივანეს 1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრაზე დახვდა. მიუხედავად ამისა, მან ჩვეული ქარიზმითა და მონდომებით, ანდამატივით მიიზიდა ნიჭიერი სტუდენტები და კათედრის მატარებელიც დაიძრა“.

1884 წელს სოფელ ვეჯინში დაიბადა. მღვდლის ოჯახში გაზრდილმა, სწრაფად აიარა სასულიერო საფეხურები – ჯერ იყო თელავის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ – თბილისის სასულიერო სემინარია. სამართლიანი ბიჭი იყო, გვიყვებიან მის მუზეუმში (ვეჯინში). ჰოდა, ამ სამართლიანობას სოციალისტის თვალთ ხედავდა. თანასწორობის დამყარებისკენ მიმავალ გზაზე, თანამებრძოლებთან ერთად, ბარიერები

უფრო მარტივად რომ გადაელახა, გადანყვიტა, სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე ესწავლა. დიახ! საქართველოს პირველი გამოჩენილი ფიზიოლოგი საშუალო განათლების მიღების შემდეგაც კი არ ფიქრობდა, დაუფლებოდა იმ პროფესიას, რამაც შემდეგ მისი ტალანტი გამოავლინა, რამაც ქვეყნის სიყვარულის მთავარი გამოცდა ჩააბარებინა, და მთავარი – რა პროფესიით მუშაობითაც რამდენიმე მნიშვნელოვანი აღმოჩენა მის სახელს დაუკავშირდა.

ივანე ბერიტაშვილმა 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი დაწერა, რომლებითაც სხვა ქვეყნებში იმავე სფეროში დაინტერესდნენ და თარგმნეს კიდეც. ივანეს ერთ-ერთი მთავარი პროფესიული ღირსება ის იყო, რომ ცდილობდა თავის საქმეში ბოლომდე დახარჯულიყო – სამუშაო თემაზე რამდენიმე კუთხით ემუშავა და მაქსიმალური შედეგი მიეღო. მან ექსპერიმენტალური გამოკვლევა ჩაატარა ტვინის ფიზიოლოგიის ყველა ძირითად ნაწილში, რამაც საშუალება მისცა, შეექმნა უნიკალური სახელმძღვანელო: „კუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია“.

თუმცა ამ ყველაფრამდე იყო ათას ცხრაას ექვსი... მოსკოვი და სანკტ-პეტერბურგი (ვერცერთ მათგანში ვერ იპოვა სათანადო ფაკულტეტი, რომელზეც, სოციალური მეცნიერებების მხრივ, ცოდნას გაიღრმავებდა). ამ უკანასკნელის, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე ოთხნობიანი კურსის სამ წელში დასრულება. მესამე კურსზე სწავლისას, უნივერსიტეტის პროფესორ, ნიკოლოზ ვედენსკის მიერ, რამდენიმე ასეულ სტუდენტში ივანეზე თითის დამიზნება და საკუთარ ლაბორატორიაში სამუშაოდ აყვანა. საგულისხმოა, რომ კონკრეტულ საკითხებში ბერიტაშვილი არ ეთანხმებოდა ვედენსკის. შეხედულებები ვერც მაშინ გადაიკვეთა, როცა ივანემ მასთან გადანყვიტა დისერტაციის დაცვა და ნაშრომი ხელმძღვანელს გაუგზავნა. რუსმა მეცნიერმა ის უარყოფითად შეაფასა.

საგულისხმოა, რომ ისინი ერთად მუშაობდნენ რეფლექსური მოძრაობების ზურგის ტვინის კოორდინაციის პრობ-



ივ. ბერიტაშვილის მუზეუმი სოფელ ვეჯინში

ლემაზე. ათას ცხრაას ათია და სწორედ აღნიშნულ თემაზე ივანეს პირველმა ნაშრომმაც მიუკაკუნა „სანკტ-პეტერბურგის ბუნებისმეტყველთა საზოგადოების შრომებს“. უყოყმანოდ გაუღეს კარი – ოფიციალურად დაიწყო ბერიტაშვილის სამეცნიერო საქმიანობა. მეცნიერმა პირველი ხარისხის დიპლომიც მიიღო და საჩუქარიც: ფიზიოლოგიის კათედრაზე ორნახევარწლიანი კონტრაქტი და სტიპენდია. უნიკალურ ადამიანს, უნიკალურ ნაშრომებთან ერთად, უნიკალური ფაქტებიც უკავშირდება – კათედრის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ კონტრაქტის პირობები მის წევრს დამატებით ორი წლით გაუხანგრძლივდა.

და მერე...

და მერე იყო ოდესა, სადაც ნახსენები გამოცდა ჩააბარა... გამოცდა, რომელიც ცოდნას კი არა, გულში ნაპერწკალს უმონებდა. ივანეს მონდომება საკმარისზე მხურვალე აღმოაჩნდა და სამშობლოს მიაშურა.

მანამდე, ოდესაში ცხოვრებისას, სხვა ნაპერწკალიც იყო...

„ჩია კაცი გახლდათ, რომელიც ავადმყოფობდა და გარეგნულად არც ისე შესახედი იყო... ვიფიქრეთ, ოღა

უარს ეტყოდა...“, – იხსენებს უნივერსიტეტის ერთ-ერთი თანამშრომელი, ვორონცოვი, მას შემდეგ, რაც ბერიტაშვილი კოლეგებს საკუთარი სტუდენტის სიყვარულში გამოუტყდა. ხელის სათხოვნელად ნევენსკაიას მშობლებთან ორმა სტუმრობამ არ გაჭრა. თუმცა გაჭრა მონატრებამ, რომელიც მაშინ წარმოიშვა, როდესაც ოლგა საზღვარგარეთ სასწავლებლად იყო წასული. მეცნიერი მალევე დაქორწინდა და საქართველოში წამოვიდა.

ბერიტაშვილმა ერთ ოთახში დაიწყო და ფიზიოლოგიის კათედრაზე მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა. ის ახალი კვლევებისთვის ემზადებოდა, ამისთვის კი მცოდნე სტუდენტები ჰპერივით ესაჭიროებოდა. ივანემ გამოსცა თეორიული და პრაქტიკული სახელმძღვანელოები, რომლებითაც ახალგაზრდები გადაამზადა. უკვე თბილისში მისი კვლევების მთავარი თემა კუნთების შეკუმშვის უნარის და ცხოველთა ქცევის კანონზომიერებების შესწავლა იყო. მეცნიერს საჭირო ხელსაწყოები სჭირდებოდა, რომლის ფორმებს თვითონვე ხაზავდა. ნახაზებს მისივე მინვეული ინჟინერ-მექანიკოსი, შტრაუსი ხელსაწყოებად გარდაქმნიდა. საგულისხმოა, რომ მეცნიერი კათედრას 1960 წლამდე ხელმძღვანელობდა, თუმცა ოსტატი თავისი შეგირდების არაფორმალური წინამძღოლი სიცოცხლის ბოლომდე იყო.

ივანემ ფიზიოლოგიის კათედრა იმაშიც გამოიყენა, რომ 1934 წელს სწორედ მის ბაზაზე შექმნა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი. სწორედ ამ დროს შეუსრულდა სამეცნიერო მოღვაწეობას 25 წელი და, ამ ფაქტთან დაკავშირებით, ნახსენებ დაწესებულებას მისი სახელი მიენიჭა. ინსტიტუტის მესაჭე 1951 წლამდე იყო, თუმცა მის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ის სიცოცხლის ბოლომდე (1974 წლამდე) ხელმძღვანელობდა.

* * *

ივანეს სოფელ ვეჯინის მუზეუმში თაროებზე მხოლოდ ფურცლებზე დატანილი ნააზრევი და მისი აქტიური ცხოვრების ამსახველი ფოტოებია შემორჩენილი. ხელმძღ-



ივ. ბერიტაშვილის ვეჯინის მუზეუმის ბიბლიოთეკა

ვანელობას მუზეუმისთვის დამატებითი ფუნქციების მინიჭება სურს. ერთ-ერთი იდეა უკავშირდება სოფელ ზიარში აღმოჩენილ ქვის იარაღების საამქროს, რომელიც, დაახლოებით, ხუთასი ათასი წლის წინანდელია. საამქროს ასაკის დამადასტურებლად ბევრი არტეფაქტი არსებობს. ხელმძღვანელობისა და გათხრების ერთ-ერთი არქეოლოგის ნიკოლოზ თუშაბრამიშვილის იდეაა, რომ აქ ადამიანის ტვინის ევოლუციის მუზეუმი მოეწყოს. სწორედ ნახსენები და სხვა აღმოჩენილი ნივთების საფუძველზე მნახველებს შესაძლებლობა ექნებათ, გაიაზრონ – როგორი იყო ადამიანის ტვინი ასიათასობით წლის წინ და როგორ განვითარდა ის. არტეფაქტები მუზეუმში ტომრებით დევს. ასევე, სურთ, გაკეთდეს ტვინის დიდი მაკეტი. მაგრამ ამ იდეების განსახორციელებელი სახსრები, ჯერჯერობით, არ ჩანს.

„ღარიბები ვართ, თუმცა, გვინდა, ივანე მარად დარჩეს. ეს ადგილი კიდევ უფრო უნდა გამდიდრდეს. მან ეს დაიმსახურა“, – გვეუბნებიან მუზეუმში.


ათას ცხრაას სამოცდაათობმეტი... რთულია, ისეთი ვნებით აკეთებდე შენს საქმეს, რომ 90 წლის ასაკში აქტიური

მოღვაწეობა და სიცოცხლე ერთად დასრულდეს. ივანეს ვნება მხოლოდ ბოლო ამოსუნთქვის დროს გაქრა. უნივერსიტეტის ეზო – იმ ადგილას დაკრძალეს, რომლისთვისაც ყველაფერი დათმო და რომელსაც ყველაფერი მისცა.

**პასა ყიფიანი,
სტუდენტური სასწავლო ჟურნალი
„გზავნილი გურჯაანიდან“**

მომზადებულია სასწავლო საგნის –
„ბეჭდური მედია პრაქტიკუმის“ ფარგლებში
(ხელმძღვანელი – ასოც. პროფესორი მაია ტორაძე)

2019 წ.



ივანე ბერიტაშვილის ვეჯინის მუზეუმი



ივანე ბერიტაშვილის ვეჯინის მუზეუმი



გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
რედაქცია, 2019